მარიამ ჩხარტიშვილი

# „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და VI-VIIსს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები

## პოლემიკური ნარკვევი

თბილისი
2005

© მარიამ ჩხარტიშვილი 2005

მ. ჩხარტიშვილი. "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და VI-VIIსს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (პოლემიკური ნარკვევი). თბილისი (2005) 144 გვ.

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს კომენტარს ავტორის მონოგრაფიის "მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ". "ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) დაუსაბუთებელი კრიტიკისა და იგნორირების ფაქტებზე. პოლემიკური მსჯელობების გზით კიდევ ერთხელ იკვეთება VI-VIIსს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხის ახლებური გადაწყვეტა.

წიგნი გამიზნულია ისტორიის დარგის მკვლევართათვის. იგი აგრეთვე დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის მასწავლებლებს.

წინათქმა 3
შესავალი 5
I 18
2 70
ბოლოთქმა 136
Mary Chkhartishvili. *Martyrdom of St Eustathius of Mtskheta* and Problems of Political History of Georgia in 6th-7th Centuries. Polemic Review 140

## წინათქმა

ამ ათიოდე წლის წინ გამოქვეყნდა ჩემი მონოგრაფია *„მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ". „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა).* თბილისი: მეცნიერება, 1994 (რედ. გ.ალასანია). ეს პერიოდი საკმაო იმისათვის, რომ აღნიშნულ მონოგრაფიაში წარმოდგენილ დასკვნებზე გარკვეული გამოძახილის იმედი მქონოდა. როგორც გამოირკვა, არსებობს ორგვარი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, ჩემმა დასკვნებმა დაიმსახურეს დაუსაბუთებელი კრიტიციზმი, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმართლებელი იგნორირება. წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს კომენტარს ამგვარ ფაქტებზე.

ვინაიდან პოლემიკური ნარკვევის ჟანრისათვის ვრცელი ციტირებები გარდაუვალია, ტექსტში უკეთესი ორიენტირებისათვის საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს სათანადო განმარტებები მივცე. ადრინდელ ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობების ახლანდელთან თვალსაჩინოდ გასამიჯნად ჩემი ზემოხსენებული წიგნიდან ციტირების შემთხვევაში ამონარიდების დასაწყისი და დასასრული გამოყოფილია სპეციალური ნიშნებით (▶ და ◀). აქ მე აღარ ვიმეორებ მითითებებს ლიტერატურაზე. დამოწმებათა სრული აღწერილობა თავად მონოგრაფიაში იყო მოცემული (იხ., აგრეთვე, ჩემი სადოქტორო დისერტაცია: მ.ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.* IV-VII*სს ისტორიის ამსახველი ძეგლები.* თბილისი: თსუ, 1996) და დაინტერესების შემთხვევაში მათი მოძიება ძნელი არ იქნება. კოლეგების შეხედულებებს ზოგჯერ ჩემი სიტყვებითაც გადმოვცემ, მაგრამ ვინაიდან ხშირად მიხდება მათგან ვრცელი ციტატების მოყვანა, ჩემი ტექსტისაგან გამოსარჩევად ისინი რამდენადმე შეწეულია. ასეთ შემთხვევებშიც ვტოვებ მითითებებს სპეციალურ ლიტერატურაზე, აგრეთვე აღარ გამოვყოფ აბზაცებს.

თავიდანვე მინდა მკითხველს ვუთხრა წინამდებარე ნაშრომის არსებითი თავისებურების შესახებაც. ნარკვევს მთელ სიგრძეზე გასდევს მწვავე კრიტიციზმი, რაც კოლეგათა ნააზრევის ლოგიკური თუ ფაქტობრივი ხარვეზების წარმოჩენაში მდგომარეობს. გამოცდილებით ვიცი, რომ ამგვარი

კრიტიკა სამეცნიერო წრეების ერთ ნაწილში იწვევს გაღიზიანებას, იმისდა მიუხედავად იგი მართებულია თუ არა. ვუწევდი რა ამ რეალობას ანგარიშს, ვცდილობდი მაქსიმალურად შემერბილებინა კრიტიკის ტონი. იმავდროულად ჩემი პრინციპული პოზიცია იყო ისიც, რომ აკადემიური ეთიკის დაურღვევლად, მაგრამ დეტალურად და მოურიდებლად გამერჩია იმ გამოკვლევათა ნაკლოვანებანი, რომლებშიც საგანგებოდ თუ შემთხვევით დამახინჯებულია ან იგნორირებულია სხვისი (ამჯერად ჩემი) თვალსაზრისი. მტკიცებებულების ხარვეზებზე მხოლოდ გადაკვრით მითითება ვერ არწმუნებს მკითხველს: ასეთ შემთხვევებში პოლემიკური ნარკვევის ფორმა ერთადერთი გზაა ჭეშმარიტების დასადგენად

## შესავალი

როგორც ეს ცხადი ხდება ჩემი ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიის სათაურიდანვე, მასში ჰაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი ანალიზია წარმოდგენილი. ამ დროს, როგორც ცნობილია, ძეგლის დათარიღებაა უმთავრესი ამოცანა. ამიტომაც გამოკვლევაში აღნიშნული პრობლემის განხილვას დიდი ყურადღება დაეთმო. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისებისაგან განსხვავებულ შეხედულებებს მე ორივე ძეგლთან დაკავშირებით ვასაბუთებდი. მაგრამ ამჯერად მხოლოდ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" შესახებ მექნება საუბარი.

ყოველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების ახლებური დათარიღების ფაქტი თავისთავად საინტერესო მოვლენაა ქართველოლოგიისათვის, მაგრამ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ახალ თარიღს – VIIს 20-30-იან წლებს, VIს II ნახევრის ნაცვლად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ მისი გაზიარების შემთხვევაში აუცილებელი ხდება რადიკალური კორექტივები შესაბამისი ეპოქის ქართლის პოლიტიკური ისტორიის ქრონოლოგიაში. ითვლებოდა, რომ ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების (მეფის, ერისმთავრის) არარსებობის ხანაა VIს I ნახევარი, შუა ხანები; თხზულების ახლებური ქრონოლოგიური ლოკალიზაცია კი ამ ფაქტის გადატანას VIს მიწურულსა და VIIს პირველ ათწლეულებში მოითხოვს.

სწორედ ამ კუთხით იქცა ჩემი თვალსაზრისი კრიტიკული კომენტარების საგნად სპეციალურ ლიტერატურაში. მხედველობაში მაქვს ანრი ბოგვერაძის წერილი *VIს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა).* ანალები. საქართველოს მეცნ. აკად. ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2001, №2, გვ.70-76. წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი არსებითად პასუხს წარმოადგენს ამ კრიტიკაზე.

რეცენზენტი თავის კომენტარებს კრიტიკულ ანალიზს უწოდებს. სინამდვილეში კი, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ეს არის ქილიკი. სამწუხაროდ, ასეთი (ე.ი.

არააკადემიური) ტონი საერთოდ დამახასიათებელი იყო მკვლევრისათვის ჩემი მისამართით შენიშვნების გამოთქმისას. 1999 და 2000 წლებში მას არგუმენტირებული პასუხები გავეცი ქართლის მეორე კათალიკოს სამოელზე მსჯელობასთან დაკავშირებით[1].

ა.ბოგვერაძის ახალი მცდელობაც გაებაიბურებინა ჩემი სამეცნიერო კონცეფციები პასუხს მოითხოვდა და დავაპირე კიდეც თავიდან ამის გაკეთება. მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. ამის მიზეზი რამდენიმე იყო ჯერ ერთი, აღარ მსურდა სამეცნიერო საზოგადოების შეწუხება ერთსა და იმავე კოლეგასთან ჩემი დებატებით მეორეც, აღნიშნული კრიტიკული წერილის გამოსვლის შემდეგ მკვლევარი მალე გარდაიცვალა. ჩემი აღშფოთება თანდათან განელდა. ახალი პრობლემების კვლევით გატაცებულს, ძველისადმი, უკვე გადაწყვეტილისადმი, მიბრუნებაც მიძნელდებოდა. მაგრამ ამ წერილზე დუმილის და ამ ხნის განმავლობაში არგამოხმაურების მთავარი მიზეზი მაინც აღნიშნული "კრიტიკული ანალიზის" უკიდურესად დაბალი დონე იყო დარწმუნებული ვიყავი არავინ არ იმსჯელებდა მისი საშუალებით ჩემი გამოკვლევის შესახებ. მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ჩემი მისამართით ა.ბოგვერაძის კრიტიკულ კომენტარებს სრული ნდობით ეკიდება და იმოწმებს კიდეც დ.მუსხელიშვილი, რომელიც თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოკვლევაში შემდეგნაირად მსჯელობს:

> "სტეფანოზ I-ის ერისმთავრობა დახლოებით 593-604 წლებზე მოდის."[2]

---

[1] იხ. მ.ჩხარტიშვილი. *თავი ეპისკოპოსი სამოელი და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები.* ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები) (რედ. რ.რამიშვილი). თბილისი: არქეოლოგიის კვლევის ცენტრი, 1999, გვ.15-20; მისივე. *ცნობები სამოელ მთავარეპისკოპოსის შესახებ ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში.* ქართული წყაროთმცოდნეობა IX (რედ. მ.ბერძნიშვილი და გ.ალასანია). თბილისი: მემატიანე, 2000, გვ.53-66.

[2] იხ. დ.მუსხელიშვილი. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი: მემატიანე, 2003, გვ.247.

ამ წინადადებისათვის დართულ შენიშვნაში კი ვექტორით გამოთქმული აზრის არგუმენტაციას:

> "ნუმიზმატიკური მონაცემებით მისი ერისმთავრობის დასაწყისი დახლ. 593 წელზე რომ მოდის, ეს დაამტკიცა გ. დუნდუამ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, "მაცნე" №1, გვ. 106). სტეფანოზის მომდევნო ადარნერსე კი ერისმთავარია უკვე 606 წლის საფხულში (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 144) და ალბათ უფრო ადრეც 604/5 წწ-ში (შდ. ჯავახიშვილი ი., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ტუმ, II, ტფ. 1922-1923, გვ. 225, 332; Чубинашвили Г.Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 23; ჩუბინაშვილი გ., მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, ტუმ, II, ტფ., 1922-1923, გვ. 63), სტეფანოზ I-ის ერისმთავრობისა და ქართლში უმეფობის პერიოდის დათარიღების შესახებ ამ უკანასკნელ ხანში სხვაგვარი შეხედულებებიც გამოითქვა (იხ. მაგალითად ჩხარტიშვილი მ., მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ, თბ., 1994, გვ. 33, 41, 86, 88; სანაძე მ., ქართლის სამეფო VI საუკუნეში, ჟურნალი: "მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1-4, 1997), რომელთა კრიტიკაც იხ: ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის ისტორიის საკითხები."[3]

დ. მუსხელიშვილის მიერ დასახელებული ყველა ფაქტი გაანალიზებულია ჩემს ხსენებულ მონოგრაფიაში. მიუხედავად ამისა, იგი სავსებით დაურწმუნებია ა. ბოგვერაძის კრიტიკულ კომენტარებს, გამოთქმულს ჩემი გამოკვლევის მისამართით. სწორედ ამ გარემოებამ მაფიქრებინა, რომ პასუხი, თუნდაც დაგვიანებით, აუცილებელია. სამეცნიერო საზოგადოებამ ჩემი თვალსაზრისიც უნდა მოისმინოს ა. ბოგვერაძის კრიტიკასთან დაკავშირებით. თავიდან მოკლედ უნდა შევახსენო მკითხველს ზემოთ დასახელებული ჩემი გამოკვლევის ძირითადი შედეგების შესახებ.

---

[3] დ. მუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*. გვ. 265-266, შენ. 148

"წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან" გამომდინარეობს, რომ თხზულება დაწერილია მისი მთავარი პერსონაჟის, ე.ი. წმ. ევსტათის, მოწამეობრივი აღსასრულის შემდგომ უახლოეს ქრონოლოგიურ მონაკვეთში. ამიტომ ძეგლში აღწერილი ეპოქის დროითი კოორდინატის ცოდნის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ნაწარმოების შექმნის მიახლოებითი თარიღზე მითითება. ძალიან ხშირად ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში არ მოიპოვება პირდაპირი მონაცემები მათში აღწერილი ეპოქის დასათარიღებლად, მაგრამ თითქმის ყოველთვისაა დაფიქსირებული თავისებური ქრონოლოგიური ორიენტირები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სიუჟეტის ლოკალიზება დროში. საქმე ისაა, რომ სიუჟეტის ქრონოლოგიური დასაზღვრა ჰაგიოგრაფიული ჟანრის არსებით არის განპირობებული: ჰაგიოგრაფიული მოთხრობა (იმისდა მიუხედავად თუ როგორია იგი ფორმით) თავისი მიზანდასახულებით ისტორიოგრაფიულია. "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშიც" არის ამგვარი ქრონოლოგიური ორიენტირი ანუ დროის ათვლის წერტილი სიუჟეტისათვის. იგი მოცემულია თხზულების დასაწყისშივე: "წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისაჲ, ძჱ მოგჳსაჲ და წარმართ იყო იგი"[4]. ასე რომ, თხზულების დათარიღებასთან დაკავშირებული ამოცანა შემდეგ კითხვაზე დაიყვანება: რომელია "ხუასრო მეფის" ზეობის დასაწყისი წელი? მისთვის 10 წლის დამატებით ჩვენ გამოვთვლით ევსტათის მცხეთაში მოსვლის თარიღს. თხზულებაში მოცემული სხვა მონაცემები კი დაგვეხმარება წმინდანის მოწამეობრივი აღსასრულის მიახლოებითი დროის დადგენაში და, შესაბამისად თხზულების დაწერის პერიოდის განსაზღვრაში.

ყველაფერი თითქოს მარტივია, ოღონდაც პრობლემას ის ქმნის, რომ ხოსროს სახელით ორი სასანიანი შაჰი ცნობილი. ხოსრო I ზეობა იწყება 531 წელს, ხოსრო II კი – 591 წელს. რომელი მათგანი იგულისხმება "ხუასრო მეფეში"?

---

[4] *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* წიგნი I (V-Xსს). დასაბეჭდად მოამზადეს ავტორთა კოლექტივმა ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1963 გვ.30.

ვახუშტი ბაგრატიონი, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია მიიჩნევდნენ, რომ ესაა ხოსრო II. მიხაილ საბინინი იყო პირველი, რომელმაც ჯერ თხზულების მისეული რუსული თარგმანის, შემდეგ კი ქართული ტექსტის პუბლიკაციისას აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული პოზიცია დაიკავა. "ჰუასრო მეფე" ხოსრო I ჩათვალა. თავისი შეხედულება მ.საბინინს არაფრით დაუსაბუთებია. იგი მას უბრალოდ აფიქსირებდა, როგორც უეჭველ, თავისთავად საგულისხმებელ ფაქტს.

ცოტა მოგვიანებით მ.საბინინის ანალოგიური აზრი გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა თხზულების გერმანული თარგმანისათვის დართულ გამოკვლევაში. აქ გარკვეული არგუმენტებიც იყო მოხმობილი, თუმცადა იმდენად არადამაჯერებელი, რომ თავის "ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში" მკვლევარს ისინი აღარ გაუმეორებია. მაგრამ ამის გამო მას თავის შეხედულებაზე ხელი არ აუღია. იმისათვის, რომ "ჰუასრო მეფის" ხოსრო I იდენტიფიკაცია დაესაბუთებინა, ი.ჯავახიშვილმა ევსტათი რეპრესიების შიშით სპარსეთიდან ლტოლვილ ქრისტიანად წარმოსახა. ქრისტიანთა დევნას კი მართლაც ჰქონდა ადგილი ხოსრო I ზეობის მეათე წელს. მკვლევარს მიაჩნდა, რომ სპარსეთში რეპრესიების დასაწყისი და ევსტათის ქართლს შემოხიზვნა სინქრონული მოვლენებია. ვფიქრობ, მისი შეხედულების ჩამოყალიბებისას მთავარი მაპროვოცირებელი სწორედ "მეათე წლის" დამთხვევის ფაქტორი იყო.

აღნიშნული მოსაზრების მიმართ კრიტიკული პოზიცია დაიკავა მოსე ჯანაშვილმა. იგი იშველიებდა ვახუშტი ბაგრატიონის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას შეხედულებებს, იმოწმებდა VIIს სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობას იმის თაობაზე, რომ ხოსრო II ბრძანებით იკრძალებოდა მაზდეანის გაქრისტიანება, რომ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" ზოგადად ქრისტიანის დევნა კი არაა აღწერილი, არამედ სწორედ ქრისტიანობაზე მოქცეული მაზდეანის დასჯის ისტორიაა მოცემული და, ამრიგად, ხოსრო I ეპოქასთან წმ. ევსტათის მოღვაწეობის დაკავშირება არასწორია.

ი.ჯავახიშვილი გამოეხმაურა მ.ჯანაშვილს. მიუთითა ოპონენტის მიერ მასთან პოლემიკაში დაშვებულ ცალკეულ უზუსტობებზე, მაგრამ მთავარი, ე.ი. "ჰუასრო მეფის" იდენტიფიკაციის საკითხი, უყურადღებოდ დატოვა. თავისი

თვალსაზრისის განსამტკიცებლად მას რაიმე დამატებით მასალა არ მოუყვანია. ხოსრო I ზეობის, როგორც ათვლის წერტილის, შესახებ იგი ისე საუბრობდა, თითქოს მ.ჯანაშვილთან დავის საგანი სხვა რამ ყოფილიყოს.

მიუხედავად იმისა, რომ მ.ჯანაშვილისეული კრიტიკა არსებითად უპასუხოდ დარჩა, ქართველოლოგიაში ი.ჯავახიშვილის შეხედულება დამკვიდრდა. მ.ჯანაშვილის არგუმენტებს არავინ უწევდა ანგარიშს (სავარაუდოა, რომ აღარც ახსოვდათ ისინი) და არც არავინ განიხილავდა "შებრკოლების ლოდად" იმ გარემოებას, რომ "მარტვილობის" სიუჟეტის ქრონოლოგიის ათვლის წერტილად ხოსრო I ზეობის მიჩნევის შემთხვევაში ამ წყაროს მონაცემები წინააღმდეგობაში მოდის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ორი უმთავრესი ისტორიოგრაფიული წყაროს – 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრების" – მონაცემებთან: როგორც ითქვა, რომ 'წმ. ევსტათის მარტვილობაში" მოქმედება იშლება ქართლის პოლიტიკური ისტორიის მეტად სპეციფიკურ პერიოდში, მაშინ, როცა ქვეყანაში არ არსებობდა ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლება (არც მეფე, არც ერისმთავარი) და ქართლი უშუალოდ ირანელი დიდმოხელის – მარზპანის მიერ იმართებოდა. თუ 'მარტვილობაში" აღწერილი ეპოქის ქრონოლოგიის ათვლას ხოსრო I ზეობის მეათე წლით (531+10=541) დავიწყებთ, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული ვითარება ქართლში არსებულა VI საუკუნის I ნახევარში, შუა ხანებში. მაშინ, როცა "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლს 'მეფობა დაესრულა" მეფე ბაკურის დროს, რომელიც, "ქართლის ცხოვრების" ცნობით, იყო ირანის შაჰის ჰორმიზდ IV (579-590) თანამედროვე.

წყაროთა შორის წინააღმდეგობის ფაქტის სათვალავში სრულიად არჩაგდება გამოწვეულ იქნა ქართველოლოგთა ერთი ნაწილის მანკიერი, არსებითად მეცნიერებასთან შეუთავსებადი, პრაქტიკის მიზეზით: ერთის მხრივ, ეს იყო გარკვეული ქართული ნარატიული წყაროებისადმი წინასწარ აკვიატებული ჰიპერკრიტიკული, ნიჰილიზმამდე მისული დამოკიდებულება; მეორეს მხრივ, როგორც დაუწერელი კანონი ბევრისათვის მოქმედებდა (და ახლაც მოქმედებს) "ავტორიტეტის პრინციპი": იგულისხმება, რომ ავტორიტეტული წინამორბედის დამოწმება მკვლევარს სრულიად ათავისუფლებს მოხმობილი არგუმენტების ვარგისიანობის შემოწმებისაგან. ამიტომაც მოხდა, რომ 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის

ცხოვრების" მონაცემებს არავითარი ყურადღება არ მიექცა. მკვლევრები მათ იგნორირებენ, იმეორებენ რა ი.ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ქართლში მეფობის შეწყვეტას VIს I ნახევარში თითქოსდა მხარს უჭერს სხვა წერილობითი წყაროები, მაგალითად ბიზანტიური, სომხური, და ნუმიზმატიკური მასალა.

ვიდრე განვიხილავდე საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ხსენებულ წყაროთა ამგვარი ინტერპრეტაცია და თუ რამდენად არის შესაძლებელი მათი ჩვენებანი დავუპირისპიროთ ქართულ ნარატიულ წყაროთა მონაცემებს, მე დავუბრუნდები "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" "ხუასრო მეფის" იდენტიფიკაციის პრობლემას.

თხზულების ანალიზი გვარწმუნებს, რომ არგუმენტი ევსტათის ქართლში მისვლის წლის ხოსრო I დროს დაწყებულ რეპრესიებთან კავშირის შესახებ "არ მუშაობს". თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე ცხადი ხდება, რომ ქართლში მოსვლამდე ევსტათი ქრისტიანი არ ყოფილა. მცხეთაში გამოჩენისას მოგვების შთამომავალი გვირობანდაკად იწოდებოდა და სახელი ევსტათი მხოლოდ ქართლში, ქრისტიანად მოქცევის შემდეგ მიიღო. სრულიად აშკარაა, რომ შეუძლებელია მისი ირანიდან წამოსვლა ქრისტიანთა დევნასთან იქნეს დაკავშირებული. ამასთან, არსებობს უაღრესად ანგარიშგასაწევი გარემოებანი "ხუასრო მეფის" ხოსრო II იდენტიფიკაციისათვის. თხზულებაში მითითებულია, რომ "ხუასრო მეფის" თანამედროვე მარზპანი იყო არვანდ გუშნასპ. სომხურ ენაზე შემორჩენილი ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულების ცნობითაც, ხოსრო ორმუზდის ძის, ე.ი. ხოსრო ჰორმიზდის ძის ანუ ხოსრო II დროს მარზპანი იყო ერვანდ ეშნასპ ანუ იგივე არვანდ გუშნასპ.

გარდა ამისა, სრულიად უეჭველია მ.ჯანაშვილის მიერ მოხმობილი არგუმენტის მართებულობა, კერძოდ ის, რომ ევსტათის განაჩენი გამოუტანეს ხოსრო II მიერ გამოცემული კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავდა რწმენის ცვლილებას. მისი ერთ-ერთი თანამოღვაწე – სტეფანე სასიკვდილო მსჯავრს სწორედ იმის წყალობით გადაურჩა, რომ სასამართლოზე მოწმეებმა დაადასტურეს მისი შთამომავლობითი ქრისტიანობა, ე.ი. რწმენის უცვლელობა. როგორც ვხედავთ ეს ის დროა, როცა დასჯადი იყო არა ქრისტეს მიმდევრობა, არამედ რწმენის ცვლილება. ასეთი კი იყო ხოსრო II მიერ გამოცემული კანონის მოქმედების ხანა.

ამრიგად "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" მოთხრობილი ამბის ქრონოლოგიის ათვლა უნდა მოხდეს ხოსრო II ზეობის დასაწყისიდან ანუ 591+10=601 წლიდან. ამ დროს მოდის ევსტათი ქართლში. იმ მოვლენების მიხედვით კი, რომელიც ამის მომდევნოდ არის აღწერილი მის "მარტვილობაში", დაახლოებით 10 წელი გადის მოწამეობრივ აღსასრულამდე. თხზულება იქმნება მანამდე, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან მისი თანამოღვაწენი. ეს კი დაახლოებით VIIს 20-30-იანი წლები უნდა იყოს.

ამჯერად ჩვენთვის თვით თხზულების შექმნის თარიღზე არანაკლებ საინტერესოა მასში აღწერილი ეპოქის ქრონოლოგია. ქართლის პოლიტიკური განვითარებისათვის სპეციფიკური ვითარება, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა, როგორც ვხედავთ, დასტურდება VIIს 10-იან წლებში. ამგვარად, "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მონაცემები არ ეწინააღმდეგება "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრების" ცნობას იმის შესახებ, რომ ქართლში მეფობა VIს II ნახევარში "დაესრულა". გენეტურად სხვადასხვა წარმომავლობის ამ ნარატიული წყაროების, ე.ი. ერთის მხრივ, ისტორიოგრაფიული ძეგლების, და, მეორეს მხრივ, ჰაგიოგრაფიული ძეგლის, ინფორმაციათა ჰარმონია, თხზულებაში დადასტურებული "ზუასრო მეფის" ხოსრო II იდენტიფიკაციის შესახებ თვალსაზრისის სისწორის მაჩვენებელია. აღნიშნულ წყაროთა ურთიერთთანხმობა წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრევე გამოთქმული და ჩემ მიერ აღორძინებული და განმტკიცებული თვალსაზრისის თვისებრივ უპირატესობას სხვა, აქამდე ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად მიჩნეულ, შეხედულებასთან შედარებით

ცხადია, რომ საანალიზო ძეგლის ახალი დათარიღების გაზიარების შემთხვევაში "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მონაცემი აღარ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების VI საუკუნის I ნახევარში შეწყვეტის შესახებ შეხედულების გამამტკიცებელ საბუთთა სიაში. ახლა ვნახოთ, თუ როგორია ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული და მიღებული თვალსაზრისის არგუმენტირებისათვის სხვა წყაროების ჩვენებების მტკიცებითი ძალა.

ერთ-ერთ ასეთ წყაროდ მიჩნეულია ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის მონაცემები, რომლის

მიხედვითაც, შაჰ კავადის დროს (488-496 და 499-531) დროის სპარსელთა უღელი ქართლში უკიდურესად დამძიმდა. იბერთა მეფეს ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა მოუნდომებია. გადაუდგამს კიდეც აქეთკენ მიმართული ნაბიჯები, მაგრამ ბიზანტიას მისთვის დახმარება არ გაუწევია. ამიტომ კავადს ქართლში სადამსჯელო ექსპედიცია მოუვლენია. ქართლის მეფე ჯერ ლაზეთში გაქცეულა თავისი ახლობლებით და ამალით, აქედან კი ბიზანტიაში ჩასულა. ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს პროკოპი კესარიელი თავის ნაშრომის De bello Persico I წიგნის მე-12 თავში. ცოტა ქვემოთ კი, კერძოდ, ამავე ნაშრომის II წიგნის 28-ე თავში ისტორიკოსი შენიშნავს: "რადგან მან (*ე.ი. ხოსრომ*) გადაწყვიტა ქალაქი დარა აეღო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები ჩაესახლებინა, ეს ორი კაცი აირჩია ამ ორივე საქმის მომგვარებლად. მას ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა, კოლხიდის ქვეყანა მტკიცე საკუთრებად ჰქონოდა მითვისებული, რადგან, მისი აზრით, სპარსეთის ძლაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრობოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ. მის შემდეგ რაც ამ ბარბაროსთა დიდებულნი გურგენ მეფესთან ერთად განდგომას იზრახავდნენ, როგორც ეს ჩემ მიერ წინა მოთხრობაშია ნაამბობი, იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვით და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძლიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შესძლებდნენ ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ"[5]

აი, სწორედ ამ წყაროზე დაყრდნობით გამოჰყავდა უმეფობის (უფრო ზუსტად ნაციონალური უზენაესი საერო

---

[5] *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეორე. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი: მეცნიერება, 1965, გვ.92-94 (ხაზი ჩემია – მ.ჩ.).

ხელისუფლების არარსებობის) თარიღად 523 წელი ი.ჯავახიშვილს. როგორც ითქვა, დღეს ეს დათარიღება ლამის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ პოსტულატად არის გადაქცეული. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ პროკოფი კესარიელის ცნობის ტრადიციული (ტრადიციულს ვუწოდებ აღნიშნულ მოსაზრებას არა მარტო იმიტომ, რომ იგი ახალი დროის ქართველოლოგიის ფუძემდებლის – ი.ჯავახიშვილის ნაშრომებიდან მომდინარეობს, არამედ იმიტომაც, რომ პრაქტიკულად ყველა ცნობარში და სასწავლო სახელმძღვანელოში ეს პოზიციაა ფიქსირებული) ინტერპრეტაცია არ არის სწორი. აქ მითითებულია, რომ სპარსელები ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ იბერები რომ არ ემორჩილებოდნენ, ესეც ხომ აქვე წერია! პროკოფი კესარიელის სიტყვებით ისე ჩანს, რომ, მიუხედავად სურვილისა და მცდელობისა, იმ დროის სპარსელებმა ქართლში მეფობა ვერ გააუქმეს და ურთიერთჭიდილიც და დაძაბულობაც სწორედ ამის გამო იყო. ასე რომ, წყარო, რომელიც მოიხმობოდა როგორც "მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და "ქართლის ცხოვრების" მონაცემის გამაბათილებელი, სინამდვილეში სულაც არ ეწინააღმდეგება მათ, პირიქით, ადასტურებს კიდეც ზემოხსენებული ქართული წყაროების ჩვენებას იმის შესახებ, რომ მეფობის გაუქმება ქართლში არ მომხდარა VIს I ნახევარში. ასე რომ, ინფორმაციული ჰარმონია არა მარტო ქართულ ნარატიულ წყაროებს შორისაა. მათ არც ბიზანტიური ნარატიული წყარო უპირისპირდება.

ტრადიციულად გაუგებრობას ჰქონდა ადგილი სომხურ ენაზე შემორჩენილი დოკუმენტური წყაროს – "ეპისტოლეთა წიგნის" ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც როგორც ცნობილია, ესაა დოგმატურ საკითხებზე ქართველ და სომეხ საეკლესიო და საერო იერარქთა პოლემიკური მიმოწერის ამსახველი მასალების კრებული. აი, სწორედ ამ კრებულში დაცულ რამდენიმე წერილში, რომლებიც 604-606 წლებით თარიღდება, არის მოხსენებული მთავარი ატრნერსე. მას აიგივებენ ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენის შემდგომ მესამე ხელისუფალთან, კერძოდ, ადარნერსე ერისმთავართან. ფიქრობდნენ, თუკი ამ დროის უკვე მესამე ერისმთავარი იყო, ცხადია, ეს ხელისუფლება უნდა ადრე აღდგენილიყო და, შესაბამისად, კიდევ ამაზე ადრე გაუქმებულიყო ე.ი. ეს მონაცემიც არგუმენტად არის გამოყენებული VIს I ნახევარში მეფობის გაუქმების შესახებ

ხუმოთ აღნიშნული თვალსაზრისისათვის, რომელსაც საყრდენად უკვე გამოეცალა "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და პროკოპი კესარიელის თხზულება: მათი მონაცემები, როგორც ვნახეთ, თანხმობაშია "მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და "ქართლის ცხოვრებასთან", რომლებიც მეფობის შეწყვეტას VI საუკუნის I ნახევარში კი არა, II ნახევარში მიუთითებენ. როგორც ირკვევა, იგივეა ვითარება "ეპისტოლეთა წიგნთან" დაკავშირებითაც.

მთავარი ატრნერსე, როცა საქმე ეხება ქართლის მხრიდან ოფიციალურ პირთა ჩამონათვალს, სახელდება ქართლის კათალიკოსის შემდეგ. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ იგი არ არის ერისმთავარი, რადგან ქართული ტრადიციით ცნობილია, რომ უზენაესი საერო ხელისუფალი სახელდებოდა უზენაეს სასულიერო ხელისუფალზე უწინარესად ასე რომ, ატრნერსეს მოხსენიება "ეპისტოლეთა წიგნში" ვერ დაეხმარება იმ საკითხის გარკვევას, თუ როდის ზეობდა ქართლის მესამე ერისმთავარი ადარნერსე. ატრნერსე და ადარნერსე, მიუხედავად სახელთა სავარაუდო იგივეობისა, ერთი და იგივე პიროვნებანი არ არიან. იმის გარკვევაში თუ ვინ არის "ეპისტოლეთა წიგნში" დასახელებული აღნიშნული მთავარი, გვეხმარება ქართლის კათალიკოსის მიერ სომხური მხარისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილის დასაწყისი, რომლის შესავალშიც მოცემულია ქართლის მხრიდან მოკითხვის შემთვლელთა სია. ეს წერილი, ცხადია, ოფიციალური დოკუმენტია და ასახავს იმ სოციალურ-პოლიტიკურ სუბორდინაციას, რომელიც არსებობდა დასახელებულ პირთა შორის. წერილის ავტორი კირიონ ქართლის კათალიკოსი, არის მოკითხველთა შორის პირველი, მას მოსდევენ მთავრები ატრნერსე და აშუშა. აშუშა ქართლის პიტიახშთა საგვარეულო სახელი იყო, ამიტომ ძნელი არაა მივხვდეთ, რომ ეს მთავარი ქართლის პიტიახშია. ქართველ დიდებულთა სათავეში კათალიკოსისა და პიტიახშის ყოფნის ფაქტმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ერთი ცნობა: როცა ადგილობრივ დიდებულებს სურდათ, რომ ეშუამდგომლათ მარზპანთან ევსტათის საქმისიდან გამოშვებისათვის, ამ სათხოვარით მარზპანის წინაშე მისულ მათ წარმომადგენლობას მეთაურობდა ქართველ იერარქთა სამეული, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ქართლის კათალიკოსი სამოელი, გრიგოლ ქართლის მამასახლისი და არშუშა ქართლის პიტიახში. ამგვარად ვხედავთ, რომ აქაც

"ეპისტოლეთა წიგნის" სიის მსგავსად სამი პირია წარმოდგენილი. თანაც ამ ორი სამეულის პირველი და მესამე წევრები, დაკავებული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით იგივეობრივია: ორივე შემთხვევაში პირველი კათალიკოსია, მესამე ქართლის პიტიახში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ამ თვალსაზრისით ემთხვევა შუა წევრიც ანუ ატრნერსე არის ქართლის მამასახლისი. ამასთან აშკარაა, რომ ეს ორი სამეული ქრონოლოგიურად ერთმეორის მომდევნოა. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას ის იძლევა, რომ ერთ-ერთი წევრი, კერძოდ, მესამე – პიტიახში, არა მარტო თანამდებობრივი პოზიციით, არამედ პიროვნულადაც იგივეა.

"ეპისტოლეთა წიგნის" მონაცემები კარგად თარიღდება ქართული წყაროებისაგან დამოუკიდებლად ამის გამო "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" დადასტურებული პოლიტიკური ვითარების ქრონოლოგიის ალტერნატიული გზით განსაზღვრის საშუალება გვეძლევა. თუ "ეპისტოლეთა წიგნის" მიხედვით, პირველი სამეულის ხელისუფლებაში ყოფნა VII საუკუნის დასაწყის წლებში ჩანს, მაშინ, გამომდინარე ამ ფაქტიდანვე, ლოგიკურია მეორე სამეულის ზეობის დროდ VII საუკუნის 10-იანი წლების ვარაუდი. ასე რომ, "ეპისტოლეთა წიგნი", სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ქართლში შექმნილი სპეციფიკური პოლიტიკური ვითარების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით არათუ არ ეწინააღმდეგება სხვა წყაროებს ("მოქცევაჲ ქართლისაჲს", "ქართლის ცხოვრებას" და "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობას"), არამედ, პირიქით, ადასტურებს მათ და ისტორიული ეპოქის სურათს ახალი ინფორმაციითაც ავსებს.

ახლა რაც შეეხება ნუმიზმატიკურ წყაროებს. ე.წ. ქართულ-სასანური დრაქმები ირანული მონეტების ადგილობრივ მინაბაძებს წარმოადგენენ. დასაშვებია თუ არა, რომ მათი საშუალებით ვიმსჯელოთ ქართლის ერისმთავართა ზეობის ქრონოლოგიაზე? ამ მიზნით აღნიშნული წყაროები პირველად გ.წერეთელმა გამოიყენა. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია მონეტებზე მოჭრილ თარიღებს და მათი მეშვეობით განსაზღვრა ქართლის ერისმთავართა ზეობის წლები. ამის შემდეგ ტრადიციად გადაიქცა აღნიშნულ წყაროების ასეთი განმარტება. მაგრამ თარიღები ქართულ-სასანურ დრაქმებზე ეკუთვნის მონეტათა ორიგინალებს და არა მინაბაძებს. ისინი მიუთითებს ირანის შესაბამისი შაჰის ქრონოლოგიაზე, ქართლის ერისმთავართა ზეობის დათარიღებისათვის კი,

სამწუხაროდ, ვერ გამოდგება. ამ შემთხვევაში ეს წყაროები არარეპრეზენტატულია. მათი გამოყენება ამ კონკრეტული ისტორიული რეკონსტრუქციისათვის აღარ ხერხდება, მაგრამ ის კი გაირკვა: ისინი დაბრკოლება ვერ იქნება განსახილველი პერიოდის მოვლენათა ჩემეული ქრონოლოგიისათვის.

ამგვარად, ვფიქრობ, მკითხველისათვის ცხადი გახდა, რომ დასკვნებს ‘წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში” აღწერილი ისტორიული ეპოქის VIIს 10-ანი წლებით განსაზღვრის, ხოლო თავად ძეგლის VIIს 20-30-იან წლებში შექმნის შესახებ, არაფერი ეწინააღმდეგება.

ამის შემდეგ ‘მოქცევაჲ ქართლისაჲს” მიხედვით დავადგინე, რომ ‘წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის” შექმნის დროისათვის, ე.ი. VIIს 20-30-იანი წლებში, ქართლში ზეობდა ერისმთავარი სტეფანოზ I. ამ წყაროში წარმოდგენილი მისი პორტრეტის შტრიხები კი დავაზუსტე ეპიგრაფიკული წყაროების (მცხეთის ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკისა და მცხეთის ჯვრის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფების წარწერების) საშუალებით, რის შემდეგაც დავასკვენი, რომ სტეფანოზ I დაკავშირებით ‘მოქცევაჲ ქართლისაჲს” მონაცემები უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე “ქართლის ცხოვრება.” ამ დასკვნის შესამოწმებლად კი შევეცადე ის გარემოებანიც გამერკვია, რომელთაც გამოიწვიეს სტეფანოზის შესახებ ინფორმაციის თავისებური მოდიფიკაცია “ქართლის ცხოვრებაში.” ასეთი ძების არსი ის იყო, რომ წყაროს ჩვენების მცდარად მიჩნევის შემდეგაც ინფორმაციის უგულვებელყოფა ისე არ მომხდარიყო, რომ მისი გაჩენის რეზონული მიზეზები არ დასახელებულიყო

ასეთია მოკლედ ჩემი ზემოხსენებულ წიგნის შინაარსი.

1

1.1

ანრი ბოგვერაძის ხსენებული სტატია-რეცენზია სულ შვიდგვერდიანია. აქედან ერთი გვერდი ეთმობა რეზიუმეებს რუსულ და ინგლისურ ენებზე და დამოწმებულ სპეციალურ ლიტერატურას, ორი გვერდი – თავად ავტორის თვალსაზრისის პოზიტიურ გადმოცემას, დანარჩენ ოთხ გვერდზე კი მოცემულია, ჩემი ჩათვლით, ოთხი ავტორის თვალსაზრისის კრიტიკა. ვ.გოილაძის თვალსაზრისის განხილვას ეთმობა ნახევარი გვერდი (გვ.72), მ.სანაძისას – ერთ გვერდზე ოდნავ მეტი (გვ.72-73), ნ.სანიკიძისას – გვერდის მეოთხედზე ნაკლები (გვ.75), ხოლო მ.ჩხარტიშვილისას – ორი გვერდი (გვ.73-75). აქედან ორი ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: (1) საკითხებისადმი რეცენზენტის დამოკიდებულება ზერელეა – ოთხი ავტორის მოსაზრების კრიტიკა ოთხ გვერდზე; (2) ჩემ ნააზრევს სხვებზე მეტი ყურადღება ექცევა: ოთხიდან ორი გვერდი სწორედ მის კრიტიკას ეთმობა.

სტატიის მიზანდასახულება დასაწყისშივეა გამოთქმული:

> „აღნიშნულ საკითხებზე უკანასკნელი ათწლეულის ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი დაუსაბუთებელი და მიუღებელი აზრი გამოითქვა. კარგა ხანს მათ შესახებ ჩემი დამოკიდებულების გამოთქმისაგან თავს ვიკავებდი. მაგრამ რადგან ბოლო ხანებში ამ მოსაზრებებმა შემდგომი გავრცელება ჰპოვეს, დუმილი გაუმართლებლად მივიჩნიე".[6]

როგორც ვხედავთ კრიტიკული პათოსი თავიდანვე გამართლებულია: რა უნდა იყოს მეცნიერის ზრუნვის საგანი,

---

[6] ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა).* ანალები. საქართველოს მეცნ. აკად. ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი. 2001, №2, გვ.70.

თუ არა "დაუსაბუთებელი და მიუღებელი აზრების" გავრცელებისათვის ხელის შეშლა!

ამის შემდეგ რეცენზენტი საკუთარ თვალსაზრისს აფიქსირებს პოზიტიურად. საჭიროდ მიმაჩნია მისი გადმოცემა. იმისათვის რომ უნებლიედ არ დავარღვიო კოლეგის აზრი, თავს შევიკავებ პერიფრაზირებისაგან და უცვლელად მოვიყვან სტატიისათვის დართული რუსული რეზიუმეს შესაბამის ნაწილს, რომელშიც, უნდა ვიფიქროთ, წარმოდგენილია რეცენზენტის შეხედულებათა კვინტესენცია[7]:

> «В статье автор защищает известие Прокофия Кесарийского, согласно которому, после поражения 523 году царя Гургена восставшего против Ирана, царская власть в Картли была упразднена и страна после этого стала марзпанской областью шаха. Автор отстаивает точку зрения, по которой национально-политическое правление в странс было восстановлено в 571 году, с началом большого восстания против Ирана и созданием института Картлийского эрисмтавари».[8]

---

[7] თუმც ინგლისური რეზიუმეს შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. იგი აშკარად ავტორის აზრს ვერ ასახავს. მასში რამდენიმე სერიოზული ენობრივ-აზრობრივი ლაფსუსია, მაგრამ ერთი მათგანი ყოველგვარ საზღვარს სცილდება: ქართლის ერისმთავარი განმარტებულია, როგორც ქართლის ტომის ბელადი: "According to the opinion adhered by the author the national political status in the region was restored in 571 A.D. with the establishment of Erismtavari of Kartli (Kartli tribe leader) institution as a result of the great uprising against Iran". წარმოდგენილი აზრი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არაპროფესიული თარგმანის შედეგია, ამახინჯებს არა მარტო კონკრეტულად ავტორის შეხედულებას (მას ამდაგვარი ნამდვილად არაფერი აქვს ნათქვამი), არამედ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მთელ ქართულ ისტორიოგრაფიას. რეზიუმე, რომელიც ინგლისურენოვან მკითხველს ამცნობს, რომ თითქოს VI საუკუნეში ქართლში ტომის ბელადის ხელისუფლება არსებობდა, უმჯობესი იყო საერთოდ არ დაერთოდა სტატიას.

[8] იქვე, გვ.76.

ამ თვალსაზრისში ახალი არაფერია. იგი ტრადიციული აზრია, რომელსაც სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი ვხვდებით. შდრ. მაგალითად:

> "523წ. ქართლის მეფე გურგენმა ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება სცადა, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა დიდაზნაურთა უმრავლესობამ. ვერც ბიზანტიის იმპერიიდან მიიღო დაპირებული დახმარება და მეფე იძულებული გახდა თავისი ოჯახის წევრებით და ამალით დასავლეთ საქართველოში გადასულიყო ... აქ იგი იმედოვნებდა ბიზანტიისაგან დახმარების მიღებას, მაგრამ 532წ. ბიზანტიამ "საუკუნო ზავი" დადო ირანთან, რომლის ძალითაც მან სცნო ირანელთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოზე. გურგენმა ქართლში დაბრუნება ველარ შეძლო. ირანელებმა არც სხვა ვინმეს მისცეს გამეფების ნება და ამით ქართლში მეფობა გააუქმეს ... VI საუკუნის 70-იან წლებში ირანელთა ბატონობით უკმაყოფილო ქართველები, სომხები და კავკასიელი სხვა ხალხები ერთდროულად აღდგნენ მათ წინააღმდეგ ... ქართლის დიდაზნაურებმა, ერისთავებმა და მთავრებმა ... ხელისუფლად აირჩიეს ... ირანის წინააღმდეგ აჯანყების მეთაური გუარამი."[9]

სწორედ ამ ტრადიციული შეხედულებას აბათილებდა ჩემს ზემოთ დასახელებულ წიგნში წარმოდგენილი კვლევა. ამიტომ რეცენზენტის თვალსაზრისის პოზიტიური სახით ფიქსაცია თავისთავად რაიმე ახალ მამტკიცებელ საბუთს ვერ იძლევა. ვნახოთ ახერხებს თუ არა ამას ა.ბოგვერაძე ჩემი შეხედულების ნეგაციის გზით.

როგორც ვთქვი, ჩემ გარდა ის კიდევ სამ ავტორს აკრიტიკებს. ჩემზე მსჯელობას კი მკვლევარი ასე იწყებს:

> "არც მ.ჩხარტიშვილი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მეფობა ქართლში გაუქმდა VIს 30-

[9] ნ.ასათიანი, ვ.გუჩუა, მ.ლორთქიფანიძე, შ.მესხია. *საქართველოს ისტორია*. VIII-IX კლასების სახელმძღვანელო. მეორე შესწორებული გამოცემა. თბილისი: განათლება, 1990, გვ.74,79,80.

იან წლებში (მას 523 წლის ახლო ხანები VIს 30-იან წლებად მიაჩნია)".[10]

რა თქმა უნდა, მე კარგად ვიცი, რომ 523 წელი VI საუკუნის 30-იანი წლები არ არის, და, რა თქმა უნდა, არც არსად მიწერია, რომ 523 წლის ახლო ხანები VI საუკუნის 30-იან წლებს ნიშნავს. ამაში დარწმუნება ყოველ დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია ჩემი ზემოხსენებული წიგნის გაცნობის შედეგად. ამჯერად კი ჩემი მსჯელობის იმ ადგილს მოვიყვან მხოლოდ, რომელიც მხედველობაში ჰქონდა ა.ბოგვერაძეს:

► "აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა მსჯელობა. მაგრამ საქმე ისაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ქართლში უზენაესი საერო ხელისუფლების არარსებობის პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრების თაობაზე იმისაგან მკვეთრად განსხვავებული აზრი არსებობს, რაც წინამდებარე გამოკვლევის შედეგებით არის საგულისხმებელი. კერძოდ, ითვლება, რომ ქართლში მეფის ხელისუფლება შეწყდა VIს 30-იან წლებში, აღდგა ამავე საუკუნის 70-90-იან წლებში".[11] ◄

ამრიგად, როგორც ეს თვალსაჩინოა, ამ ნაწყვეტში მე აღვწერ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას. მაგრამ რატომ ვუთითებ ერთ-ერთ ქრონოლოგიურ საზღვრად VI საუკუნის 30-იან წლებს? როგორც სასკოლო სახელმძღვანელოდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდიც გვარწმუნებს, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულებით, აღნიშნული პოლიტიკური ვითარება ანუ უმეფობა დაკანონდა ბიზანტიასა და ირანს შორის "საუკუნო" იგივე "უვადო" ზავით ვიმეორებ, ეს არის ტრადიციული და არა ჩემი თვალსაზრისი. თავად ა.ბოგვერაძეც ასე მიიჩნევდა, რასაც თუნდაც მისი რეცენზია ადასტურებს:

---

10 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.72.

11 მ.ჩხარტიშვილი. *"მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ". "ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა).* თბილისი: მეცნიერება, 1994, გვ.37.

"532 წელს ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის დადებულმა "უვადო ზავმა" ქართლში შექმნილი ვითარება ფაქტურად დააკანონა."[12]

შდრ., აგრეთვე, გ.ჩუბინაშვილი:

«И действительно, если уже к 523г. и во всяком случае окончательно, в 532г. «царская власть в Грузии прекратилась...»».[13]

ამრიგად, ვითარება ასეთია: მე არსად არ მიწერია, რომ 523 წელი არის VIს 30-იანი წლები; ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლში უმეფობის დაკანონებას უკავშირებდნენ 532 წლის "საუკუნო ზავს", რაც, მართლაც, არის VI საუკუნის 30-იანი წლები. არა მგონია, კოლეგისათვის გაუგებარი ყოფილიყო, რომ, როცა ვამბობ VIს 30-იან წლებს, მე ვგულისხმობ სწორედ 532 წელს. ჩანს, რომ რეცენზენტს ჩემდამი მკითხველის უნდობლობის გამოწვევა სურდა, უნდოდა როგორღაც (თუნდაც ფაქტების დამახინჯებით) თავიდანვე ეჩვენებინა რაოდენ არაკომპეტენტური ავტორია მ.ჩხარტიშვილი.

## 1.2

რეცენზიის მომდევნო ნაწილი მიმტკიცებს ამ აზრს. აქ ვკითხულობთ

"ამის შემდეგ ის (ე.ი. მე – მ.ჩ) წერს: "ამგვარი ქრონოლოგია მცდარია. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში შეხვედრილი არგუმენტთა საგანგებო კრიტიკული განხილვის საჭიროება ობიექტურად არ

---

12 ა.ბოგვერაძე. *VIს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.70.

13 Г.Чубинашвили. *Памятники типа Джвари*. Тбилиси: Изд. АН Грузии, 1948, с.24. ავტორს თარიღსათვის 532 გაკეთებული აქვს შენიშვნა და სქოლიოში უთითებს: ი.ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, I, 1928, გვ.227. ე.ი. ი.ჯავახიშვილის აზრიც ამგვარი იყო

არსებობს. მიუხედავად ამისა, მეტი სიცხადისათვის ჩვენ მაინც ვამჯობინებთ მათზე მოკლედ შეჩერებას"."[14]

საინტერესოა, რომ ჩემი ნაშრომიდან მოყვანილ ამ ციტატს, რეცენზენტის არავითარი კომენტარი არ ახლავს. ალბათ თვლიდა, რომ ის თავისთავად იყო ჩემზე უარყოფითად მეტყველი. მართლაც, ვინც ჩემს მსჯელობას ა.ბოგვერაძესთან მოცემული ციტატით გაეცნობა, უთუოდ იფიქრებს, რომ ლიტონი განცხადებების მოყვარულ, წინამორბედთა ნააზრევის ხელაღებით უარმყოფელ და უპასუხისმგებლო ავტორთა რიცხვს ვეკუთვნი.

სინამდვილე კი ასეთია: მას შემდეგ, რაც პრობლემა პოზიტიური მსჯელობით გადავწყვიტე, სპეციალურ ლიტერატურაში არსებული უსაფუძვლო მსჯელობების განხილვის პრინციპული აუცილებლობა აღარ იყო. მიუხედავად ამისა, მე ანგარიში გავუწიე რეალურ ვითარებას ანუ მცდარ შეხედულებათა საყოველთაო გავრცელებულობას და ჩემს ზემოთ დასახელებულ წიგნშივე წარმოვადგინე ამ მცდარი ინტერპრეტაციების კრიტიკული ანალიზიც, მიზნად ვისახავდი, რომ უკვე ნეგაციის გზით მეჩვენებინა ის, რაც მანამდე პოზიტიური მსჯელობებით დამტკიცებული მქონდა. ა.ბოგვერაძე ამას უმალავს მკითხველს. გასაგებია, რომ ჩემი მსჯელობის სრულად წარმოდგენა რეცენზენტს გაუჭირდა (თუმცა, უპრიანი კი იყო, რახან კრიტიკა მოისურვა, მოთმინებაც უნდა ჰყოფნოდა, რომ დაწვრილებით გაერჩია სხვისი აზრი), მაგრამ თუნდ ციტირებული წინადადება რომ მოეყვანა სრულად, არ მოეკვეცა მისთვის დასაწყისი რამდენიმე სიტყვა და შუაშიც არ გამოეტოვებინა აზრის გაგებისათვის მნიშვნელოვანი სიტყვები, მკითხველი თავადაც მიხვდებოდა, რომ ჩემი დასკვნა ლიტონი განცხადება არაა. ამიტომ ქვემოთ მოვიყვან ჩემს მსჯელობას ისე, რა ფორმითაც ის ჩემს წიგნშია მოცემული. ა.ბოგვერაძის "რედაქტორული" მუშაობის გათვალსაჩინოებისათვის კი გავხაზავ მის მიერ გამოტოვებულ ადგილებს. ამ, ერთი შეხედვით, "უცოდველი" კორექტივების შედეგად შეცვლილია მსჯელობის აზრიც და ტონალობაც

---

14 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.73

► “ზევით მოყვანილი მსჯელობა ასაბუთებს, რომ ამგვარი ქრონოლოგია მცდარია. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების არგუმენტაცია საგანგებო კრიტიკული განხილვის საჭიროება ობიექტურად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მეტი სიცხადისათვის ჩვენ მაინც ვამჯობინებთ მასზე მოკლედ შეჩერებას.”[15] ◄

13

რეცენზიის შემდეგი წინადადებაც აშკარად იგივე მიზანს ემსახურება:

> “ამის მერე ის (ე.ი. მე – მ.ჩ) იწყებს ივ.ჯავახიშვილის კრიტიკას, რომლის კონცეფციაში იღებს მისი სიტყვით სათავეს ‘მეფობის დასრულება” ქართლში პროკოპი კესარიელის ცნობაზე დამყარებით. მ.ჩხარტიშვილს მოჰყავს პროკოპის ცნობა და დაასკვნის, რომ ეს ცნობა მიღებული თვალსაზრისისათვის საფუძვლად არ გამოდგება. საქმე სწორედ პირიქით ყოფილა, რადგან პროკოპი კესარიელის ცნობა ძველქართული საისტორიო ტრადიციის საწინააღმდეგოს თურმე არაფერს შეიცავს (თუ პროკოპის ცნობა წინა ავტორებს სამხრეთ-დასავლეთ ქართლის მმართველებზე გადააქვთ, მ.ჩხარტიშვილი თვითონ ამ ცნობის აქამდე არსებულ გაგებაში ხედავს შეცდომას). ალბათ ავტორი ფიქრობს, რომ რადგან იბერები თავის ნებით არ ემორჩილებოდნენ სპარსელებს, მათ მეფეებიც ჰყოლიათ მათ დაუკითხავად მაგრამ თუ რატომ ძალიან უჭირდათ უმეფობის მდგომარეობაში ყოფნა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ აჯანყებისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საჭიროდ არ თვლის.”[16]

“ის იწყებს ივ.ჯავახიშვილის კრიტიკას” – მიუთითებს რეცენზენტი ჩემზე მკითხველს. ამ შემთხვევაში მისი გათვლა

[15] მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა*, გვ.37-38

[16] ა.ბოგვერაძე. VI *ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.73-74.

ის არის, რომ ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლოს (ასეთ კი უდავოდ არის ი.ჯავახიშვილი) კრიტიკა, არ მოეწონება ქართველ მკითხველს. მაგრამ მე ვაკრიტიკებ არა ი.ჯავახიშვილის პიროვნებას, არამედ კონკრეტულ მეცნიერულ დასკვნას, კერძოდ, პროკოფი კესარიელის მოთხრობილი ცნობის ინტერპრეტაციას, როგორც ქართლში მეფობის გაუქმების საბუთს. მართალია, აღნიშნული ინტერპრეტაცია ეკუთვნის ი.ჯავახიშვილს, მაგრამ იგი მცდარია და განა მეცნიერულ კვლევას, რომლის მიზანია ჭეშმარიტების ძიება, შეიძლება ჰქონდეს, არგუმენტის გარდა, სხვა რაიმე ავტორიტეტის როლი, თუნდაც ეს იყოს ქართული იდენტობის მარკერად მიჩნეული პიროვნების ავტორიტეტი?! ი.ჯავახიშვილი ახალი დროის ქართველოლოგიის ფუძემდებელია, ის ქართველის წარმოსახვაში მშობლიური ისტორიის სიყვარულთან არის გაიგივებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი მისი კონკრეტული დასკვნა უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებაა და რევიზიას არასოდეს არ დაექვემდებარება.

ამჯერადაც ჩემი თვალსაზრისის არავითარი კრიტიკულ ანალიზი არაა წარმოდგენილი. რეცენზენტი ირონიული ფრაზებით კმაყოფილდება: "საქმე თურმე პირიქით ყოფილა", "თურმე არაფერს შეიცავს". კვლავ და კვლავ მარტივი გათვლაა: ეტყობა, მისი აზრით, აქაც იგივე სტერეოტიპი და ფსიქოლოგიური მექანიზმი უნდა "იმუშაოს" იმ მკითხველისათვის, რომელმაც სკოლის მერხიდან იცის პროკოფი კესარიელის ცნობის ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაცია და ჰგონია, რომ ეს არის წყაროს პირდაპირი ინფორმაცია. ამის უარმყოფელ ჩემს მსჯელობებს კი რეცენზენტი არ წარმოადგენს. არათუ არ წარმოადგენს, იმასაც კი მალავს, რომ საერთოდ რაიმე არგუმენტაცია მაქვს. ამ ვითარებაში კი, ცხადია, უბრალო ირონიაც საკმარისია.

საინტერესოა რეცენზენტის კითხვაც ჩემდამი: "რატომ ძალიან უჭირდათ უმეფობის (ხაზი ჩემია – მ.ჩ) მდგომარეობაში ყოფნა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდნენ აჯანყებისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საჭიროდ არ თვლის".

ერთი შეხედვით, თითქოს წყაროს ინფორმაციის განმეორებაა. შდრ: "იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა". მაგრამ ა.ბოგვერაძემ ზუსტად ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვა – "უმეფობა", რომელიც არსებითი იყო ამ შემთხვევაში. იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს თავად პროკოფი კესარიელი აცხადებს, რომ იბერებს უმეფობა

უჭირდათ მაშინ, როცა იგი ამბობს, რომ უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. მაშინდელი მდგომარეობა კი ამის წინ აქვს აღწერილი და, როგორც უკვე ვნახეთ, ეს იყო ის, რომ სპარსელები ნებას არ აძლევდნენ მეფე ჰყოლოდათ, მაგრამ არც იბერები ემორჩილებოდნენ. ანუ ეს იყო მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა, რაც მართლაც, რომ ძნელი უნდა ყოფილიყო და სწორედ ასეთ ვითარებაში უჭირდათ ყოფნა, პროკოპი კესარიელი სიტყვებიდან გამომდინარე, იბერებს. ვფიქრობ, გასაგებია, რატომ გახდა აუცილებელი ჩემი, როგორც პროფესიონალის, შესაძლებლობების ეჭვის ქვეშ დაყენება რეცენზენტისათვის: ჩანს, ისიც გრძნობდა, ტრადიციული თვალსაზრისის დასაბუთება სრულიად უპერსპექტივო გახდა. მ.ჩხარტიშვილის თვალსაზრისის მცდარობაში მკითხველის დარწმუნება კი, რატომღაც, უფრო შესაძლებლად მიიჩნია.

როგორც ითქვა, ა.ბოგვერაძე პროკოპი კესარიელის თხზულების აღნიშნული ადგილის ინტერპრეტაციისას ტრადიციული თვალსაზრისის მიმდევარია, ხოლო ამ ტრადიციის დამფუძნებელი ი.ჯავახიშვილია. ცხადია, აქ მკითხველს არ შეიძლება არ აღუძრეს კითხვა: მართალია, გასაკვირია, რომ ა.ბოგვერაძეს წყაროს ინტერპრეტაციისას მოსდის ასეთი შეცდომა – პირდაპირ ჩვენებას არ განმარტავს სწორად, მაგრამ იგი ქართული ისტორიოგრაფიის მაინც რიგითი წარმომადგენელია და ამგვარი რამ მის შემთხვევაში ასე თუ ისე გასაგებია, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს ლაფსუსი გაჰპარვოდა ი.ჯავახიშვილს?

საქმე ის არის, რომ ი.ჯავახიშვილი შეცდომაში შეიყვანა არაზუსტმა თარგმანმა. ჩემგან განსხვავებით, იგი ეყრდნობოდა არა ს.ყაუხჩიშვილისეულ ქართულ თარგმანს, რომელიც მისი გამოკვლევის დაწერის დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა, არამედ რუსულ თარგმანს, რომელშიც საანალიზო ადგილი არაზუსტად არის გადმოღებული. ყველაფერი რომ ცხადი იყოს, მოვიყვან ამონარიდებს ჯერ ი.ჯავახიშვილის ნაშრომიდან, ხოლო შემდეგ მის მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული პროკოპი კესარიელის რუსული თარგმანიდან.

> "მას შემდეგ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, და ბიზანტიის მფარველობას მიმართეს. მაგრამ კეისრის მხრივ

პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულ იქნენ, ხოლო სამეფო სახლისა და ამბოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდეგ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს."[17]

ამ მსჯელობის წყაროდ მითითებულია დესტუნისის თარგმანი[18], კერძოდ, ამ თარგმანის 208-ე გვერდი. ამ თარგმანში კი აი რას ვკითხულობთ:

«Персы более не позволяли Ивирам иметь своего царя; они покорствовали Персам против своей воли.»[19]

«Персы не позволяли им иметь своего царя, и Ивиры покорствовали Персам против воли.»[20]

ვფიქრობ, ახლა გასაგებია თუ რატომ განმარტავდა ასე პროკოპი კესარიელის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილს ი.ჯავახიშვილი: მის ხელთ არსებული წყარო, უფრო სწორად, წყაროს რუსული თარგმანი, სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ რეცენზენტი ს.ყაუხჩიშვილის თარგმანს რომ ემყარება და ი.ჯავახიშვილის ინტერპრეტაციას კი იზიარებს, მართლაც, გასაოცარია. როგორც ვნახეთ, საღი აზრის ლოგიკის დონეზეც კი შეუძლებელია წყაროს იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც ა.ბოგვერაძე და ამავე შეხედულების მქონე სხვა ავტორები გვთავაზობენ ს.ყაუხჩიშვილის თარგმანზე დაყრდნობით

---

17 ი.ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979, გვ. 285 (ხაზი ავტორისაა – მ.ჩ.)

18 იქვე, შენ.6.

19 Прокопия Кесарийского *История войн римлян с персами, вандилами и готтами*. Перевод с греческого Спиридона Дестуниса. Комментарий Гавриила Дестуниса. *История войн римлян с персами*. Книга первая. Санкт-Петербург, 1876, с.147, пр.9.

20 Прокопия Кесарийского *История войн римлян с персами, вандилами и готтами*. Перевод с греческого Спиридона Дестуниса. Комментарий Гавриила Дестуниса. *История войн римлян с персами*. Книга вторая. Санкт-Петербург, 1876, с.208.

1.4

'მ. ჩხარტიშვილის მიხედვით გამოდის, რომ ქართლში ბაკური ყოფილა მეფედ, როცა 571 წელს ქართველები აჯანყებულან გურგენის წინამძღოლობით, რაც არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. ავტორი ალბათ ფიქრობდა, რომ მას შემდეგ, რაც "ევსტათი მცხეთელის მარტვილობას" VIIს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებდა, დაბრკოლება აღარ რჩებოდა ქართლში VIს-ის უკანასკნელ ოცწლეულში მეფობის გაუქმების მტკიცებისათვის. ავტორმა სომხური ჰაგიოგრაფიული ძეგლის "გრიგოლ მანაჭიჰრის მარტვილობაში" არსებულ ერთ მცდარ ცნობაზე (ასეთად თვლიდნენ მას ჯერ კიდევ წინამორბედი მკვლევარნი) დამყარებით მიიჩნია, რომ "ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" მოცემულია არა ხოსრო I ანუშირვანის ხანა, არამედ მისი შვილიშვილის ხოსრო II ფარვიზისა, რამდენადაც ამ ძეგლში აღნიშნულია, რომ ხოსრო ჰორმიზდის ძის დროს ქართლში მარზპანი იყო ერვანდ ვშნასპ ანუ არვანდ გუშნასპ. მაგრამ არვანდ გუშნასპის მარზპანობის 600-იან წლებში გადმოტანა გაუმართლებელია, რადგან მარზპანი ქართლში იჯდა არც მეფის და არც ერისმთავრის დროს. ქართლში კი ამ დროს. საეჭვო არაა, რომ ერისმთავრის ხელისუფლება არსებობდა.'[21]

რეცენზენტს ჰგონია, რომ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" დაწერის თარიღის მიხედვით ვადგენ ქართლში მეფობის გაუქმების დროს. ეს თარიღი მოცემულია "მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და "ქართლის ცხოვრებაში"! "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება, რითაც აღნიშნულ წყაროებს ამოწმებს. რაც შეეხება "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" ნახსენებ "ხუასრო მეფის" იდენტიფიკაციას, როგორც უკვე ვაჩვენე, მე ამას ვახდენ არა მარტო სომხურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლზე დაყრდნობით, არამედ იმითაც, რომ, ერთის მხრივ, ხოსრო I იდენტიფიკაციის

---

21 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.74.

სასარგებლოდ არავითარი არგუმენტი არ არსებობს და, მეორეს მხრივ, თვით თხზულების ანალიზი მხარს უჭერს ხოსრო II "ხუასრო მეფესთან" გაიგივებას. რაც შეეხება სომხურ ენაზე შემორჩენილი ჰაგიოგრაფიული თხზულების უარყოფით შეფასებას წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, მე ის არსად შემხვედრია. დარწმუნებული ვარ არც თავად რეცენზენტს. შემთხვევითი არაა, რომ იგი ვერ ასახელებს იმ მკვლევრებს, რომელთაც თითქოსდა ანგარიშგასაწევი არგუმენტები ჰქონდათ ჩემ მიერ გამოყენებული წყაროს უვარგისობის საჩვენებლად. მეცნიერულ კრიტიკას არა, მაგრამ წინამორბედთა მიერ ამ წყაროს ჩვენების დაუსაბუთებელი იგნორირების ფაქტებს, მართლაც, ვიცნობ. იმის მიუხედავად რომ წყაროში პირდაპირ წერია: არვანდ გუშნასპ იყო სპარსთა მეფის ორმუზდის ძის (ე.ი. ხოსრო II ფარვიზის) თანამედროვე, ი.ჯავახიშვილი მაინც შენიშნავდა, რომ ეს ხოსრო I ანუშირვანია, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო არა ჰორმიზდის ძე, არამედ კავადის ძე. ანალოგიურად იგნორირებდა ამ ცნობას კ.კეკელიძეც, მაგრამ იმ სხვაობით, რომ ციტირებისას იგი არსებით დეტალს ხოსროს ამოსაცნობად, კერძოდ, მის მამის სახელს, ტოვებდა. თუ ამგვარ პოზიციას გულისხმობდა ა.ბოგვერაძე, მე მათ ვიცნობ, მაგრამ ეს ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულ არგუმენტად.

მეც იმ აზრისა ვარ, რომ მარზპანის უზენაესი გამგებლობის დროს ქართლში არ შეიძლება ყოფილიყო მეფე ან ერისმთავარი. მაგრამ მარზპანის მმართველობას ქართლში მე ვაფიქსირებ VI საუკუნის ბოლო ოცწლეულსა და VII საუკუნის პირველ ოცწლეულში. ამ დროს კი, ისევ ჩემი კონცეფციით, არც ერისმთავარია, არც მეფე, არამედ ქვეყანას უშუალოდ ირანელი დიდმოხელე მარზპანი განაგებს ადგილობრივ წარჩინებულებთან თანამშრომლობით. ის, რომ რეცენზენტის თვალსაზრისი ამ დროს ერისმთავრის ხელისუფლების არსებობას უშვებს, ეს მის ხარვეზიანობაზე მიუთითებს და სულაც არაა ჩემი შეხედულების პრობლემა.

## 1.5

"თუ ვ.გოილაძე ქართლში მეფობის გაუქმებას 537 წლით ათარიღებს, ხოლო მ.სანაძე – 558-62 წლებით, მ.ჩხარტიშვილის აზრით ქართლში მეფობა შეწყვეტილა VIს-ის უკანასკნელ ოცწლეულში, რადგან "ქართლის

ცხოვრების" ცნობით მეფე ბაკური, რომლის შემდგომადაც "მეფობაც დაესრულა" იყო თანამედროვე ჰორმიზდ IV-ისა (579-590). მაგრამ მეფობა ქართლში 570 წლამდე დიდი ხნით ადრე რომ აღარ არსებობდა, ამას მოწმობს მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობა, რომლის თანახმად 571 წელს ქართლის აჯანყების წინამძღოლი გურგენი "მეფე" კი არა, "მთავარია"."[22]

სამწუხაროდ, ა.ბოგვერაძე წყაროს ინფორმაციას აქაც დამახინჯებით წარმოადგენს: თეოფანე ბიზანტიელი გორგენს უწოდებს "მეთაურს" და არა "მთავარს". ეს უკანასკნელი, შესაძლოა, რომ ყოფილიყო (და იყო კიდეც) ქართველთა უზენაესი ხელისუფალი, მაგრამ წყაროს დაკონკრეტებული არა აქვს იგი ერისმთავარია თუ მეფე. თეოფანე საუბრობს იმაზე, რომ აჯანყებულ სომხების კვალდაკვალ ქართველებიც აჯანყდნენ. სწორედ აჯანყებულთა მეთაური – ჰეგემონი ყოფილა გორგენი. თუმცა, მთარგმნელს – ს.ყაუხჩიშვილს დედნის ეს ადგილი იმგვარად აქვს გადმოღებული, რომ მის სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც გაუჩნდეს მკვლევარს, თითქოს გორგენს მთავრად სახავს თეოფანე. კერძოდ, თარგმანში ნათქვამია, რომ ქართველებს გორგენი "მთავრობდა". უმჯობესი იყო თქმულიყო "მეთაურობდა". ეს თვალსაჩინოს გახდიდა, რომ საქმე ეხება აჯანყების წინამძღოლობას. ზოგადად, მთავარიც, რა თქმა უნდა, ჰეგემონია, მაგრამ ქართულად მას სპეციფიკური სოციალური ტერმინის მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ჰეგემონის შესატყვისად უმჯობესია, მეთაური გამოიყენონ. მაგრამ თარგმანის ორაზროვნება არ ამართლებს რეცენზენტის შეცდომას: მთარგმნელმა, ვფიქრობ, იმიტომაც წარმოგვიდგინა ქართულის პარალელურად ბერძნული ტექსტი, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი ინტერპრეტაციის დაზუსტების საშუალება მოგვცემოდა. სხვათა შორის, ვიდრე ჩემი

---

22 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.74. ხაზი ჩემია და ემსახურება იმის დაფიქსირებას, რომ თეოფანე ბიზანტიელის (VI საუკუნის ავტორი) მაგიერ თეოფანე ჟამთააღმწერლის (VIII-IXსს) მითითება ამ შემთხვევაში ჩემი კორექტურა კი არა, თავად რეცენზენტის შეცდომაა.

თვალსაზრისის კრიტიკას აუცილებლობად დაისახავდა, ამ შესაძლებლობით სარგებლობა ა.ბოგვერაძის საჭიროდ ჩაუთვლია. ამის დასტურია *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* მეორე ტომი, რომელშიც შესაბამისი პერიოდი სწორედ მისი სტატიით არის წარმოდგენილი და სადაც ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ:

> “თეოფანე ბიზანტიელი გურგენზე ამბობს, რომ ის აჯანყებულ იბერებს წინამძღოლობდაო”.[23]

საილუსტრაციოდ ა.ბოგვერაძის მოჰყავს უშუალოდ ბერძნული ტექსტი და არა თარგმანი “გეორგიკიდან”, რადგან, როგორც ჩანს, შენიშნა, რომ თარგმანი ორაზროვნების საფუძველს იძლეოდა.

ვიმეორებთ, წყაროს თარგმანი იმისათვის კეთდება, რომ მას დაეყრდნოთ და ყველაფერი ისტორიული რეკონსტრუქციის პროცესშივე არ ვთარგმნოთ, მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა საქმე ტერმინს ეხება, მკვლევარმა უსათუოდ უნდა შეამოწმოს მთარგმნელის ინტერპრეტაციის მართებულობა. გასაგებია, რადგანაც ტერმინების გადმოცემა, ხშირად მარტო ენობრივი პრობლემა არაა. სამწუხაროდ, დმუსხელიშვილიც უკრიტიკოდ იმეორებს აღნიშნული თარგმანის სიტყვებს:

> “ასე მაგალითად, VIს-ის მეორე ნახევრის ავტორი, თეოფანე ბიზანტიელი 571 წლისთვის აღნიშნავს, რომ იბერებზე ‘მთავრობდა გორგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო’.”[24]

ამრიგად, საქმის ვითარება შემდეგია: წყაროში უბრალოდ წერია, რომ გორგენი//გურგენი არის აჯანყების ‘მეთაური’ (“ჰეგემონი”), ა.ბოგვერაძე და დმუსხელიშვილი ამას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე აზუსტებენ როგორც “ერისმთავარს”. ამის შემდეგ კი პირველი შესაძლებლად თვლის კრიტიკული კომენტარი გააკეთოს ჩემი თვალსაზრისის მისამართით, მეორე კი - გაიზიაროს ამგვარი დამოკიდებულება.

---

23 *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად* ტომი II: *საქართველო* IV-X *საუკუნეებში* (ტომის რედ. შ.მესხია). თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973. გვ.271, შენ.2.

24 დმუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*, გვ.233

1.6

"შ. ჩარტიშვილის მიხედვით გამოდის, რომ ქართლში ბაკური ყოფილა მეფედ როცა 571 წელს ქართველები აჯანყებულან გურგენის წინამძღოლობით, რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს."[25]

დიახ, ასე გამოდის და საფუძველიც არსებობს იმისათვის, რომ სწორედ ეს ბაკური გავაიგივოთ ბიზანტიურ წყაროში აჯანყების წინამძღოლად მოხსენიებულ გორგენთან.

ვინაიდან ჩემს ხსენებულ წიგნში ბაკურის (ე.ი. იმ მეფის, რომლის დროსაც "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლში მეფობა შეწყდა) VI საუკუნის 70-იან წლებში ქართველთა აჯანყების მეთაურ გორგენთან//გურგენთან იდენტიფიკაციის თაობაზე არაფერი იყო ნათქვამი (წყაროთმცოდნეებითი პროფილის გამოკვლევაში, რომელშიც ისტორიულ ძიებებს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭებოდათ, გამართლებული არ იქნებოდა მეტისმეტად დიდი ადგილი დათმობოდა მსჯელობას პოლიტიკური ისტორიის თაობაზე), ქვემოთ შევეცდები მკითხველისათვის ამ აზრის რამდენადმე ვრცლად განმარტებას.

როგორც ითქვა, VI საუკუნის 20-იან წლებში პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული იყო ქართველთა მეფე *გურგენი*, რომელიც მეთაურობდა სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებას. თეოფანე ბიზანტიელიც ამავე საუკუნის 70-იან წლებში ქართველთა აჯანყების მეთაურად ასახელებს *გურგენს*. ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ ქართველთა ანტირანული აჯანყებების მეთაურ ხელისუფალთა სახელების ასეთ დამთხვევას ადგილი აქვს სხვა ნიშანდობლივი ფაქტების ფონზე: (1) არცერთი ამ *გურგენთაგანი* არ არის მოხსენიებული ქართველ მეფეთა და ერისმთავართა იმ სიებში, რომლებიც დაცულია "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრებას"; (2) სიტყვის ძირითადი სეგმენტი *გურგ*, უკავშირდება ქართველთა თვითსახელწოდებას (*გრ // რგ* ძირი, როგორც ცნობილია, ძალიან პროდუქტიულია ქართულ ეთნონიმიკასა და ტოპონიმიკაში) და, აგრეთვე, აქედანვე წარმოდგარ

[25] ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები.* გვ.74.

გარესახელწოდებასაც *გურჯ*. ეს მაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში *გურგენი* არის არა საკუთარი, არამედ საზოგადო სახელი ქართველისაღსანიშნავადაც *გურგენ მეფე* ქართველ მეფის ნიშნავს.

ამ გამოკვლევამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში *გურგენის* საზოგადო სახელად გააზრება, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსჯელობის საგანი არ ყოფილა. თუმცალა პრობლემის დასმის პრიორიტეტი მე არ მეკუთვნის. იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წამოჭრილი არაქართველ სპეციალისტთა მიერ აი, რას ვკითხულობთ პროკოფი კესარიელის თხზულების რუსულად მთარგმნელის შენიშვნაში:

> «По замечанию покойного П.Е.Савельева «Гург, Гюрдж, Гурекан – названия, под которыми Персы знали Грузинов. Города и реки носили и носят в Грузии названия Джорджан, Гюрген, Гюрзандж, Ургендж» (Жизнь и труды Савельева ст.35). Но было ли и Гурген имя народное, а не собственное?»[26]

მართალია, ამ თარგმანის შემდგომ გამოცემაში აღნიშნული შენიშვნა შეცვლილია (არც საველიევის ცნობა, და არც დაეჭვების კითხვა იქ აღარ არის), მაგრამ სხვა ფაქტები ცხადყოფს, რომ კომენტატორი განმტკიცებულა იმ აზრში, რომ *გურგენი* საკუთარი კი არა საზოგადო სახელია. ამას მაფიქრებინებს მის მიერ დიუბუა დე მონპერეს დამოწმება, რომელიც პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებულ *გურგენს* აიგივებს ქართულ წყაროებში დადასტურებულ უხსენაეს საერო ხელისუფალთა სიის სრულიად გარკვეულ მეფესთან:

> «В тексте: βασιλει Γουργενη (B.P. I. 12, p.57,9 B). "Ce Gourghénès correspond au roi Bakour de la chronique géorgienne qui, selon Rottiers, régna de 513 á 527" – гов. Дюбуа (Dubois,

[26] Прокопия Кесарийского *Исторія войн римлян с персами, вандилами и готтами*. Перевод с греческого Спиридона Дестуниса, дополненный примечаниями Гавриила Дестуниса. Санкт-Петербург, 1862, с.56-57, пр.29. აღნიშნულ თარგმანში არსებულ ამ შენიშვნაზე ბატონმა გურამ ნარსიძემ მიმითითა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

Voy. aut. du Cauc. II. 82, n.1). Слова Грузинской летописи по Броссе: "35e roi, Bakour II, fils de Datchi, Khosröide (règne 14 ans), 514-528" (Brosset, Hist. d. Géorgie, I. 201)".»[27]

აღნიშნული მკვლევარი, როგორც ვხედავთ, ქართლის მეფეთა სიების ახალი სახელებით შევსებას კი არ ცდილობს, არამედ *გურგენს* აიგივებს ქართული ისტორიოგრაფიული წყაროების მიერ მოწოდებული სიების გარკვეულ მეფესთან, და ამ იდენტიფიკაციისათვის ამოსავალი სულაც არ არის *გურგენთან* მეფის სახელის ფონეტიკური სიახლოვე.

საერთოდ სპარსულ კულტურულ წრეში და, შესაბამისად, ქართულშიც, რომელიც გაქრისტიანების შემდეგაც კარგა ხანს ინარჩუნებდა სპარსულ გავლენას, მიღებული იყო ხელისუფალს რამდენიმე სახელი ჰქონოდა. ეს სახელები ამ პირისათვის ატრიბუტებს წარმოადგენდა და აფიქსირებდა მის ყოფიერებას სხვადასხვა თვისებრიობაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ თვალსაჩინო მაგალითს გვაწვდის მოსე ხორენელი სპარსეთის ერთ-ერთ მეფეზე საუბრისას:

> "სპარსთა მეფემ რომაელთა სამფლობელო დალაშქრა [იმ დროს] და ამის გამო დაერქვა პეროზი, რაც ძლევამოსილს ნიშნავს, მანამდე კი ბერძნულად ვალეგესოსს ეძახდნენ, ხოლო მისი ადრინდელი, სპარსული სახელი რა იყო, მე არ ვიცი."[28]

*გურგენის* საზოგადო სახელად გააზრებას შეუძლია გამოგვიყვანოს იმ ჩიხიდან, რომელშიც შევიდა ქართული ისტორიოგრაფია უცხოურ წყაროთა მონაცემების საფუძველზე ქართული წყაროების რევიზიის შედეგად, როცა ადგილი აქვს ამ უკანასკნელთა მიერ მოწოდებული ქართლის მმართველთა სიების გაუმართლებელ კორექტირებას, რაც, უმეტესწილად, ახალი სახელებით მათ შევსებაში მდგომარეობს. ვიღებთ

---

[27] Прокопия Кесарийского *История войн римлян с персами, вандилами и готтами*. Книга первая, с.142, пр.4.

[28] მოსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა.აბდალაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1984, გვ.12. ამ მაგალითზეც ბატონმა გურამ ნარსიძემ მიმაქცევინა ყურადღება, რისთვისაც მას კვლავ უღრმეს მადლობას ვწირავ.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ბუნდოვან სურათებს წყაროთა პრინციპულად დაუძლეველი წინააღმდეგობების ფონზე.

ზემოხსენებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ *გურგენი* საზოგადო სახელიცაა, საშუალებას გვაძლევს ნაციონალური ისტორიოგრაფიული ტრადიციისათვის უცნობ ხელისუფალთა არსებობა კი არ ვივარაუდოთ (რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არაბუნებრივი იქნებოდა), არამედ ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ *გურგენებს* შევუსაბამოთ გარკვეული ხელისუფალნი ქართლის მეფეთა სიების მიხედვით. ამასთან, სულაც არაა სავალდებულო, რომ ეს სახელები *გურგენთან* ახლოს იყვნენ ფონეტიკურად

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად 571 წლის აჯანყების მეთაურ *გურგენს*, ა.ბოგვერაძე მას ყოველგვარი არგუმენტის გარეშე აიგივებს ქართლის პირველ ერისმთავარ გუარამთან:

> "571 წლის ქართლის აჯანყება იმის მაჩვენებელია, რომ აზნაურ-წარჩინებულებმა ირანის ბატონობისაგან არა მარტო თავის დაღწევა, არამედ მეტ-ნაკლებად სუვერენული ხელისუფლების აღდგენაც მოიწადინეს. მათი წინამძღოლი გურგენი, უეჭველია, აჯანყებულთა მიერვეა შერჩეული. ის უნდა იყოს ქართული წყაროებით ქართლის "დიდ ერისთავად" (resp. ერისმთავრად) "განჩენილი გუარამი"."[29]

მკვლევრის ერთადერთ "მტკიცებულებას" წარმოადგენს "უნდა იყოს". მაგრამ ამ ორი პირის გასაიგივებლად ეს, ცხადია, საკმარისი არ არის. გუარამი, რომელიც "ერისმთავრად განაჩინეს" არის პიროვნება, რომლის მოღვაწეობას წარმატება სდევდა: იგი ხომ მეფობის მრავალი წლის გაუქმების შემდგომ ქართლის უზენაესი ხელისუფალი გახდა, მაშინ როდესაც გურგენის წინამძღოლობით აჯანყება ცალსახად წარუმატებელი იყო

იმის საილუსტრაციოდ თუ რაოდენ განსხვავებულია აღნიშნულ პირთა, ე.ი. აჯანყებულთა წინამძღოლ გურგენისა და პირველ ერისმთავარ გუარამის, პოლიტიკური კარიერა, მოვიყვან ვრცელ ციტატს თავად რეცენზენტის ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომიდან. ამ შემთხვევაში იგი პირთა და

[29] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტომი II, გვ. 271

სწორად გადმოსცემს წყაროების მონაცემებს, თუმცა დასკვნის გაკეთებისას მათ ფაქტობრივ უგულვებელყოფს:

"562წ. ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული "ორმოცდაათწლიანი ზავი" ვადაზე ბევრად ადრე დაირღვა. ახალი დიდი ომის საბაბი, რომელიც მცირე შესვენებებით 20 წელს გაგრძელდა, ირანელთა წინააღმდეგ მიმართული სომხეთისა და ქართლის დიდი აჯანყება იყო 571წ. სომხეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ვარდან მამიკონიანი ჩაუდგა სათავეში. აჯანყებულ სომხებს ქართველებიც მიეშველნენ გურგენის წინამძღოლობით. აჯანყების თავკაცებმა კონსტანტინოპოლში მოციქულები აფრინეს და კეისარ იუსტინე II-ს (565-578წწ.) მფარველობაში მიღება სთხოვეს ... კეისარი სომხეთისა და ქართლის მოციქულების თხოვნას კმაყოფილებით შეხვდა და მათ დახმარების ფიცი მისცა: "რომ, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნებოდა, ყოველგვარ საშუალებას იხმარდა, რათა დაეპყრო თვით მათი სამშობლო ქვეყნები; თუ ის ვერ შეძლებდა ბოლომდე მიეყვანა ომი, ამ აჯანყების მოთავეებს და მათ ნათესავებს, იმათ, ვინც მოისურვებდა რომაელების სახელმწიფოს მოქალაქეობას, არასოდეს არ გასცემდა" ... აჯანყებულებს ბიზანტიელების დახმარებით ხანს, წარმატებისათვის მიუღწევიათ 576 წლისათვის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ამიერკავკასიას რომაელთა მიწა-წყლად თვლიდა. მაგრამ <u>ირანელები ქართლისა და სომხეთს არ ეხსნებოდნენ</u>. 576-577 წლებში ბიზანტიელებმა ირანელებთან ისევ საზავო მოლაპარაკების დაწყება ამჯობინეს, მხოლოდ ამჯერად მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობით. მაგრამ ირანელები 562წ. ზავის პირობების შეცვლას არ დაეთანხმნენ და ამას გარდა <u>მოითხოვეს აჯანყების მოთავეების გადაცემა შაჰისათვის, რომელიც მათ სათანადო სასჯელს გადაუწყვეტდა</u> ... კეისარი ... "მზად იყო <u>დაეთმო</u> სპარსელებისათვის <u>პერსარმენია</u> (ე.ი. სპარსეთის სომხეთი) და <u>იბერია</u>", სამაგიეროდ, კეისარი არც აჯანყებულების გაცემაზე თანხმდებოდა და ბიზანტიაში წასვლის მსურველი სომხებისა და

> ქართველების დაუბრკოლებლივ გაშვებას მოითხოვდა. ბიზანტიელი ისტორიკოსის თქმით, კეისრის ეს პირობები ხოსროს სასიამოვნოდაც კი დაურჩა. მისთვის მთავარი იყო, რომ ბიზანტიელები სომხეთსა და ქართლზე უარს ამბობდნენ. რაც შეეხება იქაურ მოსახლეობას, იგივე ისტორიკოსი ამტკიცებს: ხოსრომ კარგად იცოდა, რომ გარდა მცირეოდენი მმართველი პირებისა, რომლებიც აჯანყებას მეთაურობდნენ, არც ერთი პერსარმენიელი და იბერი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობლოს სიყვარულის გამო ... სომხეთში ბიზანტიელების დიდი დამარცხება რომ არა, ზავის დადებას თითქმის აღარაფერი აბრკოლებდა. ამის შემდეგ კი შაჰმა ზავის პირობები ისევ დაუმძიმა ბიზანტიელებს. 579 წ. კეისარი ტიბერიუსი (578-582 წწ.) ხოსროს თავისი ელჩების პირით უთვლიდა 'მე მსურს ზავი და ვესწრაფვი მას, როგორც ღმერთის ნიჭს, თითქოს თვით ბუნება თქვენს მეგობრობას მოითხოვს ჩემგან. ამიტომ მზად ვარ უარი ვთქვა მთელს პერსარმენიაზე და იბერიაზე იმათ გარდა, ვინც სპარსელთა არმენიიდან და იბერთაგან ჩვენს ქვეშევრდომობას მოისურვებს". ხოსრო კი დაჟინებით მოითხოვდა აჯანყების მეთაურების გაცემას".[30]

ა.ბოგვერაძის ამ მსჯელობაში ჩემ მიერ ხაზგასმულია ის ადგილები, რომლებიც ავტორის უნებურად აჩვენებს, რომ 571 წლის აჯანყება მარცხიანი გამოდგა ქართველებისათვის, რომ აჯანყების მეთაური *გურგენი* წარუმატებელი პოლიტიკური მოღვაწე იყო ეს გარემოება, როგორც ითქვა, მას აახლოებს მეფე ბაკურთან, რომლის დროს, ქართული ისტორიოგრაფიული წყაროებით, ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლება შეწყდა და აცილებს გუარამ ქართლის ერისმთავრისაგან, რომლის დროს, პირიქით, ეს ხელისუფლება აღდგა.

571 წლის აჯანყების შემდგომ ბიზანტია იძულებულია პერსარმენიაში და იბერიაში თავის გავლენაზე უარი თქვას ირანის სასარგებლოდ. სწორედ ამ კონტექსტში, ე.ი. დომინანტური პოლიტიკური სუბიექტის გარდუვალ ცვლილებასთან დაკავშირებით განუწყვეტლივ ისმის აჯანყების

---

[30] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტომი II, გვ.268-270.

მოთავეების პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან, ცხადია, რომ ქვეყნის ირანის გავლენის სფეროში მოქცევის შემდგომ მის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა ხელისუფლებაში დარჩენა შეუძლებელია. ქართული წყაროების ცნობა ბაკურის დროს მეფობის დასრულების შესახებ, უნდა გაგებულ იქნას როგორც აჯანყებული ქართველი მეფის, ე.ი. *გურგენის* (იგივე ბაკურის), ჩამოცილება ხელისუფლებისაგან. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით VI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ამის შემდგომ ქვეყანა ერთხანს ირანის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა.

## 1.7

მეფე ბაკურის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ამ რამდენადმე ვრცელი განმარტების შემდგომ დავუბრუნდეთ რეცენზენტის მსჯელობას ჩემი ხსენებული ნაშრომის შესახებ:

> 'მ.ჩხარტიშვილის აზრით "ეპისტოლეთა წიგნის" მონაცემები თურმე არათუ ეწინააღმდეგება, პირიქით, ადასტურებს მის შეხედულებას, რომ VIIს მეორე ათწლეულამდე კვლავ უმეფობაა ჩვენში, რაც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ აღნიშნული საუკუნის 10-იან წლებში, ე.ი. ქრონოლოგიურ მონაკვეთში, რომელსაც შეეხება დასახელებული წყარო, ჩანს წარჩინებულთა მოთავე სამეულის გამგებლობა და სამეულის ერთ-ერთი წევრი სხვათა შორის იგივეა, ვინც ევსტათის დროს: ესაა არშუშა. ადარნასე, რომელსაც მკვლევარი მამასახლისს უწოდებს, აღნიშნულ წერილებში ყოველთვის პირველია ქართლის მთავართა შორის წარმოდგენილი. ის ორჯერ ვაჰანთან და ბუზმირთან ერთად იხსენიება, ერთხელ მხოლოდ ვაჰანთან და ერთხელ არშუშასთან. ამიტომ მ.ჩხარტიშვილი არა მარტო იმაში ცდება, როცა მას მამასახლისად იხსენიებს, არამედ უგულვებელყოფს იმ ფაქტსაც, რომ ამ წერილებში არავითარი დაკანონებული მთავართა სამეული არ ჩანს: ორჯერ გვაქვს ოთხეული კათალიკოსიანად, ერთხელ სამეული ვაჰანთან ერთად და ერთხელაც არშუშასთან. როგორც ვხედავთ, ამ ხალხს არაფერი აქვს საერთო "ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" მოხსენიებულ ქართლის

> მთავრებთან, რომლებიც არანაკლებ სამი თაობით წინ უსწრებენ "ეპისტოლეთა" ხანის მთავრებს."[31]

"ეპისტოლეთა წიგნის" ცნობების ინტერპრეტაციაზე ჩემით უკვე იყო მსჯელობა. აქ მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ რეცენზენტი არ ამბობს მთავარს: ოფიციალურ წერილში ატრნერსე ქართლის კათალიკოსის შემდეგ მოიხსენიება! ეს კი ცალსახად გამორიცხავს, რომ ატრნერსე შეიძლება იყოს ქართლის უზენაესი საერო ხელისუფალი, ე.ი. ერისმთავარი. ამის შემდეგ არსებითად მნიშვნელობას კარგავს რეცენზენტის პოზიციაზე მდგომი მკვლევრები გაიზიარებენ თუ არა თვალსაზრისს ატრნერსეს ქართლის მამასახლისად მიჩნევის შესახებ. თუ ამას არ გაიზიარებენ, უბრალოდ მათ თავად მოუწევთ გასცენ პასუხი კითხვას, თუ ვინაა მთავარი ატრნერსე.

რა თქმა უნდა "ეპისტოლეთა წიგნში" ატრნერსე სხვა პირებთან ერთად მოიხსენიება. ეს პირნი მისი პოლიტიკური პარტნიორები და სახლიკაცები ჩანან. მე სამეულის დაკანონებაზე არ ვსაუბრობ (ამის მოწერა ჩემთვის კვლავ იმის ცდაა, რომ გატრივიალურდეს, გასულელდეს ჩემი თვალსაზრისი). მე ვამბობ: როცა დადგა ქართული მხარის ოფიციალური პოზიციის გამოხატვის საჭიროება, ეს პოზიცია სომხური მხარის წინაშე, "ეპისტოლეთა წიგნის" მიხედვით, გარკვეული სუბორდინაციის დაცვით დააფიქსირა სამმა იერარქმა: ქართლის კათალიკოსი + x + ქართლის პიტიახში. ასევე სამი პირი გამოჩნდა ქართველ წარჩინებულთა წარმომადგენლად ირანის დიდმოხელესთან – მარზპანთან, "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მიხედვითაც ქართლის კათალიკოსი + ქართლის მამასახლისი + ქართლის პიტიახში. აქედან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია, რომ მე დავასკვენი, რომ x = ქართლის მამასახლისს. ამგვარად ორივე წყაროში აღწერილი ჩანს ერთი და იგივე პოლიტიკური ვითარება: ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების არარსებობის პერიოდში ქართველ წარჩინებულთა ინტერესების გამოხატვა გარკვეულ იერარქთა სამეულის მიერ ატრნერსეს მამასახლისად მიჩნევას კარგად დასაბუთებულ (შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის

---

[31] ა.ბოგვერაძე. VI *ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.74.

სპეციფიკის, ე.ი. შედარებით შეზღუდული წყაროების რაოდენობის, გათვალისწინებით) და ამავე დროს ძალიან პროდუქტიულ აზრად ვთვლი. სწორედ მისი გაზიარებით შეიძლება აღნიშნული წყაროს გამოყენება ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გასაშუქებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგან ატრნერსე მთავრის ადარნერსე ერისმთავართან იდენტიფიკაციის მცდელობა ეჭვს არ იწვევს, ეს ძეგლი უნდა ამოირიცხოს ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების არარსებობის პრობლემის კვლევის წყაროთა სიიდან.

1.8

'შ.ხარტიშვილმა მთლიანად დაუკარგა მნიშვნელობა ქართულ-სასანურ მონეტებს, როგორც ქრონოლოგიურ საყრდენს სტეფანოზ I ერისმთავრის მმართველობის ხანის შესახებ. მისი მტკიცებით, ქართული მონეტები მინაბაძებია და ამიტომ ერისმთავართა ზეობის წლების დადგენისათვის აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ იმ ქრონოლოგიური პერიოდის საზღვრები, რომლის გარეშეც შეუძლებელია გაკეთებულიყო მინაბაძი. ამის დადგენა კი მოითხოვს კომპლექსურ-წყაროთმცოდნეობით კვლევასო და მანამდე ამ ნუმიზმატიკურ წყაროებს ვერ ექნება მამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა. მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მას მანამდეც განაცხადოს: სტეფანოზ I ქართლის ტახტზე ჩანს VIIს-ის 20-30-იან წლებში, რაც უფლებას იძლევა კიდევ მეტი დაჯერებით გავიმეოროთ: "ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" შექმნილია VIIს-ის 20-20-იან წლებში სტეფანოზ I-ის ეპოქაში.'[32]

თავიდან მინდა შევნიშნო, რომ ჩემი აზრის გადმოცემისას კვლავ უზუსტობას აქვს ადგილი. ქვემოთ მოყავს შესაბამისი მონაკვეთი ჩემი წიგნიდან იმ ადგილების ხაზგასმით, რომელთაც რეცენზენტის "რედაქტორული" მუშაობა დააჩნდათ

32 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.74-75

► "რაც შეეხება ქართლის ერისმთავარ სტეფანოზს, "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით იგი ქართლის ტახტზე ჩანს VIIს 20-30-იან წლებში, რაც კარგად ეთანხმება ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზემოთ წარმოდგენილ სურათს. ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს კიდევ მეტი დაჯერებით გავიმეოროთ: "ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" შექმნილია VII საუკუნის 20-30-იან წლებში; თან დავუმატოთ სტეფანოზ I-ის ეპოქაში."[33] ◄

როგორც ვხედავთ, ფაქტები კვლავ შეცვლილია. ა.ბოგვერაძე ვითარებას ისე სახავს, თითქოს სტეფანოზის ქრონოლოგიას მე ჩემ მიერვე უარყოფილი ნუმიზმატიკური წყაროების მონაცემებზე ვაფუძნებ, თითქოს ზეობის ხანას გაურკვევლად, 20-20-იანი წლების ფარგლით განვსაზღვრავ.

მე არ უარვყოფდი და არც უარვყოფ ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების ანუ სასანური მონეტების ადგილობრივი მინაბაძების მნიშვნელობას ქართლის ისტორიისათვის საზოგადოდ. ისინი სამონეტო რეგალიის განხორციელების უდავოდ მეტად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ ისინი მინაბაძებია და ეს, ჩემი გამონაგონი არაა, არამედ ფაქტია! მინაბაძებზე კი წარწერილი არაა თვად მინაბაძის მოჭრის თარიღი, მათზე არსებული თარიღი ორიგინალისაა. ესეც ფაქტია. სწორედ ამიტომ ვერ გამოვიყენებთ მათ მამტკიცებელ საბუთად ერისმთავართა ზეობის ქრონოლოგიისათვის.

მაგრამ მკითხველს რომ არ დარჩეს არავითარი გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას ვამბობდი მე და, კერძოდ, რა იწვევს რეცენზენტის მხრიდან კრიტიკულ კომენტარს, მოვიყვან შესაბამის ციტატას ჩემი წიგნიდან:

► "ე.წ. ქართულ-სასანური დრაქმები ირანული მონეტების ადგილობრივ მინაბაძებს წარმოადგენს. მათგან სულ სამმა ათეულმა ნიმუშმა მოაღწია ჩვენამდე. მონეტათა ნაწილს ახლავს ქართული წარწერა. შემორჩენილია სტეფანოზის სახელით მოჭრილი ცალებიც ქართლის ერისმთავართა ზეობის ქრონოლოგიის დასადგენ არგუმენტად ჩამოყალიბებისას ნუმიზმატიკური მასალა პირველად მოიშველია გ.წუბინაშვილმა. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია მონეტებზე მოცემულ

---

[33] მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.41

თარიღების და მათი საშუალებით შეეცადა საინტერესო პრობლემის გადაჭრას. მაგრამ ქართულ-სასანური დრაქმებზე აღნიშნული თარიღი ეკუთვნის ორიგინალს და არა მინაბაძს. ერისმთავართა ზეობის წლების დადგენისათვის კი აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ იმ ქრონოლოგიური პერიოდის საზღვრები, რომლის გარეთ შეუძლებელია გაკეთებულიყო მინაბაძი. ამის დადგენა კი უკვე ცალკე პრობლემაა და მოითხოვს კომპლექსურ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით კვლევას. ვიდრე მუშაობა ამ მიმართულებით არ ჩატარდება, მანამ ნუმიზმატიკურ წყაროებს ქართლის ერისმთავართა ზეობის ქრონოლოგიის გარკვევისას ვერ ექნება მამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა."[34] ◄

თუ მომავალში გარკვეული წყაროთმცოდნეობითი ძიებების შედეგად დადგინდება მინაბაძების გაკეთების თარიღები, მაშინ, ცხადია, ერისმთავართა ზეობის წლების წყაროდ მათი გამოყენების შესაძლებლობა მოგვეცემა. წარმოუდგენელია, რა შეიძლება იყოს აქ გაუგებარი. სამეცნიერო საზოგადოების წინაშე მეუხერხულება კიდეც, რომ განმეორებით მიხდება ამ მარტივი ჭეშმარიტების მტკიცება.

რაც შეეხება სტეფანოზ I ზეობის ქრონოლოგიას, მე მას ვადგენ არა ჯერ კიდევ დაუთარიღებელი და ამის გამო ამ შემთხვევაში არარეპრეზენტატული ნუმიზმატიკური წყაროებით, როგორც ამას სახავს ა.ბოგვერაძე, არამედ (როგორც ეს კარგად ჩანს ჩემი წიგნიდან მოყვანილი ციტატიდანაც) "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მეშვეობით, რომელიც ამ თვალსაზრისით გვაძლევს სრულიად ნათელ მონაცემს. თუ რა ხარისხის კონკრეტულ ინფორმაციას ეხება საქმე, ამის განსჯის საშუალება მინდა აქვე მივცე მკითხველს და ამიტომ არ მოვერიდები ვრცელ ციტირებას წყაროდან: "და მისა შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძე მისი, ძმაჲ დემეტრესი და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა. მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უწყო ციხის თავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცჳთობით. ხოლო მან ფერჴი დაჰკრა და დანიყლ მოიღო და მოთხია საჴე ქსე: 'მოვიდეს ვაცი იგი მგლისა დასავალისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი". და მეფემან ჰრქუა: "ესრეთ

[34] მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.38

იყოს სიტყუაჲ. მე მიგაგო მისაგებელი შენი". და დაუტევა ჯიბღო ერისთავი ბრძოლად და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა. ხოლო ამან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუვსო და მერმე მრთელსა ტყავი გაჰჴადა და მეფესა უკუანა მისწია გარდაბანს ვარაზ-გრიგოლისსა შინა. წარვიდა ჰერაკლე და შემუსრნა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფე და მოლებად სცა ძელი ცხორებისაჲ და იწყო ბრძანებითა შენებად იერუსალჱმისა და მოდისტოს დასუა პატრიაქად და წარმოვიდა აქაჲთვე მეშჳდესა წელსა. და ვიდრე მოსლვადმდე მისა ტფილისს სიონი განეშორა მკჳდრთა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-და. ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჯარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნიდა ცეცხლისა მსახურნი ანუ მონათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს, ზაკუვით თანა აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჭრართა მახჳლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოსი იყო ბართლომე მეორედ."[35]

აი, როგორი იყო ამ ადგილთან დაკავშირებული კომენტარი ჩემს წიგნში:

► "ქრონიკის (იგულისხმება 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიული ქრონიკა – მ.ჩ) განხილული მონაკვეთი საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის სტეფანოზის ზეობის ქრონოლოგიის თაობაზეც. ქრონისტი წლებს, მართალია, არ უთითებს, მაგრამ ასახელებს ფაქტებს, რომელთა თარიღები კარგადაა ცნობილი სხვა წყაროებით მაგალითად, თბილისის ალყას, რომელსაც იგი აჩერებს ყურადღებას უპირველესად 626-628 წლებში ჰქონდა ადგილი. ამრიგად, ჰერაკლე ქართლში მეორედ შემოსულა 633-635 წწ. შესაბამისად, 'მოქცევაჲ ქართლისაჲთ" სტეფანოზის ზეობა უნდა დავუკავშიროთ VIIს 20-30-იან წლებს."[36] ◄

---

[35] *ძეგლები I*, გვ.95-96.

[36] მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.86.

კიდევ ერთი ნაწყვეტი ჩემი წიგნიდან:

► „„ეპისტოლეთა წიგნის" ქართულად მთარგმნელი ზ.ალექსიძე შენიშნავს, რომ ამ ძეგლის მონაცემებით კათალიკოსი არაჩვეულებრივად აქტიური სახელმწიფო მოღვაწე ჩანს: „კირონი გასაოცრად ძლიერი და მკაცრი პიროვნება ალმოჩნდა. მან სწრაფად დაიმორჩილა მთელი ქართლი (როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლება) კათალიკოსის ნებას და თანამიმდევრული საშინაო და საგარეო რელიგიურ-პოლიტიკური პროგრამის გატარება იწყო". მკვლევრის აზრით, საქმე ისაა, რომ კირონი ახერხებს მისთვის არასასურველი ერისმთავრის სტეფანოზ I გადაყენებას. ამგვარი ფაქტის ვარაუდი, რომლის თაობაზე წყაროებში არაფერია მინიშნებული, ცხადია, იმისათვის ხდება საჭირო, რომ ქვეყნის ცხოვრებაში კათალიკოსის უჩვეულო აქტიურობას ახსნა დაეძებნოს. მთავარ ადრესატის ვინაობის დაზუსტება ასეთი კონცეფციის აუცილებლობისაგან გვათავისუფლებს: კათალიკოსის პოლიტიკური ინიციატივა, საერო საქმეებში მისი ჩარევა სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ქართლში უზენაესი საერო ერთვნული ხელისუფლების არარსებობის პირობებში. კირონის საქმეს აგრძელებს ევსტათის კეთილისმყოფელი და ნათლია ზემოთ ნახსენები კათალიკოსი სამოელი; კირიონისა და სამოელის ზეობა ემთხვევა მსოფლიო იმპერიების – ბიზანტიისა და ირანის – ხანგრძლივი, ორივე მხარისათვის ძალაგამომცლელი, ჭიდილის დამამთავრებელ ეტაპს. ეს იყო ზესახელმწიფოთა „უცალობის" ხანა. ამ „მოუცლელობამ" თავის აპოგეას მიაღწია VIIს 10-იანი წლების დასასრულსა და 20-იანი წლების დასაწყისში, როცა ირანმა ბიზანტიას ფაქტობრივად სასიცოცხლო არტერია დაუხშო – პურით მდიდარი ეგვიპტე წაართვა (619) და ამის შემდეგ სულ ორიოდე წელიწადში (622) თავის ბედისათვის გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ბიზანტიამ. სწორედ მოწინააღმდეგეთა უკიდურესი დაძაბულობის ეს დრო – ირანის უკანასკნელი გამარჯვებიდან პირველ დამარცხებამდე უნდა იყოს ქართლში ეროვნული ხელისუფლების აღდგენის ხანა. რაც შეეხება ქართლის ერისმთავარ სტეფანოზს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით იგი ქართლის ტახტზე ჩანს VIIს 20-30-იან წლებში, რაც კარგად ეთანხმება ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზემოთ წარმოდგენილ სურათს. ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს კიდევ მეტი დაჯერებით გავიმეოროთ: „VII.

ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" შექმნილია VIIს 20-30-იან წლებში; თან დავუმატოთ: სტეფანოზ I-ის ეპოქაში."[37] ◄

"მოქცევაჲ ქართლისაჲდან" ვრცელი ციტირების და მათი კომენტირების შემდეგ მინდა ვკითხო, ცხადია, არა სამწუხაროდ აწ განსვენებულ რეცენზენტს, არამედ მისი თვალსაზრისის გამზიარებლებს: ყველაფერ ამას რატომ დაუკარგეს მნიშვნელობა? ზემოხსენებული ნუმიზმატიკური წყაროების მათეული არასწორი ინტერპრეტაციების მიღებისათვის ხომ აუცილებელია "მოქცევაჲ ქართლისაჲს" პირველხარისხოვანი ინფორმაციის სრული იგნორირება!

ა.ბოგვერაძე მსაყვედურობს, რომ მნიშვნელობა დავუკარგე ნუმიზმატიკურ წყაროებს. მე, რა თქმა უნდა, ეს არ გამიკეთებია ან კი როგორ შემეძლო, ისევე როგორც არ შემეძლო ის მნიშვნელობა მიმენიჭებინა მათთვის, რაც ა.ბოგვერაძის საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებაში დაეხმარებოდა.

## 1.9

"კარგი იყო ავტორს ასეთი კითხვები დაესვა და პასუხიც გაეცა მათზე. სტეფანოზ I VIIს-ის 20-30 წლების თავის არასრულ წარწერიან მონეტაზე რატომ მაინცდამაინც ჰორმიზდ IV-ის (589-590) გამოსახულებიან მონეტას ჭრის, ხოლო სრულ ლეგენდიან მონეტას ხოსრო II-ის (590-628) პირველი მონეტების მიბაძვით? იმიტომ, რომ ისინი მინაბაძებია და ხელში რომელი ორიგინალიც მოხვდათ იმის მიხედვით მოჭრეს? არადა ამ მონეტებზე ასახულია ქართლის ირანზე პოლიტიკური დამოკიდებულების ცვალებადობის საყურადღებო სურათი, რომელმაც მატერიალური გამოხატულება ჰპოვა VIIს-ის დასასრულის ისტორიულ მოვლენებში."[38]

37 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.40-41

38 ა.ბოგვერაძე. *VIს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

თავიდანვე მინდა ერთი შენიშვნა გავაკეთო მოყვანილ ტექსტთან დაკავშირებით, რადგან არ მინდა მკითხველმა იფიქროს, რომ ციტირებისას მე ვამახინჯებ რეცენზენტის აზრს: ჰორმიზდ IV ზეობა 578-590 წლების ნაცვლად 589-590 წლებით თავად მას აქვს განსაზღვრული. თუმცა, ვვარაუდობ, რომ ეს კორექტურაა.

ახლა ჩემი მისამართით გამოთქმული კითხვების შესახებ: არ მესმის ეს საკითხები საერთოდ რატომაა გამოსარკვევი და, მითუმეტეს ჩემი. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მონეტათა მინაბაძები კეთდებოდა შესაბამის პერიოდში ქართლში მიმოქცევაში არსებული ორიგინალების მიხედვით. ბუნებრივი და ლოგიკურია იმის ვარაუდიც, რომ ჰორმიზდ IV და ხოსრო II პირველი პერიოდის მონეტები ერთდროულად იყო ბრუნვაში. რაც შეეხება ე.წ. ქართულ-სასანური დრაქმების, როგორც ისტორიული წყაროების, მნიშვნელობას, კვლავ ვიმეორებ, არ უარვყოფ, ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ ქართლის უზენაესი ხელისუფალი ახორციელებს სამონეტო რეგალიას თუნდაც მინაბაძის გზით მაგრამ თავისთავად ამ ფაქტს არ შეუძლია ერისმთავრის ზეობის თარიღი მოგვცეს, რაოდენ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს ეს.

1.10

> 'მაგრამ მ.ჩხარტიშვილმა ქართლში ერისმთავრის ხელისუფლების დაწესების ხანა გადაიტანა 619-622 წლებში. მაშინ ვიკითხოთ 591-602 წლებში, როცა ქართლი ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა, ადგილზე ქვეყანას ვინ განაგებდა?'[39]

რა მოსაზრებების საფუძველზე გადავიტანე ეს მოვლენა 619-622 წლებში, მკითხველმა უკვე ნახა. ხანმოკლე უნდა ყოფილიყო ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამის ზეობა. ამაზე მეტყველებს 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" ის ცნობა, რომლის მიხედვითაც გუარამმა დაიწყო ტაძრის მშენებლობანი, მაგრამ ვერცერთი ვერ დაასრულა: "და განაჩინეს ერისთავად გურამ და მერმე კურაპალატადცა. ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა

---

[39] ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

ჯუარისაჲ. და ამას ზედა იყო კათალიკოზი სამოელე სხუაჲ. და ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს.'[40]

ორივე ეს მშენებლობა გაგრძელებულა სტეფანოზის I დროს. როგორც უკვე ვნახეთ, თბილისის სიონის მშენებლობის დამთავრებას ქრონისტი სტეფანოზის დროს გვამცნობს. ჯვრის ეკლესიას კი მცირე ჰკლებია. ჩანს, რომ ეს ტაძარი საბოლოოდ ადარნერსეს მმართველობის პერიოდში დასრულდა.

რაც შეეხება VI საუკუნის მიწურულიდან ქართლში ბიზანტიის გავლენის გაძლიერების შესახებ თვალსაზრისს, რეცენზენტის ეს შეხედულება უსაფუძვლოა. 'მოქცევაჲ ქართლისაჲ" არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ქართლში 'მეფობის დასრულების" ფაქტს, რომელსაც, როგორც ითქვა, ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციით VI საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი, თან სდევდა კავკასიაში ირანელთა გავლენის არაჩვეულებრივი გაძლიერება: "და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს. და კავკასიანთ შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჩუანს დურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. ხოლო სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჴევსა და მორჩილებაჲ დასდვეს მისი. და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიმჭუნეს სპარსნი.'[41]

## 1.11

რეცენზენტი განაგრძობს:

"VIIს დამდეგიდან ქართლს ადარნასე ერისმთავარი განაგებს, რომელიც შვილიშვილია გურგენ-გვარამისა და შვილია სტეფანოზ I ერისმთავრებისა. ეს არც აქამდე იყო საეჭვო, რასაც ბოლო წლებში აღმოჩენილ XI-ით დათარიღებულ ხელნაწერში არსებული ცნობაც მოწმობს: "ოდეს გარდაიცვალა ... დიდი მამფალი ადარნასე, ძე

40 *ძეგლები* I, გვ.95
41 იქვე, გვ.94-95

სტეფანოზისი, ძისწული დემეტრესი, ძისწული დიდისა გუარამისი".[42]

ჩამოთვლილი პირნი ერთი ოჯახის წევრები არიან, ამაში სავსებით ვეთანხმები რეცენზენტს, მაგრამ აღნიშნული ფაქტით როგორ მტკიცდება ის, რომ ქართლს VIIს დამდეგიდან ერთ-ერთი მათთაგანი, კერძოდ, ადარნერსე განაგებს, ეს ნამდვილად გაუგებარია. რატომ სჭირდება რეცენზენტს ჩემი თვალსაზრისის კრიტიკისას იმის მითითება, რომ ეს ნათესაობა არც აქამდე იყო საეჭვო, მაგრამ ამავე დროს დამატებით საბუთს მაინც იშველიებს?

სტეფანოზ I და ადარნერსეს ნათესაობის შესახებ სხვადასხვა ცნობას გვაწვდიან 'მოქცევაჲ ქართლისაჲ" და "ქართლის ცხოვრება". ჩემს წიგნში, მანამდე გამოქვეყნებულ სტატიაშიც და არაერთ გამოსვლაში სპეციალურად შევაჯერე ისინი, შევამოწმე ეპიგრაფიკული წყაროების, კერძოდ, მცხეთის ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკისა და ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფების წარწერების მონაცემებს და გავარკვიე, რომ ამ შემთხვევაში უფრო მართებულია 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" ინფორმაცია. ნათქვამის საილუსტრაციოდ ვრცელი ციტატი უნდა მოვიყვანო ჩემი წიგნიდან:

► "უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1938 წელს სპეციალური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად მცხეთის ჯვრის ტაძრის გვიანდელი კანკელის დაშლის შემდეგ. კვარცხლბეკი კანკელის მარცხენა კუთხეში იყო ჩაშენებული. წარწერა ამოღარულია კვარცხლბეკის დამუშავებულ პირზე. იმის გამო, რომ კვარცხლბეკს მოტეხილი აქვს თავი, წარწერას აკლია დასაწყისი. ანალოგიური ძეგლების გათვალისწინებით მას მკვლევრები მცირეოდენი ვარიაციებით აღადგენენ: "ესე ჯუარი ქრისტესი აღემართა სალოცველად"; ან კიდევ: "ესე ჯუარი მცხეთისაჲ შევამკევით სალოცველად"; ან კიდევ: "შეწევნითა ღმრთისაჲთა აღემართა ჯუარი ესე სალოცველად". ზედაპირის აცვეთის გამო ყოველ სტრიქონს დასაწყისში აკლია ორი-სამი

---

42 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

გრაფემა. ქვემოთ მოგვყავს წარწერა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია ერთ-ერთ უკანასკნელ პუბლიკაციაში:

"ესე ჯუარი ქრისტესი აღემართა სალოცველად სტეფანოზ პატრიკიოსისა, დემეტრე უპატოსისა, ადრნერსე უპატოსისა. სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა მიმავლისა მცველად".

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვიდან შემორჩენილია მხოლოდ ასოთა კომპლექსი – "ლისა". ამის გამო მას სხვადასხვაგვარად აღადგენენ მკვლევარნი. მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, მკითხველის ყურადღება გვსურს შევაჩეროთ წარწერის ძირითად ნაწილზე. აქ, როგორც ვხედავთ, მოხსენიებულია ზემოთ განხილული წყაროებით ჩვენთვის უკვე ცნობილი პირები: სტეფანოზი, დემეტრე, ადრნერსე. კვარცხლბეკი კი აშკარად მცხეთის ჯვარპატიოსნისაა, ერთ-ერთი იმ სამ ჯვართაგანის, რომელიც უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ქმნილების "წმ. ნინოს ცხოვრების" მიხედვით სასწაულთმოქმედი ხისაგან წმიდა ნინოს ბრძანებით შექმნეს და აღმართეს იმ ადგილას, სადაც დღეს ტაძარია. გ.ჩუბინაშვილი ვარაუდობს, რომ ქვაჯვარი თავდაპირველად ხის ჯვრის რელიკვარიუმი უნდა ყოფილიყო, აღმართული თვით ტაძარში.

ჯვართა კვარცხლბეკები მრავლადაა ნაპოვნი. მათი ინტიმური წარწერები გვარწმუნებს, რომ ქვაჯვრები აღმართული იყო უახლოეს ნათესავთა, უმეტესწილად სახლიკაცთა, მეოხად. მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში სტეფანოზის, დემეტრეს, ადრნერსეს ერთად ხსენება მიუთითებს მათ უახლოეს სისხლისმიერ კავშირს. "მოქცევაჲ ქართლისაჲს", "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ვიცით, რომ სტეფანოზი და დემეტრე ძმები იყვნენ. ასევე სიახლოვე უნდა ჰქონდეს მათთან ადრნერსესაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სახელი იმგვარ ძეგლში, როგორიც ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაა, ვერ მოხვდებოდა. სტეფანოზი და ადრნერსე ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის, სხვადასხვა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები რომ იყვნენ, ერთ ლოცვაში მათი მოხსენიება გამორიცხულია. ამრიგად, არ დასტურდება "ქართლის ცხოვრების" ცნობა იმის თაობაზე, რომ ადრნერსე ტახტის გამო სტეფანოზთან მოქიშპე პიროვნებაა. ირიბად კი დასტურდება "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა მათი მამა-შვილობის შესახებ. უფრო ზუსტად ამ ორ წყაროს შორის ამ მხრივ წინააღმდეგობა არ არის.

ჩანს ამით ხელმძღვანელობდნენ ის მკვლევრები, რომლებიც ზემოთ ხაზგასმული სიტყვის ადგილას აღადგენდნენ "სახლისას"-ს. წარხოცილ გრაფემათა სავარაუდო რაოდენობა შესაძლებელს ხდის ასეთ აღდგენას. ამასთან ამას გულისხმობს, ვიმეორებთ, თავად მემორიალური წარწერების სტრუქტურა: უახლოესი ნათესავები, ოჯახის წევრები – ცოლი, შვილი, ძმა, მშობლები. აი, ის ვიწრო წრე პირთა, რომელთა სახელები, ჩვეულებრივ, გვხვდება ამგვარ ქვებზე.

აღნიშნული ინტერპრეტაცია ზოგჯერ საეჭვოდ არის მიჩნეული იმ მიზეზით, რომ შეუძლებლად ითვლება სიტყვა "სახლისა"-ს აღდგენა "ქართლის ცხოვრების" მონაცემების საფუძველზე, მაგრამ წარწერა ავთენტური წყაროა; და კიდევ: წარწერის შესრულების დროისათვის აშკარაა, რომ სამივე მასში ნახსენები პირი ცოცხალია: არა მარტო სულთა, არამედ ხორცთა შეწევნასაც შესთხოვენ ჯვარს. სტეფანოზის სიცოცხლეში კი, თუ დავუშვებთ, რომ ადარნერსე, მართლაც, კახეთის ერისთავია, რით უნდა ავხსნათ მისი მოხსენიება ერისმთავრისა და მისი ძმის გვერდით? ეს უპასუხო კითხვაც გვარწმუნებს: შეუძლებელია ამ წყაროს მიხედვით სხვა ვარაუდი, გარდა იმისა, რომ ადარნერსე სტეფანოზის უახლოესი სისხლისმიერი ნათესავია.

ზოგჯერ ყურადღება მახვილდება შემდეგ ფაქტზეც: მცხეთის ჯვარი ისეთი ტაძარია, შეუძლებელია, იგი მარტოოდენ ერთი სახლის მეოხად აგებულად მივიჩნიოთ. ამიტომ, ფიქრობენ, რომ დაზიანებულ ადგილას მართებულია აღდგეს სიტყვა "ქართლისა". მაგრამ განხილული წარწერა ჯვრის კვარცხლბეკისაა. ამდენად იგი მიემართება ჯვარს და არა ჯვრის ეკლესიას. მეორეც, საქმე ეხება არა რომელიმე რიგითი მოქალაქის ოჯახს, არამედ ერისმთავრის სახლს. ამ სახლის დღეგრძელობა კი ყოველი ქართლის დღეგრძელობის ტოლფასია თუ საკითხს შესაბამისი ეპოქის თვალსაწიერიდან განვიხილავთ.

ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევლის აფსიდიდან დატანებული სარკმლების ზემოთ მოცემულია სამსურათიანი რელიეფური კომპოზიცია. ტრიპტიხის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ქრისტეს წინაშე მუხლმოყრილ სტეფანოზს. მაცხოვრის მარჯვენა ასვენია ერისმთავრის თავზე. "ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოზ ქართლისა პატრიკიოზი, შეიწყალე" – ვკითხულობთ რელიეფისათვის თანდართულ წარწერაში. მარჯვნივ მიქაელ

მთავარანგელოზის წინაშე დაჩოქილი დემეტრეა ("წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრე ჲპტოსსა მეოხეყავ"), მარცხნივ ადარნერსე ძოთური მსასოებელი გაბრიელ მთავარანგელოზისა ("წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადარნერსე ჲპტოსსა მეოხეყავ").

ამგვარად ეკლესიის ფასადის წარწერებშიც იგივე ისტორიულ პირებს ვხედავთ, რომლებიც იხსენიებიან ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში. პირველი ადგილი აქაც უკავია სტეფანოზს – კომპოზიციის ცენტრში, მეორე – დემეტრეს მარჯვნივ, მესამე – ადარნერსეს. იგი მარცხნივაა სურათზე. მაგრამ ეტყობა ეკლესიის ფასადის წარწერები უფრო გვიანდელია. თუ ქვაჯვარის დამზადების დროს ყველანი ცოცხლები ჩანან, ეკლესიის რელიეფების გაკეთებისას სტეფანოზი გარდაცვლილი უნდა იყოს. ამაზე, ნაწილობრივ, მის მიმართ გამოყენებული ვედრების ფორმულა "შეიწყალე" მეტყველებს, განსხვავებით დემეტრესა და ადარნერსეს 'მეოხეყავ"-ისაგან. გამოსახულებაც ამ აზრს გვიმტკიცებს: სტეფანოზი შეწყალებულია, მაცხოვარს მის თავზე უდევს ხელი. ამგვარი შეხედულება შეიძლება ჰქონდეთ ცოცხლებს გარდაცვლილზე და, რა თქმა უნდა, არა თავად ცოცხალ ადამიანს. ასე რომ, ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წარწერები, ჯერ ერთი, ადასტურებს სტეფანოზის დიდ როლს ჯვრის ტაძრის მშენებლობაში, ამასთან ისინიც ირიბად მეტყველებს იმას, რომ ადარნერსე სტეფანოზის ძეა. რადგან რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო სტეფანოზის რეალური ღვაწლი ტაძრის აგებაში, საეჭვოა ვინმეს, შვილის გარდა, ასე თვალსაჩინოდ წარმოეჩინა ეს, წარმოეჩინა საკუთარ დამსახურებაზე უპრატესად"[43] ◀

მართალია, რეცენზენტი ამ ნათესაური კავშირის შესახებ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ადრევე მიუთითებდა თავის წიგნში[44], მაგრამ ეს აზრი მისი აღნიშნული ნაშრომის

---

43 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.89-92.

44 იხ. ა.ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება* IV-VIII *სს-ში*. თბილისი: მეცნიერება, 1979, გვ.88-89; შდრ: А.Богверадзе. *Политическое и социально-экономическое развитие Картли в* IV-VIII *веках*. Автореферат

გამოქვეყნების დროისათვის უეჭველი როდი იყო. მაგალითად, რამდენიმე წლით ადრე გამოცემულ გამოკვლევაში ზ. ალექსიძე თავის კონცეფციას სწორედ "ქართლის ცხოვრების" მონაცემებზე დაყრდნობით ავითარებდა:

> "ჯუანშერის მიხედვით სტეფანოზი და დემეტრე ძმები არიან, ხოლო ადარნასე სრულიადაც არ არის მათი გვარის წარმომადგენელი. ე.ი. ერთი მხრივ სტეფანოზი და დემეტრე, მეორე მხრივ ადარნასე სხვადასხვა სახლის წარმომადგენლები არიან. მხოლოდ სუმბატ დავითის ძეს მიაჩნია სამივე ეს ერისმთავარი ერთმანეთის მამა-შვილად, მაგრამ იგი ტენდენციურია, ყველა ერისმთავარი ბაგრატიონთა შთამომავლად უნდა გამოაცხადოს და ნდობა ძნელია. 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით გუარამ კურაპალატის მომდევნო ერისთავია მისი ძე სტეფანოზ I, რომელიც ჯვარს აშენებს. რა ნათესაურ დამოკიდებულებაშია სტეფანოზთან მისი მომდევნო ერისთავი ადარნასე, არ ჩანს, ხოლო სტეფანოზ II უკვე ადარნასეს ძეა. უეჭველია, 'მოქცევაჲ"-ს ავტორს სტეფანოზსა და ადარნასეს შორის მემკვიდრეობის ხაზი გაწყვეტილი აქვს, თორემ სხვაგან იგი ყველგან ხაზს უსვამს ნათესაურ დამოკიდებულებას. ჩანს, სუმბატ დავითის ძე არ არის მართალი, როცა ადარნასეს სტეფანოზის ძედ აცხადებს.'[45]

ასე რომ, სისწორის მიუხედავად ა.ბოგვერაძის ამ თვალსაზრისს მეცნიერული გამართულობა აკლდა, რადგან არ ახლდა დასაბუთება. ეს დასაბუთება კი აუცილებელი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ამაზე უწინარეს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სხვაგვარი თვალსაზრისი (რომელმაც როგორც ქვემოთ ვნახავთ, ა.ბოგვერაძის ამ შენიშვნის შემდეგაც განაგრძო არსებობა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ

---

диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1990, с.19.

[45] *ეპისტოლეთა წიგნი.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევით და კომენტარებით გამოსცა ზ.ალექსიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1968, გვ.177.

უმთავრესი წყარო – "ქართლის ცხოვრება" გვაწვდიდა განსხვავებულ ინფორმაციას. მე არა მარტო ვაჩვენე რომ ეს ინფორმაცია მცდარი იყო, არამედ ავხსენი კიდეც წყაროში დეზინფორმაციის გაჩენის მიზეზები: სტეფანოზ I უარყოფითი პორტრეტი "ქართლის ცხოვრებაში" ეკუთვნის ისტორიკოს ჯუანშერ ჯუანშერიანს, რომელსაც, როგორც ცენტრიდანული ოპოზიციის წარმომადგენელს, არ მოსწონს სტეფანოზ I ცენტრალისტური პოლიტიკა, მისი მცდელობა ერისმთავრის ხელისუფლება მეფისას გაეტოლოს. მეტი სიცხადისათვის სრულად მოვიყვან შესაბამის ადგილს ჩემი წიგნიდან:

► "აშკარაა, რომ "ქართლის ცხოვრება" განხილულ შემთხვევაში ნაკლებად ადეკვატურად აღწერს ისტორიულ სინამდვილეს. თუ ქრონოლოგიური უზუსტობანი შეიძლება ავხსნათ ჯუანშერ ჯუანშერიანის დაუდევრობით, რას უნდა მივაწეროთ ისტორიკოსის მიერ ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში სტეფანოზის წვლილის მიჩქმალვა და საერთოდ უარყოფითი დამოკიდებულება ამ ისტორიული პირისადმი ... რა მომენტებს შეიცავდა სტეფანოზის მოღვაწეობა ისეთს, რომ შესაძლო იყო მისი მრავალგვარად შეფასება? ვინ არის ჯუანშერ ჯუანშერიანი, არაერთგვაროვანი მონაცემებიდან იგი რატომ მაინცდამაინც უარყოფითი დახასიათებისათვის გამოსადეგ მასალას არჩევს?

განვიხილოთ ძველი ქართული მწერლობის ერთი ძეგლი, რომელშიც აგრეთვე ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება მჟღავნდება სტეფანოზისადმი. სიტყვა ეხება ჰაგიოგრაფიულ ნოველას წმ. შიო მღვიმელის სასწაულთა კრებულიდან, "სასწაული მეროვეს". ამ ქმნილების მიხედვით სტეფანოზი იყო "კაცი ამპარტავან და ბოროტ". იგი უკიდურესად აღშფოთებულია იმას, რომ შიომღვიმეში მასზე უპრატესი პატივით კათალიკოსი მიიღეს. ერისმთავარი არ დაუკმაყოფილებია მონასტრის მამასახლისის თავის მართლებას, მის განმარტებას, რომ სასულიერო პირთათვის საეროზე მაღლა მდგომია საეკლესიო ხელისუფლება. სტეფანოზს მონასტრისათვის ადრე სამეფო სახლის მიერ შეწირული მიწები წაურთმევია. "მეფეთა საყდარზე ვზი", – ასე ასაბუთებდა თავის პრეტენზიებს სტეფანოზი. ნოველის ავტორის თქმით, სტეფანოზის ღვთისმოყვარეობა მოჩვენებითი იყო. მონასტრისათვის მიწები დაუბრუნებია, ახალიც შეუწირავს მხოლოდ მოგვიანებით წმ. შიოს მიერ

სასწაულებრივად მოვლენილი სასჯელის შიშით ჯვრის ეკლესიის მშენებლობა ამის შემდეგ დაუწყია. ამის მერე გამხდარა კეთილმოსურნეც საეკლესიო პირთადმი.

ვ.ჯობაძის შენიშვნით, აღნიშნული ნოველა ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს არა რელიგიურ დისპუტთან ერისმთავარსა და სასულიერო პირს შორის, არამედ ჭიდილთან პირველობისთვის, რაც ბუნებრივია: ქართლში უზენაესი საერო ხელისუფლების შეწყვეტის პერიოდში ეკლესია ძლიერდება.

ასეთივეა აღნიშნული ძეგლით მიღებული გ.დუნდუას შთაბეჭდილებაც, რომელიც სწორედ "სასწაულ მერვეზე" დაყრდნობით სტეფანოზის "ურწმუნოების" თაობაზე ცნობის გაჩენას ქართლის საერო და სასულიერო ხელისუფლებათა შორის დაპირისპირებით გამოწვეულ ფაქტად მიიჩნევს.

ჯუანშერ ჯუანშერიანი კიდევ უფრო გვიზუსტებს ამ სურათს. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ სტეფანოზის ოპოზიცია არ შემოფარგლებოდა მარტოოდენ საეკლესიო წრეებით. საქმე ისაა, რომ სტეფანოზს იერიში მიჰქონდა მთელ ფრონტზე, ქართლის ცენტრიდანულ ძალთა ერთიანი ბლოკის წინააღმდეგ. მის შემადგენლობაში კი საეკლესიო იერარქიასთან ერთად იყვნენ ადგილობრივი საერო ხელისუფალნიც. სტეფანოზი წარმოგვიდგება ხელისუფლების მონოპოლიზაციის მსურველად. რომ კარგად წარმოჩნდეს ამ ბრძოლის ხასიათი, უნდა გავიხსენოთ ქართლის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთობის ისტორია, მით უმეტეს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების მაგისტრალური ხაზი გადის სწორედ ამ ურთიერთობებზე.

თავიდან მამასახლისობის ეპოქაში ხევისუფალნი და ერისთავნი საგამგებლო რეგიონებში განუყოფელი ძალაუფლების მქონე მმართველები ჩანან. ფარნავაზის წარმატება, როგორც შენიშნავს ნ.ბერძენიშვილი, მდგომარეობდა იმაში, რომ მან ადგილობრივი ხელისუფალნი მოხელეებად აქცია, ხოლო ხევები და ქვეყნები ხელმწიფის საკონტროლოდ მათი დაუფლების ტენდენციით ამ დროიდან ბრძოლა სეფისახლსა და ხევისუფალთ შორის მთელი ფეოდალური ურთიერთობის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მიმდინარეობდა გარდამავალი წარმატებით ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლება სუსტდება იქამდე, რომ VI საუკუნის დასასრულს ერისხანს საეროდ წყვეტს არსებობას და ქვეყნის მართვას

ირანელ მარზპანთან ერთად ახორციელებს ქართველ წარჩინებულთა სამეული, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელია. ესაა არშუშა ქართლის პიტიახში. უზენაესი საერო ხელისუფლება ქართლში აღდგება პრინციპულად ახალ საფუძველზე. ერისმთავარი ერის ხარიზმატული ბელადი, თვითმპყრობელი მეფე კი არ არის, ერისთავთა მიერ არჩეული ("განწესილი") ერთ-ერთი ერისთავთაგანია მხოლოდ. "განწესის" საფუძველი გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, ერისთავთა მხრივ ეს პირობაა სამოხელეო მიწების სამამულედ ფლობის დამტკიცება. ჯუანშერის სიტყვით, ქართლის პირველი ერისმთავარი სტეფანოზის მამა გუარამი ცნობს ამ პირობას: "და მეფობდა (გუარამი – მ.ჩ) კეთილად და უშფოთველად, არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვს საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა". ასევე ყოფილა ადარნერსეს დროსაც "ერისთავნი იგი თვს-თვსსა საერისთავოსა შინა მკვიდრობდეს შეუცვალებლად და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა". მაგრამ სტეფანოზს რომ ეცნოს ერისთავების "მკვიდრობა" საერისთავოებში არ ჩანს.

"და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთ-მთავრად ხადოდეს. და მოკუდა სამოელ კათალიკოსი და ამან სტეფანოზ დასუა ბართლომე კათალიკოსად" – ასე იწყებს სტეფანოზის შესახებ თხრობას ჯუანშერ ჯუანშერიანი.

მრავალმხრივ საგულისხმო ცნობაა. სტეფანოზმა კათალიკოსი "დასუა" (სხვათა შორის, როგორც ვახტანგ გორგასალმა თავის დროზე), მაშინ როცა გუარამის დროს კათალიკოსი "დასუეს". სტეფანოზს სურს იწოდებოდეს მეფედ. რადგან რეალურად ასე აღიქვამს თავის მდგომარეობას, ჯუანშერი კი მას ერისთავთ მთავრად იხსენიებს ...

მაგრამ რატომ შეიძლება აღიზიანებდეს ჯუანშერ ჯუანშერიანს მასზე ერთი საუკუნით ადრე მცხოვრები ერისმთავრის სწრაფვა ხელისუფლების მონოპოლიზაციისაკენ?

როგორც თხზულებიდან ვიცით, ჯუანშერ ჯუანშერიანი იყო ქართლის ერთ-ერთი ერისთავი, მეფე არჩილის სიძე (მიშილის ქმარი). ჯუანშერის თხზულების ბირთვს წარმოადგენს თხრობა არჩილ მეფის "რეფორმის" შესახებ, რომლის არსი მეფის მიერ ერისთავთათვის სამოხელეოს

სამამულოდ "მკვდრობით" გადაცემაში მდგომარეობდა. კონკრეტულად საქმე ასე წარმართულა: სტეფანოზ II ორი ვაჟი დარჩენია: მირი და არჩილი. პირველად გამეფებულა მირი, რომელსაც ძე არ ჰყოლია, არამედ შვიდი ასული. სიკვდილის წინ მირს დაუბარებია ძმისთვის: შენ ხდებით ამიერიდან ჩვენი სახლის მკვიდრად იცი, ერისთავებს არ ვაძლევდით ქალებს, მაგრამ რადგან შემცირებულნი ვართ, მე უძეო ვარ, შენ კი უცოლო, მიეცით ჩემი ასულები ერისთავებს და გაუყევ ქვეყანა: ნახევარი შენ, ნახევარი მათ. არჩილი სწორედ ასე მოქცეულა. ერთ-ერთი ერისთავთაგანი, რომელმაც მირის ასული შეირთო და სამემკვიდრეო დაიმკვიდრა, იყო სწორედ ისტორიკოსი ჯუანშერი, რომელსაც სხვებზე უკეთესი წილი რგებია მზითევში გამოყოფილი ქვეყნისა: "მეექუსე (ძისწული – მ.ჩ) მისცა (არჩილმა – მ.ჩ) ჯუანშერ ჯუანშერიანსა, რომელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა. და მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჴევი და ტფილისი. ხოლო ნაწილი არჩილისა იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ჴევთაგან. და ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა, დაუმძიმდა მცირედ რამე სხუათა მათ".

ზემოთ აღწერილი ღონისძიება არსებითად ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების ცდაა ფეოდალური სამართლებრივი წარმოდგენების შესაბამისად. ერთი შეხედვით, აღნიშნული ფაქტი თანაბრად კომპრომისულია ორივე მხრიდან ("მეფე იძულებულია იცნოს ჴევ-ქვეყნების სამემკვიდრეოდ გადაცემა ფეოდალურ მფლობელობაში ნამზითვის წესით, ხოლო ერისთავები იძულებულნი არიან ერთგულების პირზე ფლობდნენ სამემკვიდრეოდ, ვითომცდა ნამზითვების წესით მიღებულ ქვეყნებს"), მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ფაქტობრივად ესაა ცენტრალური ხელისუფლების მიერ პრეროგატივის მნიშვნელოვან წილად დათმობა ადგილობრივ ხელისუფლის მეტად საეჭვო ერთგულების სანაცვლოდ. "რეფორმა" ცენტრიდანული ოპოზიციის გამარჯვების მომასწავებელია, რომელიც არჩილის ეპოქაში ახერხებს რეალური წარმატების განმტკიცებას იმით, რომ მას აძლევს კანონიერ სახეს.

ჯუანშერის ვინაობის გარკვევა გვახვედრებს, რომ საქმე გვაქვს ისტორიული წარსულის პარტიული პოზიციით განხილვის ფაქტთან. სტეფანოზის სიცოცხლეში მის ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ აშკარად ახლდა წარმატება. ამიტომაა,

რომ მისი უმცროსი თანამედროვეების მოღვაწეობის ხანაში მკვიდრდება სტეფანოზის, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწის, სახე. მაგრამ მოგვიანებით გამარჯვებული ცენტრიდანული ძალები "უკანა რიცხვით" ჯავრს იყრიან შეუზღუდავი ძალაუფლების მოსურნე ერისმთავარზე და იქმნება მისი უარყოფითი პორტრეტი. პოლიტიკური ოპოზიციის ისტორიული კონცეფცია ფიქსირდება "ქართლის ცხოვრებაში".

სხვა საკითხების კვლევისას ჩვენ გვქონდა შემთხვევა დაგვედასტურებინა ჯუანშერ ჯუანშერიანის კრიტიკული დამოკიდებულება ვახტანგ გორგასლისადმი. მართალია, სტეფანოზსავით აშკარად არა, არამედ შეფარულად, არაკით, მაგრამ მაინც საკმაოდ მწვავედ და დაუნდობლად კიცხავს ჯუანშერი ვახტანგის ერთ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯს. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ეს პრადად მის მიერ ვახტანგის კურსის მიუღებლობით არ აიხსნება მარტოოდენ. ჩანს, თავის როლს თამაშობს პარტიული პოზიცია, საზოგადოდ ერისთავის დამოკიდებულება თვითმპყრობელი მეფისადმი. არც ისაა ალბათ შემთხვევითი, რომ ჯუანშერს აღიზიანებს სწორედ "მოქცევაი ქართლისაის" მიერ ეპითეტ "დიდით" მოხსენიებული პირი. ის რაც აღაფრთოვანებს ერთ ისტორიკოსს, ანტიპათიის საფუძველია მეორისათვის."[46] ◄

მკითხველისათვის ახლა ძნელი აღარ იქნება მიხვედრა თუ რატომ ამახვილებდა რეცენზენტი ყურადღებას იმაზე, რომ სტეფანოზ I და ადარნერსეს მამა-შვილობის შესახებ აზრს მტკიცება არ სჭირდებოდა. აღნიშნულ ფაქტს მტკიცება სჭირდებოდა და ამიტომაც ამას მიეძღვნა ჩემი გამოკვლევის რამდენიმე გვერდი. ა.ბოგვერაძეს კი უძნელდებოდა ეღიარებინა (ამ შემთხვევაში კი იძულებული იქნებოდა ეს გაეკეთებინა, რადგან მისი და ჩემი პოზიცია ემთხვეოდა) ჩემი, თუნდაც ერთი, თვალსაზრისის მართებულობა.

როგორც ითქვა, თავიდან აღნიშნულ პირთა ნათესაობის დასაბუთება მკვლევარს ზედმეტად ეჩვენებოდა. მაგრამ შემდეგ საბუთი მაინც მოჰყავს. "ერთი X საუკუნის ხელნაწერი" - ასე მოიხსენიებს იგი ამ საბუთს და არავითარ სხვა დამოწმებას არ

---

46 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი.* გვ.93-97. შდრ: მისივე. *არაკი სინდისა მეფისა.* ქართული წყაროთმცოდნეობა VIII (რედ. გ.ალასანია). თბილისი: მეცნიერება, 1993, გვ.55-66.

იძლევა. დაუმოწმებელი თვალსაზრისები ყოველთვის აღძრავს ეჭვს, რადგან ხშირად ამგვარ აკადემიურ არაკორექტულობას რაღაცის დამალვის შემთხვევაში აქვს ადგილი. ცხადია, რეცენზიას რომ დაბეჭდვამდე სათანადო სამეცნიერო ექსპერტიზა სჭირდებოდა ჟურნალ "ანალების" რედაქციის მხრიდან, როგორც ეს საზოგადოდ სამეცნიერო რეფერირებულ გამოცემებშია მიღებული, ასეთ დაუმოწმებელ ცნობას მათშიც ეჭვი უნდა აღეძრა. ხოლო რეცენზენტისათვის ამ ლაფსუსის მოთხოვნის გამოსწორების შემთხვევაში, გამოირკვეოდა, რომ მას უფლება არ ჰქონდა ეს ფაქტი დამოწმების გარეშე მოეყვანა, რადგან იგი სხვა ავტორის გამოუქვეყნებელი წიგნიდან არის. მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს თუ რას ვგულისხმობ, მოვიყვან ციტატს თიჩუას ნაშრომიდან:

> "ჯვრის ტაძრის წარწერებში მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობის დადგენისთვის განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ახალაღმოჩენილ დოკუმენტს. ვგულისხმობთ სინის მთის მონასტერში დაცულ, X საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერში დაფიქსირებულ ცნობას, რომელიც სავარაუდოდ ეპიტაფიის ტექსტს წარმოადგენს, გადაწერილს იმ დროს არსებულ სამარხიდან. მისი შინაარსი ასეთია: "ოდეს გარდაიცვალა ... დიდი მამფალი ადრნერსე, ძეი სტეფანოზისი, ძისწული დემეტრესი, ძისწული დიდისა გუარამისი...".'[47]

როგორც ვხედავთ, ა.ბოგვერაძის მიერ ცნობის ციტირება ზუსტად ემთხვევა თიჩუასთან დამოწმებულ ტექსტს. ამ ცნობას თიჩუა კი ურთავს შენიშვნას:

> "ეს ცნობა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წიგნიდან მოგვაწოდა აკად. ზ.ალექსიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით'[48]

---

[47] თიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი და ახალი დათარიღების საფუძვლები.* თბილისი: პოლიგრაფისტი, 2000, გვ.222.
[48] იქვე, გვ.222.

ამგვარად მიწოდებული ინფორმაციისათვის ერთი ავტორი მეორეს სპეციალურ მადლობას უხდის. ცხადია, ამის გარეშე ამ ინფორმაციის გამოყენება არ შეიძლება, რადგან იგი გამოუქვეყნებელი წიგნიდან არის. ა.ბოგვერაძე კი მას ყოველგვარი დამოწმების გარეშე იყენებს.

## 1.12

მაგრამ კვლავ რეცენზენტს მოუსმინოთ

“ასეც რომ არ იყოს (ამ შემთხვევაში, ჩანს, ა.ბოგვერაძე გულისხმობს მის მიერ დამოწმებული ხელნაწერის ინფორმაციას – მ.ჩ) მცხეთის ჯვრის რელიეფზე გამოსახული ხელისუფალნი ხომ იმავე პოლიტიკური და ნათესაური ნიშნით არიან წარმოდგენილი. ცენტრშია სტეფანოზ ქართლის ერისმთავარი “პატრიკიოსის” ბიზანტიური ტიტულით. მისი სახლის უფლისწულებს უფრო დაბალი “ვიპატოსის” ბიზანტიური ტიტულები აქვთ მინიჭებული. კიდევ უფრო დაბალი “სტრატილატის” ტიტულით წარმოდგენილია ადარნასეს მემკვიდრე ქობულ-სტეფანოზი, მომავალი ერისმთავარი სტეფანოზ II. ეჭვი არაა, რომ ეს ტიტულები სტეფანოზს და მისი სახლის წევრებს ერთდროულად აქვთ მინიჭებული 590-იან წლებში და გამოხატავს მაშინ იმ დროისათვის არსებულ ნათესაურ და პოლიტიკურ-უფლებრივ დამოკიდებულებას. მ.ჩხარტიშვილი კი აცხადებს, რომ სტეფანოზი ჯვრის ტაძრის რელიეფებზე გარდაცვლილად არის წარმოდგენილი და აქედან გამომდინარე ეს ტაძარი VIIს-ის 30-იანი წლების შემდეგ აუგიათ. სტეფანოზი რომ გარდაცვლილი ყოფილიყო ამ დროის, ის ცენტრში და “ქართლის პატრიკიოსის” ტიტულით კი არ იქნებოდა გამოსახული, არამედ მისი მემკვიდრე ადარნასე, რომელიც ამ კომპოზიციაში შვილთან ერთად აშკარად სტეფანოზის მემკვიდრე უფლისწულადაა წარმოდგენილი. მ.ჩხარტიშვილს ეკლესიის რელიეფების შესრულებისას სტეფანოზი გარდაცვლილად მიაჩნია, რადგან მის მიმართ გამოყენებულია ვედრების ფორმულა “შეიწყალე”, განსხვავებით დემეტრესა და ადარნასეს ‘შეოხ ეყავ”-

ისაგან, მაგრამ "შეიწყალე" არ ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელსაც ის მიეთითება, გარდაცვლილია. ასე რომ იყოს, პატარა ქობულ-სტეფანოზის რელიეფზე (სტეფანოზი თავისი სახელის წმინდანის წინ მუხლმოყრილად არის გამოსახული) არ იქნებოდა წარწერა: "წმიდაო სტეფანე ქობულ-სტეფანოზი შეიწყალე".[49]

სამწუხაროდ, რეცენზიიდან მოყვანილი ეს ადგილი უამრავი შეცდომის შემცველია.

თავიდან რეცენზენტი, როგორც ვხედავთ, აღწერს ეკლესიის ფასადის რელიეფებს და მათთვის თანდართულ წარწერებს. მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობდა, რომ განსხვავებით ჩემს წიგნში წარმოდგენილი აღწერისაგან, რეცენზენტი ასახელებს ქობულ-სტეფანოზსაც მე კი ამ პიროვნებას ერთი სიტყვითაც არ ვახსენებ. რატომ?

ქობულ-სტეფანოზს იმ უბრალო მიზეზის გამო არ ვიხსენიებ, რომ ამ კვლევასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. ა.ბოგვერაძე ისე წარმოსახავს ვითარებას, თითქოს ხსენებული ტრიპტიხის ნაწილია ქობულ-სტეფანოზის რელიეფიც სინამდვილეში ქობულ-სტეფანოზის რელიეფი და, შესაბამისად, მისთვის თანდართული წარწერა, ტრიპტიხის ნაწილს არ წარმოადგენს. იგი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე კი არა, სამხრეთის ფასადზეა. ასე რომ, ქართლის ერისმთავართა ოჯახთან მისი მიმართება გაურკვეველია. რაც შეეხება აღმოსავლეთის ფასადზე ადარნერსე ვიპატოსის წინ ყმაწვილის გამოსახულებას, რომელიც, უეჭველია, ადარნერსეს ძეა, მისი საიდენტიფიკაციო წარწერა არ იკითხება. ასე რომ, წარწერასთან ქობულ-სტეფანოზის გაიგივება სპეციალურ არგუმენტირებას მოითხოვს. ეს თავისთავად ცხადი და უეჭველი არ არის. მაგრამ კვლევის კორექტულობის მოთხოვნით განპირობებული ამგვარი პრობლემა არ ისმის ა.ბოგვერაძის წინაშე. იგი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე აცხადებს, რომ ადარნერსეს წინ გამოსახული ყმაწვილი და ქობულ-სტეფანოზი ერთი და იგივე პიროვნებებია. ჩემთვის გასაგებია რატომ დაიბნა ასე ამ რელიეფების წყაროდ გამოყენებისას რეცენზენტი და საიდან მომდინარეობს მისი

---

49 ა.ბოგვერაძე. *VI ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

შეცდომაც სამხრეთის რელიეფის აღმოსავლეთის რელიეფებთან დაკავშირებისას. ეს ხდება წარწერათა არასწორი პუბლიკაციის მიზეზით. როგორც ცნობილია, ადორნერსეს წინ მდგომ მემკვიდრესთან ქობულის იდენტიფიკაციის შესახებ აზრი ეკუთვნის გ.ჩუბინაშვილს. ეს კერძო თვალსაზრისი გამომცემელს წყაროს აღწერაში აქვს წარმოდგენილი:

> "ადორნერსეს წინ გამოსახულია მუხლმოდრეკილი მისი პატარა ვაჟი – ქობული."[50]
>
> "ფილაზე (რომელიც ჩადგმულია შვერილში, ფანჯრის ზემოთ) გამოქანდაკებულია ჭაბუკი ქობულ-სტეფანოზის მუხლმოდრეკილი ფიგურა, წმინდა სტეფანეს წინ."[51]

წიგნის ის მონაკვეთი კი, სადაც საუბარია ადორნერსეს რელიეფსა და მის წარწერაზე, დასათაურებული როგორც "59 5/60 ჳ'წ. მოსახსენებელი ადორნერსე იპატოსისა და ქობულისა". თუმც იქვე შენიშნულია, რომ:

> "ადორნერსეს ვაჟის წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე გრაფემის კვალი (წარწერის ბოლო შეამჩნია ბართოლომეიმ. წარწერაში ადორნერსეს ძე ქობული ამოიცნო გ.ჩუბინაშვილმა)."[52]

მოკლედ გამოცემა ისეა გაკეთებული, რომ არასპეციალისტ მკითხველს შეიძლება მართლაც მცდარი აზრი შეექმნას[53]. მაგრამ სპეციალისტს, და მით უმეტეს იმ

---

[50] იხ. *ლაპიდარული წარწერები* I აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ.შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1980, გვ.160.

[51] იქვე, გვ.164.

[52] იქვე, გვ.160.

[53] ამ რელიეფებთან მიმართებით შეცდომაა დაშვებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც, რომელშიც სამხრეთ ფასადზე არსებული ქობულის რელიეფი და წარწერა აღრეულია აღმოსავლეთის ფასადის კომპოზიციის ცენტრალურ რელიეფთან და წარწერასთან. კერძოდ, ქობულის რელიეფის ილუსტრაციის კომენტარში ვკითხულობთ: "აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი. გამოსახულია ქრისტეს წინაშე

სპეციალისტს, ვინც კოლეგების კრიტიკა განიზრახა, ცხადია, ეს არ უნდა მოუვიდეს.

მაგრამ კიდეც რომ აღმოჩნდეს, რომ ქობული იგივე სტეფანოზ II, ამ ფაქტს ა.ბოგვერაძის თვალსაზრისისათვის საბუთის მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ისიც დამტკიცდება, რომ ეკლესიის აღმოსავლეთისა და სამხრეთის რელიეფები სინქრონულადაა შესრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქობული სამხრეთის ფასადზეც გამოსახულია, როგორც მცირეწლოვანი და ცოცხალი? ის, რომ მისი ფიგურა წმ. სტეფანეს ფიგურასთან შედარებით მცირეა, მის მცირეწლოვნებას სულაც არ ნიშნავს. ასი წლის მოხუციც რომ ყოფილიყო ქობული, წმ. სტეფანესთან მიმართებაში, ასეთი მოკრძალებული ზომა ექნებოდა მის ფიგურას. მეორეს მხრივ, სამხრეთის ფასადზე გამოსახული პირის მცირეწლოვანება კიდეც რომ დასაბუთდეს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მას არ შეიძლება მიემართებოდეს ვედრების ფორმულა "შეიწყალე", რადგან ბოლოსდაბოლოს მცირეწლოვანიც შეიძლება გარდაიცვალოს. ა.ბოგვერაძის არგუმენტი იმუშავებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ადარნერსეს წინ მყოფი ყმაწვილის თანდართულ წარწერაში რომ ყოფილიყო ეს ფორმულა, რადგან აშკარაა, რომ მამის წინ მდგომი ეს ყმაწვილი, ამ სურათზე გარდაცვლილად არ არის წარმოდგენილი. მაგრამ წარწერა, რომელსაც იყენებს ა.ბოგვერაძე, როგორც ვთქვი, აღმოსავლეთის ფასადის რელიეფების წარწერა არაა, ამიტომ მის მონაცემს არ შეუძლია გვითხრას დანამდვილებით, რომ ის ქობულის სიცოცხლეშია გაკეთებული და რომ, შესაბამისად ამ ძეგლში "შეიწყალეს" გამოყენება ცოცხლების მიმართაც დასტურდება.

რეცენზენტი დამახინჯებით წარმოუდგენს მკითხველს თავად წარწერასაც. ქობულის წარწერაში სიტყვა "შეიწყალეს" (იგი დაქარაგმებულია ტრადიციულად, როგორც "შე") წინ, მოცემულია სიტყვა სამი გრაფემის დაქარაგმებით "ზტი". ამ სიტყვას მეცნიერთა ერთი ნაწილი კითხულობს, როგორც საკუთარ სახელს *სტეფანოზს*, ნაწილი კი – როგორც ტიტულს: *სტრატილატს, სტრატეგოსს, სიკლიტოზს* და ა.შ. ეს არის

---

მუხლმოდრეკილი სტეფანოზ ერისმთავარი" (იხ. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტომი II, მცხეთის ჯვართან დაკავშირებული ფოტოები).

საკითხი, რომლის ცალსახად გადაწყვეტა დღევანდელი ცოდნის პირობებში ჩვენთვის შეუძლებელია. ამიტომ არცერთი აღდგენა პრინციპში არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომად. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეცდომაა და თანაც მოუთმენელი, რომ ამ სამი გრაფემის ადგილას ერთდროულად აღადგინო საკუთარი სახელიც და ტიტულიც ანუ *სტეფანოზიც* და *სტრატილატიც*, როგორც ამას აკეთებს რეცენზენტი.

შეიძლება ჟურნალ "ანალების" რედაქციაში, სადაც დაიბეჭდა ა.ბოგვერაძის რეცენზია, არ ხსომებოდათ ყველა ჩემი მოსაზრება და მსჯელობა, რომ მიმხვდარიყვნენ, თუ როგორ მახინჯდება რეცენზენტის მიერ ჩემი თვალსაზრისი, თუმცაღა მცხეთის ჯვრის ეკლესიის ფასადთა წარწერების ცოდნა ალბათ მოეთხოვებოდათ ან არადა, ჩემთვის რომ საშუალება მიეცათ გამოქვეყნებამდე გავცნობოდი ამ რეცენზიას და ჩემი პასუხებისთვისაც მოესმინათ ცხადია, ამგვარი ლაფსუსები არ გაიპარებოდა. რეცენზენტს იქვე წაასწორებინებდნენ იმას, რაც განსხვავებული აზრი კი არაა, არამედ ფაქტობრივი შეცდომაა. სასურველი იყო რეცენზიისა და ჩემი (და აგრეთვე სხვა გაკრიტიკებული ავტორების) პასუხების პარალელურად დაბეჭდვა. დისკუსიის მასალების ამგვარი გამოქვეყნება აპრობირებულია მსოფლიო აკადემიურ პრაქტიკაში.

## 1.13

### და კვლავ რეცენზენტს მოვუსმინოთ

"ერთი სიტყვით სტეფანოზ I-ის მმართველობის გადატანა VIIს-ის 20-30-იან წლებში გაუმართლებელია სრულიად და ამასთან უმართებულოდ კვერს უკრავს პ.მურადიანის შეხედულებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარი უფრო გვიანდელია, ვიდრე ამ ტაძრის სომხური ტყუპები."[54]

ეს კომენტარი უკანასკნელია ა.ბოგვერაძის მიერ ჩემი გამოკვლევის თარიღზე გაკეთებულთა შორის. აშკარად ესაა აკორდი. იგულისხმება, რომ მესიჯს, რომელიც მოაქვს ამ

[54] ა.ბოგვერაძე. *VIს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

ბოლო ფრაზას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რეცენზენტი. ვნახოთ რაში მდგომარეობს იგი.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ვუპასუხო კითხვას, რომელიც ბუნებრივია, აღუძრეს მკითხველს. ვინაა პმურადიანი, რა არგუმენტის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მისთვის "კვერის დაკვრას" ჩემი შეხედულებების კრიტიკისათვის?

ქართულ სამეცნიერო წრეებში და საზოგადოების გარკვეულ ნაწილშიც პმურადიანი ცნობილია როგორც მკვლევარი, რომელიც სისტემატურად ამახინჯებს საქართველოს ისტორიის ფაქტებს. ამ დამახინჯებებს, მასთან დაკავშირებულ ტენდენციურობასა და არაპროფესიონალიზმს იმდენად ტოტალური ხასიათი აქვს, რომ, ქართველი პოზიციით, პმურადიანი მოაზრება როგორც ქართული კულტურის ხელმყოფელის ერთგვარად კრებითი ოდიოზური სახე. ამგვარად, როცა ა.ბოგვერაძე მკითხველს ჩემ მიერ პმურადიანისათვის "კვერის დაკვრაზე" ამცნობს, ამ შემთხვევაში მისი მიზანი იგივეა, რაც მის მიერ ჩემი კრიტიკის დასაწყისში მოცემული სხვა "მაკომპრომენტირებელი" მსჯელობებისა. კერძოდ, მას სურს მკითხველის თვალში ჩემს პროფესიონალიზმს, ჩემს არგუმენტაციას კიდევ ერთხელ მიაყენოს ჩრდილი: თუ მ.სხარტიშვილი პმურადიანს – ფაქტების ამ მუდმივად დამმახინჯებელს და ქართული კულტურის ავისმქნელს – "უკრავს კვერს" (თავისთავად ეს გამოთქმაც დამახასიათებელია), ცხადია, მისი თვალსაზრისი მცდარია, – გაიფიქრებს ამგვარ მანიპულაციებში გამოუცდელი მკითხველი.

ამ "არგუმენტის" წარმატების იმედი რომ ტყუილად არ ჰქონია რეცენზენტს, ამას კარგად ადასტურებს, არა მარტო დ.მუსხელიშვილის მიერ მისი პოზიციის სრული გაზიარება, არამედ კიდევ ერთი ზემოთ ნახსენები ავტორის, კერძოდ, თ.ჩიჩუას მიდგომაც საკითხისადმი. არსებითად ეს მკვლევარიც "არგუმენტად" ქართულ სინამდვილეში პმურადიანისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იყენებს. იგი მიუთითებს, რომ პმურადიანის კონცეფციის დაძლევა ქართველ სპეციალისტებს არ გასჭირვებიათ, მაგრამ ის დასკვნები რომ ჰქონოდათ ხელთ, რომელთაც თავად გვთავაზობს, კიდევ უფრო გაუიოლდებოდათ საქმე. მივიყვან ციტატს, რომ მკითხველისათვის ვითარება სავსებით ნათელი იყოს. თ.ჩიჩუა ერთგვარი შესავლით იწყებს:

"...ქართველ არქიტექტორთა ერთ ჯგუფს ერევანში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე

სომეხ კოლეგებთან გვქონდა შეხვედრა. მათ საყვედურებით აგვავსეს, რომელიც ერთგვარი დამუქრებითაც კი დაამთავრეს – ცოტა ხანში თქვენ ათ დარტყმას მიიღებთო. სიმართლე გითხრათ, მე მაშინაც და ახლაც არ ვიცი რა ათ დარტყმას გულისხმობდნენ ისინი, თუმცა ერთი “დარტყმა” ძალიან მალე, 1968 წელს გამოჩნდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის “მაცნეში”, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის, ამურადიანის მიერ წმ. ნინოს ჯვრის კვარცხლბეკის წარწერების შესახებ გამოქვეყნებული სტატიის სახით. გასაგები რომ გახდეს ამ “დარტყმის” შინაარსი და მისი სამეცნიერო “ღირსება”, მოკლედ მოგახსენებთ მის არსს. ქართულენოვანი წარწერის მომიჯნავე წახნაგზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი სომხური წარწერა ამურადიანის მიერ, ძალიან საეჭვო დასაბუთებით, წაკითხულ იქნა როგორც ქართული წარწერის მოკლე გამეორება. მანვე შეთხზა ვერსია ტაძრის სომეხი არქიტექტორის არსებობის შესახებ ასეთი არგუმენტების მოყვანით: სომხური წარწერის ქვემოთ, ტექსტის ასოებისაგან მკაფიოდ განსხვავებული მანერით ამოკვეთილი სომხური მთავრული ასო “თ” ამოჭრა არქიტექტორმა, რომლის გამოსახულება გუმბათის ყელზეა მოცემული და მან წარწერის გაკეთება ვერ გაბედა იმ დროის საეკლესიო განხეთქილების გამო. შემდეგ, თურმე ამ სომეხ არქიტექტორს ტაძრის მშენებლობა დაუმთავრებია 540-იან წლებში ... ძალიან მოკლე ხანში, იმავე 1968 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნეში” გამოქვეყნდა მ.ლორთქიფანიძისა და ილ.აბულაძის ორი საპასუხო სტატია. დიდმა მეცნიერმა, არმენოლოგმა და ძველი ხელნაწერების აღიარებულმა სპეციალისტმა პროფ. ი.აბულაძემ, მეცნიერული სიღრმით დაასაბუთა ამურადიანის დასკვნების სრული უსაფუძვლობა, რადგან კვარცხლბეკის სომხური ტექსტის სიტყვები არასწორად არის წაკითხული და გაგებული კვარცხლბეკის ქართული ტექსტის სიტყვებთან მიმართებში ... ვფიქრობთ, ამურადიანის ვერსიის შეთხზვას საფუძველი გამოეცლებოდა, იმ დროისათვის ტაძრის პირველად მიღებულ დათარიღებაში გარკვეული ცვლილებები რომ

ყოფილიყო შეტანილი. გურამ კურაპალატის ტაძრის მშენებლობის დამწყებ ქტიტორად და მშენებლობის შემსრულებლად დემეტრეს წარმოჩინება (და არა კვარცხლბეკზე გამოსახული ადარნასესი და სტეფანოზ მეორისა), ის რეალური მონაცემებია, რომელზეც არ შეიძლება აიგოს პ.მურადიანის გამოგონილი ვერსია, ამიტომაც მან სიამოვნებით მოიცილა თავისი მსჯელობიდან გურამ კურაპალატი და არარეალურ პიროვნებადაც კი გამოაცხადა. ტაძრის მშენებლობის დაწყებისა (575-582 წლებს შორის) და დამთავრების (608 წელი) ახალი დათარიღებაც არ შეუწყობდა ხელს "დარტყმისათვის" განკუთვნილ ჩანაფიქრს ... ჩვენმა მეცნიერებმა არცთუ ძნელად გააბათილეს პ.მურადიანის მიერ ყალბ საფუძველზე აგებული ვერსია სომეხი არქიტექტორის არსებობის შესახებ; თუმცა სტეფანოზ პირველის ტაძრის მშენებლობის დამწყებად მიჩნევა და ქტიტორისათვის შეუფერებელი მისი დახასიათება (ქართულ ქრონიკებში), მათ მსჯელობას რიგ შემთხვევაში დამაბრკოლებელ მუხრუჭად მოევლინა."[55]

აქაც იგივე ფსიქოლოგიურ სვლასთან გვაქვს საქმე, რასაც ვხვდებით ა.ბოგვერაძის რეცენზიაში, ოღონდაც ვითარება დიამეტრალურად შეცვლილია: თუ პირველ შემთხვევაში პ.მურადიანის ხსენება ემსახურებოდა სხვისი (ანუ ჩემი) თვალსაზრისის დაბლოკვას (პ.მურადიანი იმდენად უარყოფითადაა ცნობილი ჩვენში, რომ კონცეფცია, რომელიც მისას ემთხვევა, განწირულია წარუმატებლობისათვის), თიჩინასათვის ეს სახელი ემსახურება საკუთარი თვალსაზრისის დამკვიდრებისათვის ხელშემწყობი წინაპირობის შექმნას (ის კონცეფცია, რომელიც პ.მურადიანის თვალსაზრისის საწინააღმდეგო ფაქტობრივი მასალით მომარაგებს მკვლევრებს, ნდობის, საყოველთაო გაზიარების ღირსია). ე.ი. უბრალოდ პ.მურადიანის სახელის ხსენება გადაქცეულა მძლავრ არგუმენტად შეხედულების გაზიარების ან იგნორირებისათვის.

მაგრამ ახლა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, ეხმარება თუ არა სინამდვილეში ჩემი კონცეფცია ჯვრის

---

[55] თიჩინა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.219-222.

ეკლესიის დათარიღების შესახებ პ. მურადიანის თვალსაზრისს. თბილისის წიგნიდან ზემოთ მოყვანილი ციტატით მკითხველს ნაწილობრივ უკვე შეექმნებოდა წარმოდგენა თუ რას ამტკიცებს პ. მურადიანი. ქვემოთ კვლავ გადმოვცემ პ. მურადიანის თვალსაზრისს, ზ. ალექსიძის ნაშრომზე დაყრდნობით ეს იმისათვის კეთდება, რომ მკითხველი დარწმუნებული იყოს, რომ მე ახლა კი არ ვახდენ პ. მურადიანის თვალსაზრისის მოდიფიცირებას ჩემთვის სასარგებლო მიმართულებით (მას შემდეგ, რაც ჩემს წიგნზე ა.ბოგვერაძის "რედაქტორული მუშაობის" მოწმე გახდა, მკითხველს სრული უფლება აქვს ეჭვი ყველას მიმართ ჰქონდეს), არამედ სხვა მკვლევრის ადრე გამოქვეყნებულ აღწერას ვეყრდნობი. ზ. ალექსიძის ნაშრომიდან მოჰყავს ის ადგილები, რომელიც უშუალოდ პ. მურადიანის მიერ მცხეთის ჯვრის ტაძრის ქრონოლოგიის განსაზღვრას შეეხება:

> "1938 წელს მცხეთის ჯვრის ტაძრის გვიანი ხანის კანკელის დაშლისას აღმოჩნდა ჯვრის პოსტამენტი, რომლის სხვადასხვა მხარეზე ამოკვეთილი იყო ქართული და სომხური წარწერები. ქართული წარწერა თავიდანვე ადვილად იქნა წაკითხული და ქტიტორული შინაარსისა აღმოჩნდა. სომხური წარწერისაგან მხოლოდ ფრაგმენტი იყო დარჩენილი. მისი შინაარსის გარკვევა და მცხეთის ჯვრის მშენებლობის ისტორიასთან კავშირში შესწავლა პირველად სცადა პ. მურადიანმა ... იგივე დებულებები გაიმეორა და სცადა კიდევ უფრო განემტკიცებინა ა. ერემიანმა. გარკვეული აქვთ ავტორებს მცხეთის ჯვრის აბსოლუტური ქრონოლოგიაც. მისი მშენებლობა დაიწყო VIIს-ის პირველ ხუთწლეულში და შეწყდა 605/606 წელს, ყოველ შემთხვევაში 607 წელს ჯერ კიდევ კედლები სარკმელების დონემდე არ იყო მიყვანილი ... 605/6-626 წლებში, სპარსელთა ბატონობის ხანაში, ჯვრის მშენებლობა შეწყვეტილი იყო 626/7-642 წლებში ძეგლის მშენებლობა განახლდა და დამთავრდა კიდეც ჯვრის პოსტამენტის სომხური წარწერა და მასთან ერთად ქართული ქტიტორულიც ამოკვეთილია არა უადრეს VIIს-ის 30-იანი წლებისა და არა უგვიანეს ამავე საუკუნის 40-იანი წლებისა. ამრიგად, მცხეთის

ჯვრის მშენებლობა საერთო ჯამში 40 წელს გაგრძელდა.'[56]

ჩემს წიგნში მე საგანგებოდ ჯვრის ეკლესიის დათარიღებაზე არ მიმსჯელია. მაგრამ მისი აგების დროის შესახებ აზრი გამომდინარეობდა გამოკვლევის შედეგებიდან, რომლებიც, სხვათა შორის, სრულ თანხმობაშია 'მოქცევაჲ ქართლისაჲსთან"! სტეფანოზ I ზეობდა VIIს 20-30-იან წლებში, ტაძრის მშენებლობა კი, რომელსაც საფუძველი მამამისმა დაუდო და მისმა შვილმა დააგვირგვინა, არსებითად მის ეპოქაში აშენდა. ე.ი. ტაძრის მშენებლობის დრო განისაზღვრება VIIს ათიანი წლების მიწურულით და ამავე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისით როგორც ვხედავთ, არავითარი მსგავსება არაა ამ ტაძრის ჩემი გამოკვლევიდან გამომდინარე დათარიღებასა და პმურადიანის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიას შორის, რომელიც, ჩემგან განსხვავებით, ჯერ ერთი, ტაძრის მშენებლობის ორ პერიოდზე მიუთითებს, მეორეც, ჩემგან არამსგავსად აფიქსირებს მშენებლობის მთელი პერიოდის ქვედა და ზედა საზღვრებს. რა თქმა უნდა, ამას იგი აკეთებს ამ შემთხვევაში 'უმთავრესი, ე.ი. ადგილობრივი, ნარატიული ისტორიოგრაფიული წყაროს - 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" - სრული იგნორირებით. მაგრამ ასეთ ქმედებაში, სამწუხაროდ, სომეხი კოლეგა მარტო სულაც არაა, მის გვერდით არაერთ ქართველ სპეციალისტსაც ვხედავთ. ასე რომ, პმურადიანისათვის "ჯვრის დამკვირვებლად" მე კი არა, თუ სამართალია, სხვები უნდა ჩაითვალონ.

ისე კი ცნობისათვის, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება შემდეგის აღნიშვნა: ჩემს სამეცნიერო პრაქტიკაში მე ერთხელ მქონია უშუალო შეხება პმურადიანის შემოქმედებასთან. როცა ვმუშაობდი "წმ. ნინოს ცხოვრების" ჰაგიოგრაფიულ ციკლზე, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა მისმა სტატიამ, რომელშიც მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ქართველებმა რამდენჯერმე შეიცვალეს აზრი თავიანთ განმანათლებელზე: თავიდან ასეთად წმ. ნინო მიაჩნდათ, შემდეგ წმ. გრიგოლი, მერე კი ისევ წმ. ნინო. პმურადიანის ამ სტატიაში დამოწმებულ წყაროთა მცდარი ინტერპრეტაციების კრიტიკული ანალიზი

---

[56] ზალესქის ტ. *ატენის სიონის სომხური წარწერები.* თბილისი: მეცნიერება, 1978 გვ. 25-27.

წარმოდგენილია ჩემს რამდენიმე ნაშრომში, კერძოდ, სტატიაში[57], წიგნში[58] და სადოქტორო დისერტაციაში[59]. ეს ყოველ შემთხვევაში და სხვათაშორის, პ.მურადიანის "კვერის დამკვრელად" რომ არ მიმიჩნიონ.

დავუბრუნდეთ ჯვრის ტაძრის ჩემეულ ქრონოლოგიას. ის მართალია, არ ემთხვევა პ.მურადიანის აბსურდულ მოსაზრებებს და, ბუნებრივია, არც ადასტურებს მათ, მაგრამ ამავე დროს იგი არ ემთხვევა და არ ადასტურებს ამ ტაძრის ასევე სრულიად დაუსაბუთებელ ქრონოლოგიას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ტრადიციულადაა მიღებული. ჩემი აზრის ჭეშმარიტების სასარგებლოდ, როგორც ვთქვი, მეტყველებს სხვადასხვა წყაროთა ინფორმაციების სრული ჰარმონია. მცხეთის ჯვრის ეკლესიის მნიშვნელოვნებას ვერაფერს აკლებს მისი ათიოდე წლით გაახალგაზრდავება. არ უნდა დავემგვანოთ ზოგიერთ სომეხ კოლეგას და ქართული ისტორიოგრაფია ფსევდო-პატრიოტული და არამეცნიერული აზრების სარბიელად არ უნდა ვაქციოთ. პ.მურადიანის ტენდენციური, არაკომპეტენტური ძიებანი, ისეთი შედარებანი,

> "რომ მცხეთის ჯვრის ტაძრი უფრო გვიანდელია, ვიდრე ამ ტიპის სომხური ძეგლები."[60]

სომხური ისტორიოგრაფიის და კულტურის პრობლემაა. მოდით ამ განწყობას ნუ გადმოვიტანთ ქართულ სინამდვილეში.

---

57 М.Чхартишвили. *Об интерпретации некоторых сведений источников по истории христианизации Грузии*. Источниковедческие разыскания 1982 (Ред. Ш.Дзидзигури, Р.Кикнадзе). Тбилиси: Мецниереба, 1985, с.78-89.

58 მ.ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. "ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი"*. თბილისი: მეცნიერება, 1987, გვ.47-62.

59 მ.ჩხარტიშვილი. *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი* (IV-VII *სს ისტორიის ამსახველი ძეგლები)*. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: თსუ, 1996, გვ.37-48 (თავი I, §2: *პოლემიკა წმ. ნინოს კულტის გავრცელებასთან დაკავშირებით*).

60 იხ. ა.ბოგვერაძე, VI *ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები*, გვ.75

## 2

### 2.1

ასეთია ჩემი განმარტებები ა.ბოგვერაძის მიერ გაკეთებულ კრიტიკულ კომენტარებთან დაკავშირებით. მკითხველს შეეძლო თავადაც დარწმუნებულიყო, რომ რეცენზენტის "შემოტევისაგან" "თავდაცვად" კონტრარგუმენტები საკმაოზე მეტი მოიპოვება. მიუხედავად ამისა, როგორც შესავალშივე ვთქვი, პასუხს აღარ ვაპირებდი. წინამდებარე პოლემიკური ნარკვევისათვის ბიძგის მიმცემი დიდწილად დავით მუსხელიშვილის მიერ ა.ბოგვერაძის რეცენზიის დამოწმება გახდა. სწორედ მისმა დამოკიდებულებამ მაფიქრებინა, რომ მიუხედავად რეცენზიის დაბალი აკადემიური დონისა, მისი პათოსი მკვლევართა ნაწილის მიერ გაზიარებული შეიძლება აღმოჩნდეს.

ქვემოთ მე მინდა საგანგებოდ შევჩერდე თავად ამ დამოწმების ფაქტზე. როგორც ირკვევა, იგი უმართებულოა: თუმცაღა, VI-VIIსს ქართლის პოლიტიკური ისტორიის ძირითად საკითხებზე დ.მუსხელიშვილის თვალსაზრისი ჩემსას ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი ასევე არსებითად განსხვავდება ა.ბოგვერაძის შეხედულებებისაგანაც. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა, როგორღა უნდა წაადგეს დ.მუსხელიშვილს ჩემი დასკვნების დაძლევისათვის აღნიშნული რეცენზია?!

როგორც ითქვა, ა.ბოგვერაძე მეფობის გაუქმებას უკავშირებს 523 წლის აჯანყებას. მაგრამ ამ შემთხვევაში მას გადაულახავ პრობლემას ის გარემოება უქმნის, რომ ბიზანტიელი ავტორები იოანე მალალა და თეოფანე ჟამთააღმწერელი აღნიშნული თარიღის შემდგომაც მიუთითებენ ქართლში მეფობის ინსტიტუტის არსებობაზე. ეს გარემოება მკვლევარს არ უბიძგებს კრიტიკულად მიუდგეს თავის თვალსაზრისს. ამის მაგიერ იგი ეძებს გზას, რათა როგორღაც უგულვებელყოს ეს წყაროები. ასეთად კი იმის მტკიცება მიაჩნია, რომ ისინი ქართლს კი არ შეეხება, არამედ პირენეის იბერიას და ამდენად მოცემულ შემთხვევაში ისინი არარელევანტურია. ამ მსჯელობას (რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული არაპროფესიონალიზმით) აქვე წარმოვადგენ:

"მაგრამ პროკოპის ცნობას, თავის მხრივ უპირისპირდება ბიზანტიელი ისტორიკოსების იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები. იოანე მალალას თანახმად 527-530 წლებში იბერიაში მეფედ ყოფილა ზამანაზი, ხოლო თეოფანეს ცნობით იუსტინიანე I იმპერატორის მე-8 535 წელს იბერიის ეს მეფე (ზამანარძოსი, ზამანარძონი) მას კონსტანტინოპოლში სწვევია სტუმრად ამ მონაცემების საფუძველზე და ქართული წყაროების გათვალისწინებით ს.ყაუხჩიშვილი მიიჩნევდა, რომ "ქართლში VIს-ის მანძილზე, როდესაც იქ სპარსელები ბატონობდნენ, ადგილობრივი სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა..." რა შეიძლება ითქვას ბიზანტიელი ისტორიკოების აღნიშნული ცნობების შესახებ? ... კიდეც რომ დავუშვათ, რომ პროკოპის ცნობა სიმართლეს მოკლებულია და ქართლში მეფობა გურგენ მეფის შემდეგაც არ შეწყვეტილა ერთხანს მაინც, ქართლის სამეფოს დამოკიდებულება ირანზე ამის შემდეგაც ხომ არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს. ამიტომ ზამანარძოსის ჩასვლა კონსტანტინოპოლში მეუღლითა და დარბაისლებით იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალზე საეჭვოა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს უბრალო პატივისცემის გამომხატველი ვიზიტი არ იყო იბერიის მეფის მხრიდან, რადგან მან "სთხოვა იუსტინიანეს მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად". ხოლო თუ წარმოვიდგენთ ხოსრო I-ის დროინდელ ირანის სიძლიერეს და ქართლის უშუალოდ მის პროვინციად გადაქცევის ფაქტს, რომელსაც შაჰის მოხელე მარზპანი ედგა სათავეში 541 წლიდან მაინც (ან რა საფუძველი გვაქვს, რომ ეს ვითარება ჩვენში არ შეიქმნა ჯერ კიდევ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ?) ძნელი წარმოსადგენია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ სახელის მეფეს ქართული წყაროები არათუ ამ დროისათვის, საერთოდ არ იცნობენ. თვით ეს სახელი უცნობია ქართულ-კავკასიური სამყაროსათვის. არადა იოანე მალალას ცნობით, ზამანაზი მეფე ყოფილა ჯერ კიდევ 530 წლამდე, ხოლო თეოფანეს მიხედვით 535 წელსაც. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია აღნიშნულ წლებში იბერიაში სამეფო ხელისუფლების არსებობის

ფაქტი პროკოპი კესარიელის თვალთახედვიდან გამორჩენოდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ იოანე მალალა ზამანარძოსს ასახელებს დიდ და დამოუკიდებელი ქვეყნების მეფეებს შორის (იუსტინიანე, კავადი, ალარიხი, გილდერიხი), რაც ირანის მორჩილი პატარა იბერიის მეფისათვის აშკარად შეუფერებელია (თუ მისი მოხსენიება მან ასე საჭიროდ მიიჩნია, თვით იმპერატორის ქვეშევრდომი ლაზთა მეფის ხსენებას რა მოსაზრებით აუარა გვერდი?). საყურადღებოა, რომ ეს მეფე იმპერატორისაგან დახმარებას კი არ ითხოვს, რაც ქართლის მეფისაგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, არამედ "მოკავშირეობას და მეგობრობას" (ამდენად ის მტრებისაგან მეტნაკლებად დაცული ყოფილა, რასაც ქართლის მეფეზე ვერ ვიტყოდით). მაგრამ ფაქტი, როგორც იტყვიან, ჯიუტია და მას ვერავითარი მოსაზრებით ვერ უარყოფ და მხოლოდ ახსნას შეიძლება დაემორჩილოს. ამიტომ ყურადღებას მივაქცევთ იმ დროსაც, როცა ზამანარძოსი კონსტანტინოპოლში ჩავიდა. იუსტინიანე მაშინ ვანდალებთან ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ აფრიკაში და შემდეგ გეგმებში ჰქონდა ოსტგოთებისა და ვესტგოტების სახელმწიფოების დაპყრობა. ამ ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის იყო პირენეის იბერების მეფე (მისი სახელის ფორმა, რომელიც ანასტასი ბიბლიოთეკარს დაუცავს ზამანარდუს ამას თითქოს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს), რომელიც ბიზანტიის იმპერიის მიერ დასავლეთში დაწყებული დიდი სამხედრო კამპანიის დროს მისი მოკავშირეობითა და მეგობრობით დაინტერესებული ყოფილა. როცა გურგენ მეფის აჯანყების ეპიზოდის თხრობას იწყებს პროკოპი, აღნიშნავს, რომ საქმე ეხება იმ იბერებს, რომელნიც "აზიაში ცხოვრობენ". ერთი სიტყვით, მალალასა და თეოფანეს ცნობებს მე სხვა ახსნას ვერ ვუძებნი და ამიტომ პროკოპისას ვაძლევ უპირატესობას."[61]

61 ა.ბოგვერაძე. VI *ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები,* გვ.71-72.

დ.მუსხელიშვილიც კარგად ხედავს ამ მსჯელობის სისუსტეს და მისი მისამართით შემდეგ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს:

> "თუმცა სულ უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს სამანაზი თუ ჭმანარიჭ შესაძლებელია პირენეის იბერიის მეფე იყოს (იხ. ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა). ჟურნალი: "ანალები", №2, თბ., 2001, გვ.71-72), მაგრამ ვიდრე ამას ვირწმუნებდეთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, არსებობდა თუ არა ამ დროს "იბერიის სამეფო" პირენეის ნახევარკუნძულზე? სინამდვილეში ამ პერიოდში ვიზიგოთების და სხვა (მაგრამ არა იბერიის) სახელმწიფოებია ცნობილი დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე."[62]

სხვადასხვაგვარია ამ ორი მკვლევრის მიერ VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ისეთი კარდინალური პრობლემების გადაწყვეტაც როგორიცაა ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენის დროის განსაზღვრა და ქართლის პირველი ერისმთავრის იდენტიფიკაცია. ა.ბოგვერაძის აზრით ქართლში ასეთი ხელისუფლების აღდგა 571 წლის აჯანყების შედეგად, დ.მუსხელიშვილი კი ფიქრობს, რომ ეს მოხდა 550-555 წლებს შორის ინტერვალში. ა.ბოგვერაძის მიხედვით, 571 წლის აჯანყების მეთაური გურგენი და ქართულ წყაროებში ნახსენები ქართლის პირველი ერისმთავარი გუარამი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაშინ როდესაც დ.მუსხელიშვილის აზრით, ეს იდენტიფიკაცია არ არის მართებული:

> "არავითარი რეალური, არც ფორმალური და არც ქრონოლოგიური საფუძველი არ არსებობს გუარამის და გურგენის გასაიგივებლად მიუხედავად ამისა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, აკად. გ.ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდის საფუძველზე (იხ.

---

[62] დ.მუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*, გვ.254, შენ.12.

ჩუბინაშვილი გ., მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, ტუმ, ტ. II, თბ., 1922-1923 გვ.63 შენ.1; Чубинашвили Г.Н., დასახ. ნაშრომი, გვ.25 შენ.1) ეს იდენტიფიკაცია მიღებულია. ითვლება, რომ "რეალური პიროვნება არის გურგენი და არა გუარამი" (დუნდუა გ., დასახ. ნაშრომი, "მაცნე", №1, გვ.108), "რომლის სახელი რაღაც მიზეზით დამახინჯებული აქვთ ჯუანშერსა და სუმბატს (და, ალბათ, 'მოქცევაის'' ავტორსაც? დ.მ.). იგივე გურგენი უნდა იყოს მიჩნეული მცხეთის ჯვარის აღმაშენებლად" (ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 44). ა.ბოგვერაძე თვლის კიდეც, რომ ეს საკითხი საბოლოოდ არის გადაჭრილი (იხ. Очерки истории Грузии, т.2, Тб., 1988, с.163)."[63]

ორივე ეს საკითხი არსებითია საანალიზო პერიოდის პოლიტიკური ისტორიის გააზრებისათვის. მათთან დაკავშირებით პოზიციათა სხვაობა ნიშნავს, რომ დ.მუსხელიშვილისა და ა.ბოგვერაძის შეხედულებები პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, როცა საქმე ჩემს თვალსაზრისზე მიდგა, დ.მუსხელიშვილმა შესაძლებლად ჩათვალა მისივე დასკვნების საწინააღმდეგო მსჯელობის შემცველი (და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მის მიერვე მწვავედ გაკრიტიკებული) რეცენზიის დამოწმება, რათა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩემი კონცეფციის დაძლევის პრობლემა მის წინაშე აღარ იდგა.

მივმართოთ კვლავ პროკოფი კესარიელის ზემოთ არაერთხელ ნახსენებ ცნობას. უკვე ითქვა, რომ მე მას არ განვმარტავ როგორც მეფობის გაუქმების დამადასტურებელ ინფორმაციას, ამიტომ იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები იმის შესახებ, რომ ქართლში მეფობა არის 523 წლის აჯანყების შემდგომაც, ჩემს თვალსაზრისს პრობლემას არ უქმნის. პირიქით, ისინი ჩემი ინტერპრეტაციის სისწორეს ადასტურებენ. ა.ბოგვერაძე კი მიიჩნევდა, რომ პროკოფი კესარიელის ცნობა მეფობის გაუქმებას ნიშნავს. ამიტომაც იყო მისთვის იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები დაბრკოლება და

[63] დ.მუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*. გვ.264, შენ.133

ვნახეთ კიდეც თუ როგორ ცდილობდა მათ არარეპრეზენტატულობის დამტკიცებას მკვლევარი. აღნიშნული მიმართულებით ა.ბოგვერაძის მსჯელობანი არანაირად არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნან, როგორც მეცნიერული, მაგრამ მათში გარკვეული ლოგიკა მაინც არის. საქმე ისაა, რომ ვინც პროკოფი კესარიელის ცნობას გაიაზრებს როგორც მეფობის გაუქმების დამადასტურებელ ინფორმაციას, მის წინაშე იმის პრობლემა დგება, რომ იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერლის მონაცემებს რაიმე ახსნა მოუნახოს. დ.მუსხელიშვილთან კი ამ აუცილებლობისათვის ანგარიშგაწევას ვერ ვხედავთ ა.ბოგვერაძისაგან განსხვავებით, იგი ამ ბიზანტიელი ავტორების ინფორმაციას სრულ ნდობას უცხადებს:

> "...იოანე მალალას (VIს) და თეოფანე ჟამთააღმწერლის (IXს-ის დასაწყ.) ცნობათა შეთანადარებით ცხადი ხდება, რომ 527-535 წლებში იბერიაში მეფობს ზამანაზი თუ ძამანარძ. ბიზანტიურ წყაროთა ჩვენებაში ეჭვის შეტანა თითქოს უსაფუძვლოა და ეს ფაქტი დადგენილად უნდა ჩაითვალოს."[64]

ამავე დროს დმუსხელიშვილი პროკოფი კესარიელის ცნობასაც მეფობის გაუქმების დადასტურებად მიიჩნევს. მაგრამ ამ ორივე ფაქტის ერთდროულად გაზიარებას წინ ის გარემოება ეღობება, რომელსაც ხედავდა აბსოლუტურად ყველა მკვლევარი, ვინც კი ოდესმე ამ საკითხებს შეხებია: ვითარება, რომელზეც საუბრობს პროკოფი კესარიელი (ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა ვინ როგორ განმარტავს მას) დაკავშირებულია 523 წლის აჯანყების ფაქტთან. ე.ი. არ შეიძლება მას იგებდე როგორც მეფობის გაუქმებას და ამავე დროს მეფობის გაუქმებას აცილებდე 523 წლის აჯანყებას: დმუსხელიშვილი ამჩნევს რა ამ დაბრკოლებას, უბრალოდ თავიდან იცილებს წყაროთა არასასურველ მონაცემს: მის მიერ წყაროს დამოწმებისას ინფორმაცია იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს 523 წლის აჯანყებასა და პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ვითარებას შორის, "ქრება".

---

64 დმუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*. გვ.214.

"ბიზანტიელი ისტორიკოსი თავისი "ომების ისტორიას" სწორედ 50-იანი წლების დასაწყისში წერდა და, ცხადია, თავის თანადროულ სიტუაციას გულისხმობდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ "არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვით და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება"."[65]

როგორც ვხედავთ, პროკოფი კესარიელის მიერ დაფიქსირებულ ისტორიულ სიტუაციას ჩამოცილებული აქვს ქრონოლოგიური განზომილება ანუ 523 წლის აჯანყებასთან კავშირი და უშუალოდაა "მიბმული" თავად დ.მუსხელიშვილის ვარაუდს მეფობის გაუქმების თარიღზე. თუ რამდენად თავისუფალია ამ შემთხვევაში დ.მუსხელიშვილის დამოკიდებულება წყაროსადმი, კარგად ჩანს შემდეგითაც: პროკოფი კესარიელის თხზულების ეს ადგილი არაერთხელ ყოფილა დამოწმებული ქართველი ისტორიკოსების მიერ და არავის აზრად არ მოსვლია აღნიშნული ქრონოლოგიური მონაცემისა და მოვლენათა შორის კაუზალური დამოკიდებულების იგნორირება. ამას ასაბუთებს ის ფაქტიც, რომ მოყვანილ ციტატში ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვების ადგილას, სხვა მკვლევრებთან ჩვეულებრივ ვხვდებით 523 წლის აჯანყების ხსენებას. შდრ., მაგალითად, ი.ჯავახიშვილის ნაშრომიდან ზემოთ უკვე ციტირებული ადგილი:

"მას შემდეგ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, და ბიზანტიის მფარველობას მიმართეს, მაგრამ კეისრის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულნი იქნენ, ხოლო სამეფო სახლობა და აზნაურების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდეგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი

65 დ.მუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*, გვ.234-235 (ხაზი ჩემია – მ.ნ.).

მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს."

ანდა შდრ. ა.ბოგვერაძის მსჯელობა:

> "ხალხის ეს სულისკვეთება კარგად შეუნიშნავს ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპის: 'იმ დროიდან (ე.ი. რაც გურგენ მეფის აჯანყება დამარცხდა 523წ.) არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერიელები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით ... ცხადია, რომ იბერებს ძალიან უძნელდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი ოდესმე შესაფერ დროს იხელთებდნენ".'[66]

წყაროსადმი მკვლევრის თავისუფალ დამოკიდებულებას ვაწყდებით მაშინაც, როცა დ.მუსხელიშვილი მსჯელობს მეფის ხელისუფლების აღდგენის პერიოდთან დაკავშირებით

> "...შემორჩენილია, VIს-ის სირიელი ავტორის ე.წ. ფსევდო-ზაქარია მიტილენელის ქრონიკალური ცნობა, ზუსტად დათარიღებული 555 წლით, რომელშიც მოხსენება "ქვეყანა გურზანი (ანუ ქართლი, დმ.) არმენიაში ბერძნულის მსგავსი ენით. მათ ჰყავთ ქრისტიანი მთავარი, რომელიც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომია". ის, რომ ქართლი "არმენიაში" შემავალ ქვეყნად იგულისხმება, სასანიდების დანაწილების შედეგი უნდა იყოს. მთავარი ამ ცნობაში არის ის, რომ გურზანს (ქართლს) 555 წლისათვის სპარსეთის შაჰის დამორჩილებული საკუთარი მმართველი ჰყავს, რომელიც წყაროში "მთავრად" თუ "მეფუკად" (სირიული malkona) იწოდება. როგორც ირკვევა VIს-ის შუა ხანებისათვის ქართლში აღდგენილია საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა (თუმცა. ცხადია, დამოკიდებული კვლავ ირანისაგან)..."[67]

---

[66] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტომი II. გვ.268

[67] დ.მუსხელიშვილი. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, გვ.233-234.

და კიდევ:

> "პროკოპი კესარიელმა "ომების ისტორიის" წერა ფაქტიურად დაასრულა 550 წელს (ბოლო, VIII წიგნი დაიწერა 554 წ.) და ამ დროს, როგორც მისივე ზემოთხსენებული სიტყვებიდან ჩანს, ქართლში უმეფობის ხანაა. მაშასადამე, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა 550-555 წლებში უნდა მომხდარიყო"[68]

სირიული წყაროს ცნობა სრულიადაც ვერ ეხმარება დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისს, რომელსაც, მართალია, სწორად მიუთითა, რომ 535 წელს ქართლში მეფობა კვლავ არის, მაგრამ რომელსაც არაფრით დაუსაბუთებია თავისი შეხედულება 535-541 წლებში მისი გაუქმების შესახებ. მეფობის არსებობის მისეული ზედა ზღვარი – 541 წელი, დამყარებულია "წმ. ევსტათი მცხეთელის ცხოვრების" ქრონოლოგიის ტრადიციულ ანუ არამართებულ გააზრებაზე. სირიელი ავტორის ცნობა იმის დასტური კი არ არის, რომ მეფობა აღდგა, არამედ იმის, რომ ქართლში მეფობის ინსტიტუტი შეწყვეტილი არ ყოფილა 555 წლისთვისაც

იგივე დამოკიდებულება შეინიშნება შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიციის მონაცემების ინტერპრეტაციის დროსაც, იმის გამო, რომ ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენას დ. მუსხელიშვილი 550-555 წლებში მიუთითებს, მისი თვალსაზრისი წინააღმდეგობაში მოდის შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიული წყაროების ცნობებთან. ისინი, როგორც ცნობილია, ასახელებენ ქართლის პირველ ერისმთავარ გუარამს, ოღონდაც ერთი მკაფიო ატრიბუტით: ეს გუარამი კურაპალატია. მაგრამ VI საუკუნის შუა ხანებში, როცა კავკასიაში ირანი დომინირებს, ქართლის უზენაესი ხელისუფალი შეუძლებელია იყოს კურაპალატი: ეს ტიტული ხომ გუარამს წარმოაჩენს, როგორც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ მმართველს. მკვლევარი თავად აფიქსირებს ამ ფაქტს. აღნიშნული წარმოდგენის შებრკოლების ლოდს, რომლის გამო მას უნდა უარეყო აზრი პირველი ერისმთავრის 550-555 წლებში ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ. ამის მაგიერ

68 დ. მუსხელიშვილი. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, გვ.235

დ.მუსხელიშვილი თავად ფაქტის იგნორირების მართებულობის დასაბუთებას ცდილობს. მისი მოსაზრებით, წარმოქმნილი წინააღმდეგობის მიზეზი არა მისი მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიის მცდარობა, არამედ ძველი ქართული წყაროების ხარვეზი, რომელნიც გუარამ კურაპალატს კონკრეტულ ისტორიულ ფიგურად კი არა, კრებით სახედ წარმოადგენენ. ანუ თითქოსდა ერთ სახეში შერწყმულია ცნობები პირველი ერისმთავრის გუარამ დიდისა და გუარამ II კურაპალატის – ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების აღდგენის შემდგომ მესამე მმართველის – შესახებ:

> „...მოქცევაიში" შემორჩენილი ცნობის კონტექსტი გუარამის შესახებ ისეთია, რომ ეჭვს აღძრავს აქაც ხომ არ არის ორი სხვადასხვა გუარამი ერთ პიროვნებად წარმოდგენილი. მართლაც წყარო, როგორც ვიცით, გადმოგვცემს: „ჩელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა" ან მეორე რედაქციით „და ერისთავი განაჩინეს გუარამ დიდი. და ესე იყო პირველი ერისთავი და მერმე კურაპალატადცა იყო". ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, რომ ძელი წარმოსადგენია ქართველთა ეროვნულ მახსოვრობას სწორედ არ შემოენახა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმდგენელის სახელი. ამდენად, უნდა ვირწმუნოთ, რომ პირველი ქართველი ერისმთავრის სახელი გუარამი იყო ეს გუარამი არ შეიძლება იყოს „ქართლის ცხოვრების" გუარამი, რომელიც უეჭველად აგრეთვე რეალური პიროვნება იყო და VIს-ის 80/90-იანი წლების მიჯნაზე მოღვაწეობდა ასევე რეალური პიროვნების, გურგენ ერისმთავრის (571-586 წწ.) შემდეგ. გუარამ დიდი არ შეიძლება კურაპალატი ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, ქართლის პირველი ერისმთავარი ირანის მორჩილია (ყასყვედ-ზაქარია). შემდეგ, არც VIს-ის 50-იან წლებში, როდესაც ეგრისში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი მიმდინარეობდა, ქართლი ირანს ექვემდებარებოდა, და იქ ირანის ლაშქარი იდგა, და არც 562 წლის ზავის შემდეგ, როდესაც status quo აღდგა და ამდენად ქართლი კვლავ ირანის გავლენის სფეროში დარჩა, ვიდრე 571 წლის გურგენის აჯანყებამდე, ქართლის ერისმთავარს არ შეიძლება კურაპალატობა მიეღო არც გურგენია

კურაპალატი, თორემ ამას იოანე ეფესელი, რომელიც გურგენის კონსტანტინოპოლში პატივით ცხოვრებაზე საგანგებოდ საუბრობს, უთუოდ აღნიშნავდა: იოანე ეფესელი გურგენს 'მეფეს'' უწოდებს. "ქართლის ცხოვრების" გუარამი კი იმთავითვე "კურაპალატად" ჯდება ქართლში (ესეც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ გურგენი და გუარამი სხვადასხვა პიროვნებებია. ამდენად 'მოქცევაჲ'-ს ავტორის გამოთქმა, რომ გუარამ დიდი "პირველი ერისთავი, მერმე კურაპალატადცა იყო" გვგონია იმის დასტურად გამოდგება, რომ ამ მემატიანესაც ორი სხვადასხვა გუარამი ერთ პიროვნებად ჰყავს შეცდომით წარმოდგენილი.'[69]

რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენს ისტორიული პერსონაჟების კრებით სახეს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა უეჭველია ისტორიოგრაფიული ტრადიციის ფოლკლორული წყაროდან მომდინარეობა, რადგან ასეთი ინდიფერენტულობა ისტორიული სიზუსტისადმი სწორედ ფოლკლორისათვის არის დამახასიათებელი. რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა სრულიად სხვა ტიპის წყარო – ისტორიული ქრონიკა, რომელსაც სწორედ ისტორიული ფაქტების ფიქსაციის სიზუსტე გამოარჩევს, გაურკვეველია რატომ უნდა შევიტანოთ ეჭვი 'მოქცევაჲ ქართლისაჲს'' სრულიად ცალსახა ცნობაში გუარამის შესახებ.

22

1997 წელს გამოქვეყნდა მანანა სანაძის სტატია *ქართლის სამეფო VI საუკუნეში* (*პოლიტიკური ისტორიის საკითხები*) (იხ. საქართველოს მეცნ. აკად. მაცნე, ისტ., ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, №14, 1997, გვ.80-91). მკვლევარი რამდენიმე საკითხს სწავლობს, მაგრამ ამჯერად ზემოთ უკვე განხილულ პრობლემატიკას ძლიან რომ არ დავშორდე, ნაშრომის მხოლოდ იმ მონაკვეთს შევეხები, რომელიც "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის", როგორც საისტორიო წყაროს, ინტერპრეტაციას ეძღვნება.

---

[69] ლ.მუსხელიშვილი. *საქართველო* IV-VIII *საუკუნეებში*, გვ.244-245

მ.სანაძის აზრით, აღნიშნულ ტექსტში მოხსენიებული „ზუარიო მეფე" ხოსრო I ანუშირვანია: ევსტათი მის დროს მოდის ქართლში. როგორც ვხედავთ, სიუჟეტის დროის ათვლის წერტილის განსაზღვრის საკითხში მ.სანაძის პოზიცია ტრადიციულ შეხედულებას ემთხვევა. მაგრამ მკვლევარი არ იზიარებს, რომ ქართლში მეფობის გაუქმება 23 წლის გურგენის აჯანყებას მოჰყვა. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ბიზანტიელი ისტორიკოსების მონაცემებს ქართლში მეფობის არსებობის შესახებ VIს I ნახევარში, აგრეთვე „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების" მეტაფრასულ რედაქციაში დაცულ ცნობას ასურელ მამათა მოღვაწეობის ეპოქაში, ე.ი. VIს შუა ხანებში, ქართლის მეფე ფარსმანის ზეობის შესახებ. ის აზრი, რომ VI საუკუნის I ნახევარში ქართლში მეფობა არ გაუქმებულა და, რომ ამაზე ბიზანტიური და ქართული წყაროები მიუთითებენ, ამა თუ იმ ფორმით მ.სანაძემდეც არაერთი მეცნიერის, მათ შორის, ჩემ მიერაც[70] იყო დაფიქსირებული. მაგრამ ერთი სავსებით ახალი მომენტიც შეინიშნება მ.სანაძის თვალსაზრისში: მას მიაჩნია, რომ ევსტათის ქართლში მოსვლის დროისათვის (ეს კი, როგორც აღვნიშნე, მისი აზრით, ხოსრო I ზეობის ეპოქაა) ქართლში მეფობა ჯერ კიდევ არის და „მარტვილობის" ტექსტში ქართლის მეფის მოუხსენებლობა სულაც არ მიუთითებს ტახტზე მის არყოფნას. მეორეს მხრივ, მ.სანაძე ტრადიციული თვალსაზრისის მომხრეთა კვალდაკვალ მიიჩნევს, რომ ევსტათი ქართლში მოსვლისას ქრისტიანი იყო

მ.სანაძის კონცეფციაში ტრადიციულ-არატრადიციულ თვალსაზრისთა ეს თანაარსებობა მიიღწევა „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მონაცემთა ახლებური, მაგრამ აშკარად მცდარი. ინტერპრეტაციის საფუძველზე, კერძოდ, იმის მტკიცებით, რომ წმ. ევსტათის ქართლში მოსვლის დროს მეფობა კვლავ იყო როგორც ცნობილია, აქამდე აზრთა სხვაობა არ ყოფილა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ტექსტი ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების არარსებობის ეპოქას აღწერდა; მკვლევრებს ეს უეჭველად მიაჩნდათ და ვერ თანხმდებოდნენ მხოლოდ იმაში, ირანის რომელი შაჰის (ხოსრო I თუ ხოსრო II) დროისათვის მიეკუთვნებინათ ეს ვითარება.

---

70 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*. გვ. 9.

კოლეგის თვალსაზრისის ჩემეული პერიფრაზირებისას მკითხველი უნებლიედ შეცდომაში რომ არ შევიყვანო, ვრცლად მოვიყვან შესაბამის ციტატს მ.სანაძის დასახელებული ნაშრომიდან:

"ამდენად, ვ.გოილაძე ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად 537 წ. თვლის, ამოსავალი ვ.გოილაძისათვის ისევე როგორც სხვა მკვლევართათვის, არის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ევსტათე მცხეთელის მარტვილობა", რომელიც აღებულია ქართლში მეფობის გაუქმების ზედა ზღვრად. ფორმულირება შემდეგია: როგორც ეს "ევსტათე მცხეთელის მარტვილობიდან" აშკარაა, ქართლში მეფობის გაუქმება არ შეიძლება მომხდარიყო 540/541 წლებზე უფრო გვიან. ახლა სპეციალურად შევეხებით "ევსტათე მცხეთელის მარტვილობას" და შევეცდებით მისი მონაცემების საფუძველზე ზემოაღნიშნული დებულების უარყოფას. "მარტვილობაში" აღნიშნულია, რომ: "წელსა მეათესა ხვასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზპანობასა ქართლისასას მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით". როგორც ვხედავთ, მთავარ ქრონოლოგიურ საყრდენად ტექსტში დასახელებულია ირანის შაჰის ხოსროს მმართველობის მეათე წელი. ვინაიდან ჩვენს ისტორიოგრაფიაში ზემოდასახელებული ხოსრო გაიგივებულია ირანის შაჰ კავადის ძე ხოსრო ანუშირვანთან (531-579 წწ), ამდენად ევსტათეს ქართლში მოსვლის თარიღად მიჩნეულია 541/542 წწ. (ამ ბოლო ხანებში აღნიშნულ საკითხს სპეციალურად შეეხო მ.ჩხარტიშვილი. მისი თვალსაზრისით ევსტათეს მცხეთაში მოსვლის თარიღად 601 წელია მისაჩნევი. საკუთრივ ევსტათეს წამებას კი ის 615-617 წლებზე დებს. მძლავრი არგუმენტი ამ გადათარიღებისათვის არის ერთ-ერთი სომხური ჰაგიოგრაფიული თხზულების ცნობა რომ არვანდ გუშნასპ ქართლის მარზპანი იყო ხოსრო ფარვიზის მეფობაში, იმ დროს, როდესაც სირიული წყაროების მონაცემებით ხოსრო ანუშირვანის დროს ქართლის მარზპნებად დასახელებულნი არიან ფირანი და მიჰრი, მაგრამ არა არვანდი), რაც შეეხება მეორე ქრონოლოგიურ საყრდენად ქართლის მარზპანის არვანდ გუშნასპის მოხსენებას, ამ ინფორმაციაში,

ჩვენის აზრით, მაინცდამაინც უჩვეულო არაფერია, როგორც ცნობილია, გუშნასპები მემკვიდრეობით ფლობდნენ მარზპანის სახელოს და 530-იან წლებში ირანში გატარებული სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად განაგებდნენ ჩრდილოეთის ქუსტაკს (რეზიდენცია ბარდავში) და მათ, როგორც მარზპანების დაქვემდებარებაში იყო ქართლი. მთავარი ამ შემთხვევაში სხვა საკითხია: გაუქმებულია თუ არა ამ დროს ქართლში მეფობა და სადაა გუშნასპის რეზიდენცია – თბილისში, თუ ბარდავში. რაც შეეხება თხზულების დასაწყისშივე ამგვარივე ქრონოლოგიურ საყრდენად ქართლის მეფის მოუხსენებლობის ფაქტს, ჩვენ ვიცით ანალოგიური შემთხვევა "შუშანიკის წამებაში" ქართლის მეფის მოუხსენებლობის, მაგრამ ამით ვახტანგ გორგასლის მეფობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევსტათის წამების მომენტისთვის ქართლში მეფობა უკვე გაუქმებულია, ასე რომ ქრონოლოგიურ საყრდენად მოხსენიება მეფისა, რომელიც, მართალია, ევსტათის ქართლში მოსვლის დროს მმართველობდა, მაგრამ მისი წამების მომენტისათვის გარდაცვლილია და საერთოდ, თვით მეფობის ინსტიტუტიც კი გაუქმებულია, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ირანის შაჰ ხოსრო და ქართლის მარზპანი გუშნასპი კი, პირიქით, მყარ ქრონოლოგიურ საყრდენს ქმნიდნენ. გავყვეთ მოვლენათა მსვლელობას. ევსტათი ქართლში განძაკიდან მოდის ხოსრო ანუშირვანის მმართველობის მეათე წელს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ის ჯერ კიდევ განძაკში იყო გაქრისტიანებული. შესაბამისად ის განძაკიდან მოდის ქართლში თავშესაფრის საძებნელად, ხოსრო ანუშირვანის მიერ ბიზანტიასთან ომის დაწყების წინ ირანში გამწვავებული ანტიქრისტიანული კამპანიის გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლში ამ დროს მეფობა გაუქმებული იყო, თბილისში მარზპანი იჯდა და ქართლი ირანულ პროვინციად იყო ქცეული, ევსტათის მხრივ ირანული ხელისუფლებისაგან თავდაცვის მიზნით ქართლში მოსვლა უცნაურად შეიძლება ჩაითვალოს. სულ სხვანაირად იქნება საქმე, თუ მივიჩნევთ, რომ ევსტათის ქართლში მოსვლის ჟამს ქართლში ჯერ

მეფობა გაუქმებული არ იყო და, შესაბამისად ქრისტიანი ირანელისათვის ის უსაფრთხო ქვეყნად ითვლებოდა. "მარტვილობის" ცნობით ევსტათე მცხეთაში რომ მოსულა, მას მეხამლეობა შეუსწავლია, შემდეგ კი ცოლი მოუყვანია, ერთი სიტყვით დასახლებულა. სრულიად უცხო ქვეყანაში მოსულ კაცს ხელობის დაუფლებაზე, ენის შესწავლაზე და იმ მინიმალური ქონების დაგროვებაზე, რომ პატარა სახლი შეეძინა, რათა ოჯახს მოჰკიდებოდა, სულ მცირე 2-3 წელი მაინც დასჭირდებოდა. გარდა ამისა, თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მარზპან ბუზმირს მისთვის ურჩევია: "შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისათა შენისათა ქრისტიანებისათვის და ნუ ქურივ ჰყოფ ცოლსა შენსა და ობოლ შვილთა შენთა". აქედან ვგებულობთ რომ ევსტათეს მისი შეპყრობის დროისათვის არა მარტო ცოლი, არამედ შვილებიც ჰყოლია, თანაც არა მხოლოდ ერთი. შესაბამისად მას ქართლში საკმაოდ ხანგრძლივად უცხოვრია (სულ ცოტა ათ-თხუთმეტი წელი). მაშ რატომ არ შეიპყრეს მანამდე? თხზულებაში მისი შეპყრობის საბაბად დასახელებულია ირანული წარმოშობის მცხეთელ მეჯადუგეთა და მეხამლეთა ტონიკობა, რაზეც ის, როგორც ირანელი, მოუწვევიათ. მას კი ქრისტიანობა მოუმიზეზებია და მაზდეანურ დღესასწაულზე არ მისულა. ევსტათეს დაახლოებით ათ-თხუთმეტწლიანი (თუ მეტი არა) მცხეთაში ცხოვრების პერიოდში განა ეს მცხეთელ მაზდეანთა პირველი ტონიკობა იქნებოდა, რომელსაც ევსტათე არ დაესწრო? მას ხომ ცოლიც ქრისტიანი ჰყავდა მოყვანილი და, ე.ი. ჯვრისწერაც საჯაროდ ეკლესიაში ჰქონდა ჩატარებული. რატომ იმთავითვე არ დაასმინეს ევსტათე ციხისთავისა და მარზპანის წინაშე? განა რა მოხდა ქართლში ისეთი ევსტათეს მოსვლიდან დაახლოებით თხუთმეტი წლის შემდეგ, რომ ამან მისი ცხოვრება ძირეულად შეცვალა? ჩვენის აზრით, პასუხი ამაზე ერთია: 541/542 წლისთვის ირანელი ქრისტიანი ევსტათე ირანში ქრისტიანთა დევნის დაწყებისთანავე მისთვის უშიშარ ქვეყანაში – ქართლის სამეფოში მოვიდა. ამ დროს ქართლში მეფის ხელისუფლება არ იყო ჯერ ირანის მიერ გაუქმებული.

შესაბამისად ქართლი თავის ავტონომიურ გამგებლობას ინარჩუნებდა, განსაკუთრებით რელიგიის საკითხში. ამდენად ირანიდან გამოხვეწილი დევნილი ქრისტიანები აქ ქართლის მეფის ხელისუფლების ქვეშ დაცულად გრძნობდნენ თავს."[71]

მივყვეთ ციტირებულ ტექსტს. უპირველეს ყოვლისა, გაოცებას იწვევს ჩემი თვალსაზრისის გაკვრით, ფრჩხილებში მოყვანის ფაქტი. როგორც დავინახეთ, მკვლევარს გადაუწყვეტია სპეციალურად შეეხოს ‘წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობას” და საუბარს იწყებს თხზულების სიუჟეტის ქრონოლოგიური ათვლის წერტილით. მკითხველმა უკვე იცის, რომ მე ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობით ანალიზს მონოგრაფია მივუძღვენი, რომელშიც არსებითი ადგილი სწორედ თხზულების დასაწყისში ნახსენები ‘ზუასრო მეფის” იდენტიფიკაციას უჭირავს. ამგვარი მიზნისა და შედეგების გამოკვლევა როგორ უნდა ყოფილიყო გაკვრით შენიშნული მ.სანაძის წერილში, გაუგებარია. საინტერესოა, რომ სქოლიოში მითითებულია ჩემი ნაშრომის ერთადერთი გვერდი, თითქოს ამ საკითხს ამ ერთ გვერდზე ვეხებოდე მხოლოდ. თუ ჩემს თვალსაზრისს არ გაიზიარებდა, სპეციალურად ხომ უნდა განეხილა და კრიტიკულად დაეძლია.

ამ შემთხვევაშიც მწვავედ დგება ქართულ სინამდვილეში სამეცნიერო ექსპერტიზის ფაქტობრივად არარსებობის პრობლემა: ჟურნალ ‘მაცნეს” (ისევე როგორც ჟურნალ “ანალებს”) გამოსაქვეყნებელი მასალის რეფერირების საკითხი რომ მოგვარებული ჰქონოდა, ამგვარ ლაფსუსს ადგილი არ ექნებოდა. რეცენზენტები ავტორს ჩემამდე დაუსვამდნენ კითხვას, როგორ დაძლია მან ის არგუმენტები, რომლებიც ტრადიციული თვალსაზრისის უარსაყოფად არის გამოყენებული უახლეს სპეციალურ გამოკვლევაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მკვლევარმა ჩემი თვალსაზრისის შესახებ მხოლოდ უშუალოდ სტატიის გამოქვეყნების წინ შეიტყო, მაგრამ მისი გათვალისწინებით საკუთარი ნაშრომის გადამუშავება დაიზარა.

---

[71] მ.სანაძე. *ქართლის სამეფო VI საუკუნეში (პოლიტიკური ისტორიის საკითხები)*. საქართველოს მეცნ. აკად. მაცნე. ისტ., ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, №1-4, 1997, გვ. 84-86.

"ამ ბოლო ხანებში ალნიშნულ საკითხს სპეციალურად შეეხო მ.ჩხარტიშვილი. მისი თვალსაზრისით ევსტათის მცხეთაში მოსვლის თარიღად 601 წელია მისაჩნევი. საკუთრივ ევსტათის წამებას კი ის 615-617 წლებზე დებს" – მიუთითებს, როგორც ვნახეთ, მკვლევარი. ჩემი აზრის ეს პერიფრაზი არა მარტო უკიდურესად მოკლე, არამედ ფაქტების თვალსაზრისით არაზუსტიცაა. შდრ. ამონარიდები ჩემი წიგნიდან:

► '600 წელს ევსტათი მოდის მცხეთაში, დაახლოებით ათიანი წლების შუა ხანებში მას აწამებენ.'[72] ◄

აგრეთვე, შდრ. რუსული რეზიუმე:

► «Таким образом, Евстафий прибыл в Мцхета примерно в 600г. С учетом этого и на основании ряда других данных, его кончина датируется 10-ыми годами VIIв.»[73] ◄

გაუგებარია, სად ნახა მკვლევარმა ჩემ მიერ წმ. ევსტათის მარტვილობის ფაქტის დათარიღება წლის სიზუსტით. წმ. ევსტათის წამების ფაქტს მე VII ს ათიან წლებში ვვარაუდობ, მაგრამ კონკრეტული წლის დასახელებისაგან თავს შეგნებულად ვიკავებ. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს მონაცემი პირდაპირ ინფორმაციის სახით არაა დაფიქსირებული წყაროებში და ამიტომ უმჯობესია, რომ ზედმეტ დეტალურობას მოვერიდოთ. მოვლენის ზუსტად დათარიღებისაკენ სწრაფვა (ზუსტი წლები, თვეები, დღეები) ზოგჯერ უფრო არაზუსტ სურათს წარმოადგენს, ვიდრე პერიოდის მიახლოებით განსაზღვრა. შუა საუკუნეების ისტორიაში მომუშავე სპეციალისტისათვის, რომლის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია საკმაოდ შეზღუდულია, მოვლენის ქრონოლოგიის დადგენა ათწლეულის სიზუსტით უკვე საკმაოდ კარგი შედეგია და კოლეგის მხრიდან აქ ჩემთვის "დახმარება" ნამდვილად არ იყო საჭირო. მას ჩემი თვალსაზრისი უცვლელად უნდა გადმოეცა.

სავსებით მართალია მკვლევარი, როცა მიუთითებს, რომ არ შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ ვახტანგ გორგასლის მეფობა

---

72 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.37.

73 იქვე, გვ.142

იმის გამო, რომ იგი არ მოიხსენიება "წმ. შუშანიკის მარტვილობაში". მაგრამ არაა მართალი, როცა ამ ანალოგიით "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" აღწერილ ეპოქაშიც ქართლში მეფის არსებობის ხანას ხედავს. ორივე ძეგლი, როგორც ვიცით, სპარსეთის მეფის მოხსენიებით იწყება. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეს სიუჟეტის ქრონოლოგიის ათვლისათვის საწყისი წერტილის ფუნქციას ასრულებს და თავისთავად არაფერს ნიშნავს ქართლში მეფის ხელისუფლების არსებობის ან მტკიცების ან უარყოფისათვის. "წმ. შუშანიკის წამებაში" მოქმედება იშლება საპიტიახშოში. მეფის ყოფნა რეგიონში სრულიადაც არაა აუცილებელი ანუ სიუჟეტი არ მოითხოვს მეფის ხსენებას. სულ სხვა ვითარებაა "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" შემთხვევაში. თხზულების პირველსავე წინადადებაში აღნიშნულია, რომ ქართლისათვის ესაა მარზპანობის ხანა: "არვანდ გუშნასპსა მარზაპნობასა ქართლისასა"[74]. მოქმედების ადგილია ქართლის სამეფოს გული – საეკლესიო ცენტრი მცხეთა და დედაქალაქი თბილისი. მარზპანი უზენაესი ხელისუფალია. ადამიანის სიკვდილით დასჯის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა მხოლოდ მას აქვს. მეორე ირანელ დიდმოხელეს – მცხეთის ციხისთავ უსტამს, მაგალითად, ეს არ შეუძლია: "ვითარ იხილა უსტამ გულს-მოდგინედ დამტკიცებაჲ ნეტარისა ევსტათისი, განიზრახა და თქუა: "ამის კაცისა პატიჟი მე არარაჲ ჴელ-მეწიფების, არცა აღბმაჲ ძელსა, არცა ჰყრობილებაჲ, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზაპანსა, და, რაჲ-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს. რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჴელ-ეწიფების სიკუდილი და ცხორებაჲ"."[75]

ქართლის მარზპანი თბილისში ზის. აქვე ვხედავთ ქართველ წარჩინებულებს. ისინი განვითარებული მოვლენების პასიური დამკვირვებლები არ არიან. აქტიურობენ, შუამდგომლობენ მარზპანთან ევსტათისათვის. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ქართლის მეფე არის და არცერთ მოვლენაში არ მონაწილეობს?! ორი აზრი არ შეიძლება იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" აღწერილი ფაქტების ისტორიული ფონია ქართლის პოლიტიკური განვითარების სპეციფიკური პერიოდი,

---

74 *ძეგლები* I, გვ. 30.

75 იქვე, გვ. 32.

კერძოდ, ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების არარსებობის ხანა.

"თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლში ამ დროს მეფობა გაუქმებული იყო, თბილისში მარზპანი იჯდა და ქართლი ირანულ პროვინციად იყო ქცეული, ევსტათეს მხრივ ირანული ხელისუფლებისაგან თავდაცვის მიზნით ქართლში მოსვლა უცნაურად შეიძლება ჩაითვალოს" – მიუთითებს კოლეგა. ვეთანხმები, თუ კი ეს ყველაფერი ასეა, მართლაც, ძალიან, ძალიან უცნაურად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ რატომ უნდა დავუშვათ, რომ არ არის მეფობა გაუქმებული და რომ თავდაცვის მიზნით მოდის ქრისტიანი ევსტათი მცხეთაში, როცა წერია რომ ქართლში მოსვლამდე ევსტათი ქრისტიანი არ იყო და რომ ამ დროს თბილისში მარზპანი ზის და არა ქართლის მეფე?! ევსტათის, ჯერ კიდევ მაზდეანის, მოსვლა ირანელების მიერ კონტროლირებად ქართლში ესეც ხომ ძალიან ლოგიკურია და, რაც მთავარია, სწორედ ეს წერია თხზულებაში!

როგორც ვხედავთ მცხეთაში ევსტათის ცხოვრებაზე მკვლევარი ძალიან დეტალურად საუბრობს, მაგრამ საიდან ჩნდება მის ამ მსჯელობაში ცნობა "პატარა სახლზე"?! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვინმე რიგითი ლტოლვილის ბიოგრაფიის გადმოცემას ეხებოდეს საქმე. ევსტათი ორდინარული პიროვნება სულაც არ იყო ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროს მოგვის შვილმა, მამული რჯულით უკმარობის გრძნობა რომ დაეუფლა, ჭეშმარიტი რჯულის ძიება იწყო და ამ მიზეზით სხვადასხვა სარწმუნოება ერთმანეთს შეუდარა. მცხეთაში ყოფნის პერიოდში მისი ბიოგრაფიის მთავარ ფაქტს "პატარა სახლის" შეძენაზე ზრუნვა კი არ წარმოადგენდა (უბრალოდ გასაოცარია, საიდან უჩნდება ამგვარი აზრი მკვლევარს მარტვილთან დაკავშირებით), არამედ ქრისტიანთა ცხოვრებაზე დაკვირვება, ადრე მიღებული შთაბეჭდილების პრაქტიკით შემოწმება: "და მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა ჴელსა მეჰამლეობისასა. და ხედვიდა იგი რწულსა ქრისტიანეთასა და მსახურებასა ქრისტჱსსა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რწული ქრისტეანობისაჲ და ჰრწმენა ქრისტე. და ვითარ ისწავა მეჰამლეობაჲ, ითხოვა მან ცოლი ქრისტეანჱ და თჳთ ქრისტეანე იქმნა და ნათელი მოიღო ხოლო ნათლის-ცემასა

მისსა უწოდეს სახელი ევსტათი. და ცხორებოდა წმიდაი ევსტათი ქრისტეანობასა შინა და სათნოებასა ქრისტესსა"[76].

მომავალი მარტვილის ყოფის ამ არსებით მხარეს კოლეგა უყურადღებოდ ტოვებს, ჩანს, სრულიად შეგნებულად აშკარად მკითხველის გაკვირვებას ერიდება, რომელსაც ამქონ, რომ ევსტათი მცხეთაში ქრისტიანი მოვიდა. მ.სანაძის მიერ თხზულების სიუჟეტის გადმოცემისას ვერსად ვხედავთ იმ ფაქტის აღნიშვნასაც, რომ ევსტათის ნათლია იყო თავად ქართლის კათალიკოსი, და ეს, მაშინ როცა არის საუბარი "მინიმალური ქონების" დაგროვებაზე და რაღაც "პატარა სახლზე"! ევსტათი ინტელექტუალი მარტვილია. მისი გადაწყვეტილება – გახდეს ქრისტიანი – განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებაა. ამ შტრიხის "ჩაქრობით" ევსტათის სახე თავის ინდივიდუალობას კარგავს.

"ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ის ჯერ კიდევ განძაკში იყო გაქრისტიანებული" – შენიშნავს, როგორც ვნახეთ, მ.სანაძე. მართლაც, დიდი ხანია აღნიშნულია, მაგრამ დასაბუთებული რომ სრულიად არ არის, ეს მე ვაჩვენე ჩემს წიგნში. ფიქრობდნენ, რომ "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" გაირჩეოდა ორი შრე. თავდაპირველ რედაქციაში ევსტათი სპარსეთის ეკლესიის შვილად იყო გამოყვანილი, იგი სპარსეთში იყო მონათლული. ეს სრულიად ბუნებრივად იყო მიჩნეული ე.წ. სპარსოფილური რედაქციისათვის, რომელსაც თითქოსდა ახასიათებდა ქრისტიანობის ისტორიის სპეციფიკური, სპარსოცენტრული ხედვა. მცხეთაში მონათვლის შესახებ ცნობებს კი გვიანდელ ჩანართად მიიჩნევდნენ. ასე რომ, თხზულება წარმოედგინათ შინაგანად წინააღმდეგობრივ ძეგლად, რომელიც შეიცავდა ცნობებს ევსტათის როგორც სპარსეთში, ისე მცხეთაში მონათვლის შესახებ. ჩემს ხსენებულ ნაშრომში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ამ ალოგიკური და წყაროს მონაცემებთან სრულიად შეუსაბამო შეხედულების კრიტიკას. შედეგადაც მივედი იმ დასკვნამდე, რომ ძეგლში არ შეინიშნება არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა: აქ მხოლოდ ევსტათის მცხეთაში ნათლობაზეა საუბარი. საჭიროდ მიმაჩნია ეს ჩემი ძიებებიც აქვე სრულად წარმოუდგინო მკითხველს იმის განსასჯელად მართებდა თუ არა მ.სანაძის მათ, სულ მცირე, განხილვის საგნად ქცევა მაინც

[76] *ძეგლები* I, გვ.30.

► „სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" კიმენური რედაქციის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი არაა არქეტიპული, ეს უკანასკნელი სპარსოფილური ტენდენციებით გამსჭვალულ ქმნილებას წარმოადგენდა. მთელი შემდგომი კვლევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სრულყოფილად ვიცნობთ არქეტიპს. ამიტომ ჩვენი ძიებების დასაწყისში სწორედ აღნიშნული შეხედულების შემოწმებას შევეცდებით

მითითებული თვალსაზრისი ეკუთვნით ა.პარნაკსა და ი.ჯავახიშვილს. ა.პარნაკი აღნიშნავს შემდეგს: ტექსტში წინააღმდეგობაა ევსტათის მონათვლის ადგილთან დაკავშირებით ერთი რიგის ცნობების მიხედვით ევსტათი სპარსეთში ყოფნის დროსვე იქნა მონათლული, მეორე რიგის ფაქტების მიხედვით კი იგი მცხეთაშია ნათელ-ღებული. ამ დიამეტრალურად განსხვავებული ინფორმაციების ტექსტში თანაარსებობის ფაქტის ინტერპრეტაციის რამდენიმე შესაძლო ვერსიის უარყოფის შემდეგ, მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სხვა ახსნა არ არსებობს თუ არა ის, რომ ცნობები ორი რედაქციული ფენიდან მომდინარეობს. ადრეულ ფენას იგი სპარსეთში მონათვლის შესახებ ცნობას უკავშირებდა. ამავე ფენის კუთვნილებად მიაჩნდა ა.პარნაკს ევსტათის მიერ სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში წარმოდგენილი მსჯელობანი „ზპრსთა რჯულის" პრიმატობის, აბრაამის სამშობლოდ სპარსეთის დასახვის შესახებ.

იგივე აზრი შემდეგნაირად არის ი.ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული: „...მოთხრობით ევსტათი ... სპარსეთიდან წარმართად მოსულა და მხოლოდ მცხეთაში გაქრისტიანებულა და მონათლულა. მარტვილობაში არაერთხელ არის თითქოს განზრახ და ხაზგასმით აღნიშნული, რომ ევსტათი მცხეთაში მონათლა. მაგრამ ამ გარკვეულსა და დაჟინებით მტკიცებას ეწინააღმდეგება თვით ევსტათის მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები და ცნობა ... ქ.განძაკში ერთ-ერთი ეკლესიის არქიდიაკონმა სამოელმა ქრისტიანობის მოძღვრება ამიხსნა და სწორედ მაშინ „გულისჴმა-ვყავ და ვცან სამოელ არქიდიაკონისაგან დასაბამითგან ყოველივე და აქამომდე და ... მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოჲ და ძჲ მისი იესუ ქრისტე და სული წმიდაჲ მისი და მით ნათელი მიმიღებიეს"-ო. ამგვარად, ევსტათის სიტყვებითგან ცხადად ჩანს, რომ ის უკვე სპარსეთში სამოელ არქიდიაკონის წყალობით

გაქრისტიანებულა და მონათლულა კიდეც ... ცხადია, ერთი ამ ცნობათაგან უნდა თავდაპირველი და ჭეშმარიტი იყოს, მეორე მერმინდელი და შემცდარი. რომელ ამ ცნობათაგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? ... ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: თვით ძეგლში მოყვანილი სარწმუნოებრივი მოძღვრება, რომელიც სამოელ არქიდაკონის მიერ წარმოთქმულად არის მოთხრობილი, ისეთს ცნობებს შეიცავს, რომ მათ სპარსულ სადაურობას ცხადჰყოფენ ... ქ.განძაკის არქიდაკონ სამოელის აზრით ადამითგან მოსემდის (?) სპარსთა სჯული ყოფილა გაბატონებული, თვით აბრაამიც სპარსეთში ეგულება მას თავდაპირველად ამნაირი შეხედულება დაბადებაში არ გვხვდება, უჩვეულო, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს და მხოლოდ სპარსელს შეეძლო ეთქვა ... ყველა ზემოთქმულის შემდეგ ევსტათი მცხეთელის მარტვილობის შესახებ შეიძლება შემდეგ დასკვნას დავადგეთ: ძეგლის თავდაპირველი დედანი თანამედროვის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ შემდეგ, იქნებ ამავე VIს-ის დასასრულს ან VIIს-ის დამდეგს, მოთხრობაში ცვლილება შეუტანიათ, რომ ევსტათი მცხეთელი სპარსეთის ეკლესიის შვილად არ ყოფილიყო გამოყვანილი".

ამის შემდეგ, თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი "ევსტათი მცხეთელის მარტვილობას" შეხებია, თავს მოვალედ რაცხდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება აღძრული პრობლემის მიმართ. კ.კეკელიძის მითითებით, თხზულების ტექსტში შინაგანი წინააღმდეგობის ფაქტის არსებობის დადასტურების გამო არქეტიპული რედაქციის ავტორის სპარსელობის შესახებ აზრის შემუშავება არამართებულია, რადგან არსებული წინააღმდეგობის მაჩვენებელ ცნობაში შესაბამისი შინაარსის ჩადების შემთხვევაში, მათი რაციონალური შეთანხმება ხერხდება: "ეს ორი, თითქოს ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობა ასე უნდა გვესმოდეს: ევსტათი სპარსეთში, სამოელ არქიდაკონის კატეხიზატორული მოძღვრებითა და ზეგავლენით, ირწმუნა ქრისტე, გაქრისტიანდა რწმენით, ხოლო მცხეთაში სამოელ კათალიკოსის ხელით მოინათლა და ფორმალურადაც ქრისტიანი გახდა".

ამგვარ ახსნას არსებითად იზიარებდა ს.ყუბანეიშვილიც, რომელიც შენიშნავდა, რომ ევსტათის თავისუფლად შეეძლო გასცნობოდა სპარსეთში ქრისტიანობას, სადაც ამის პირობები იყო ხოსრო I-ის დროს.

ბ. კილანავას აზრით, კ. კეკელიძემ ვერ შეძლო მოეხსნა წინააღმდეგობა, რადგან თხზულების დასაწყისში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სპარსეთიდან ევსტათი წარმართი მოვიდა. თუმც აღნიშნული მკვლევრის წინაშე თავად წინააღმდეგობის ფაქტის ახსნის პრობლემა მწვავედ არ დგას. იგი თვლის, რომ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები აქ სხვა შემთხვევაშიც მოიძება. ავიღოთ თუნდ ეპიზოდები, რომლებშიც ევსტათის თანამოღვაწე სტეფანეს მოწამის შესახებ არის საუბარი. თავიდან ჩანს, რომ სტეფანე, ისევე როგორც ევსტათი, მოგვი იყო და ქართლში მოსვლის შემდეგ გაქრისტიანდა, შემდგომში კი სასამართლოზე მოწმეები ადასტურებენ მის შთამომავლობით ქრისტიანობას.

აზრი იმის შესახებ, რომ განსახილველი "მარტვილობა" წინააღმდეგობრივი ცნობების შემცველია, კერძოდ კი ის, რომ ინფორმაცია ევსტათის მონათვლის ადგილის შესახებ არაერთგვაროვანია, მეორდება დღემდე. ამის დასტურია თუნდ ერთ-ერთი უკანასკნელი დროის გამოკვლევა, სადაც ვხვდებით ასეთ მსჯელობას: "„მარტვილობის" ავტორის ცნობით, ევსტათი მცხეთაში მონათლა. მაგრამ ამას მხარს არ უჭერს თავად ევსტათის სიტყვები, რომლითაც მან სასამართლოს მიმართა. ევსტათის თქმით, იგი ჯერ კიდევ განძაკში ყოფნისას დაინტერესებულა ქრისტიანული მოძღვრებით და ამის თაობაზე საგანგებო საუბარი ჰქონია ერთ-ერთი ეკლესიის არქიდიაკონთან სამოელთან. სამოელის ქადაგების შედეგად ევსტათიმ ქრისტე იწამა და არქიდიაკონის ხელით მონათლა კიდეც". თუმც ახსნა ამ ფაქტისა რამდენადმე ახალია: "განძაკში მონათვლისას ევსტათის ნესტორიანობა უნდა მიეღო, ხოლო 541 წელს ქართლში გადმოხვეწილი ევსტათი, ქართველ ქრისტიანებთან ახალი ურთიერთობის გამო ხელმეორედ მონათლა, ვინაიდან ქართლის ეკლესიის მესვეური მწვალებელთაგან მიღებულ ნათლს კანონიერად არ მიიჩნევდნენ. რადგან ქრისტეს რწმენისათვის წამებულ ევსტათის ქართლის იმდროინდელი საზოგადოება მართლმადიდებელ მოწამედ თვლიდა, „მარტვილობის" ქალკედონიტი ავტორი შეეცადა მიეჩქმალა ევსტათი მცხეთელის ადრინდელი ნესტორიანობის ფაქტი".

მოკლედ, სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, ვითარება ასეთია: მკვლევართა უმეტესობა ადასტურებს თხზულების ტექსტში მთავარი პერსონაჟის მონათვლის ადგილის შესახებ

ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის არსებობას, თუმც ამ ფაქტს არაერთგვაროვნად განმარტავს.

ნებისმიერი ამ ინტერპრეტაციის გაზიარების შემთხვევაში "მარტვილობის" ღირსება, როგორც ლიტერატურული ძეგლის თუ ისტორიული წყაროსი, ეჭვქვეშ დგება. ჰაგიოგრაფიულ ქმნილებაში, მით უმეტეს, ისეთი მცირე მოცულობის ძეგლში, როგორიც განსახილველია, მთავარი გმირის ნათლისღების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობების არსებობა საოცარი, შეიძლება ითქვას, პარადოქსული ხარვეზია. ეს კონკრეტული შემთხვევა ჩრდილს აყენებს საზოგადოდ მთელ ქართულ ქრისტიანულ კულტურას. ნუთუ ჩვენი წინაპრები ასე დაუდევრად წერდნენ და ასე უგულისყუროდ კითხულობდნენ საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული რწმენისათვის თავდადებული პიროვნების ცხოვრების ამსახველ თხზულებას?!

ეს "შებრკოლების ლოდი" გვიბიძგებს განვაგრძოთ კვლევა. ირკვევა, რომ იგი მიუთითებს არა შუა საუკუნეების ქართული კულტურის ნაკლს, არამედ თანამედროვე მკვლევართა მიერ ტექსტის განმარტებისას დაშვებულ ცდომილებას. ის რომ ევსტათი ქართლში წარმართი მოვიდა და მცხეთაში გაქრისტიანდა, როგორც ითქვა, გაცხადებულია "მარტვილობის" პირველ აბზაცშივე. აქ განმარტებულია, რომ ჯვარპატიოსანის სასწაულები, ადგილობრივ ქრისტიანთა ცხოვრება იქცა იმ იმპულსად რომელმაც ევსტათის გადაადგმევინა რწმენის გამოცვლისაკენ მიმართული ნაბიჯი. ამრიგად, მცხეთა ფაქტობრივად ევსტათის დაბადების ადგილად იქცევა. აღნიშნული ქალაქის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წმინდანის ცხოვრებაში ცხადყოფს თხზულების არაერთი ადგილი: ევსტათი საგანგებოდ ზრუნავს, რომ სიკვდილის შემდეგ მისი ნეშტი აქ დაიკრძალოს. ამგვარი დაჟინებული სურვილის მიზეზი კი ევსტათისავე განმარტებით სწორედ ისაა, რომ იგი მცხეთაში მონათლა: "უფალო ღმერთო, იესუ ქრისტე, უკეთუ ღირს მყო მე სიკუდილისა სახელისა შენისათჳს ქრისტეანებით, ჴორცთა ჩემთაჲ ნუ ჯერ-გიჩნს განგდებაჲ გარე და შეჭმაჲ ძაღლთაჲ და მფრინველთაჲ ცისათაჲ, არამედ ჴორცთა ჩემთაჲ ბრძანე აქავე მოქცევაჲ და დამარხვაჲ მცხეთას, სადაცა ნათელ-მიღებიეს"; ან კიდევ: "ხოლო ამას გევედრები, უფალო ჩემო, იესუ ქრისტე, რაჲთა გუამი ჩემი დაემარხოს მცხეთას, სადაცა-იგი ნათელი მეღო სამოელ კათალიკოზისა ჴელითა და ღირს ვიქმენ რჩულსა

ქრისტიანეთისა"; ან კიდევ: "და ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისგან, რათა არ დაეტევოს გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ რათა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა-იგი შენ გამომიჩნდი".

ანდერძიც ჰქონია ევსტათის ამის თაობაზე დაბარებული: "ხოლო წმიდასა ევსტათის პირველვე ემცნო ნეტარისა სტეფანესგან, რათა რაჟამს გეუწყოს სიკუდილი ჩემი მსწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და მუნ დაჰმარხეთ, სადა ნათელ-ვიღე".

შემთხვევითი არაა, რა თქმა უნდა, ევსტათის ზედწოდებაც "მცხეთელი". ევსტათი – მცხეთელი წმინდანია, ამ ქალაქს უკავშირდება მისი ჭეშმარიტი ცხოვრების წლები, ამ ქალაქს ეკუთვნის იგი სიკვდილის შემდეგ.

ახლა განვიხილოთ ქმნილების ის ადგილი, რომელსაც იმოწმებენ ხოლმე ევსტათის სპარსეთში ნათლისღების დასტურად. მარზპანის სასამართლოზე ევსტათიმ ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ თუ როგორ მივიდა იგი სრულიად შეგნებულად ქრისტეს აღიარებამდე. ყველაფერი, მისი თქმით, იმით დაწყებულა, რომ "მამული რჯული" არ ჰყვარებია. საუკეთესო რჯულის შესარჩევად დაუწყია ძება. ვინმე სამოელ არქიდიაკონს მოუთხრია მისთვის სხვადასხვა, მათ შორის, ქრისტიანულ, სარწმუნოებაზეც რა თქმა უნდა, ყველაზე ვრცლად ამ უკანასკნელზეა საუბარი. აღნიშნულ მონათხრობთან დაკავშირებით (სიტყვა ეხება ქრისტიანობას) შენიშნავს მარტვილი: "მაშინ ვითარცა გულისჴმა-ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქიდიაკონისაგან დასაბამითგანი ყოველი ვიდრე აქამომდე და მოვიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტიანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამო და ძე მისი იესუ ქრისტე და სული წმიდაჲ მისი. და ამით ნათელ-მიღებულს და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტესგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსვლამდე".

აი, ამ სიტყვებს მიიჩნევენ იმის დასტურად, რომ ევსტათი გაქრისტიანდა ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს. მაგრამ როგორც ვხედავთ, აქ ამდაგვარი არაფერია თქმული. ევსტათი მსმენელთა ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ იმას, რომ მამის, ძისა და სულიწმინდის რწმენა გახდა მისთვის ნათლისღების საფუძველი. მაგრამ თუ სად გაქრისტიანდა ან ვის მიერ იქნა მონათლული, აქ ამის თაობაზე არაფერია შენიშნული. ეს ბუნებრივიცაა. ჰაგიოგრაფს უთუოდ გაუჭირდებოდა წარმოედგინა, რომ საჭირო იქნებოდა

აღნიშნულ ეპიზოდში ევსტათის მონათვლის ადგილს მიითითება, რადგან ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთამდე უკვე ორჯერ ჩანდა ხაზგასმული, რომ ქართლში მოსვლამდე ევსტათი ქრისტიანი არ იყო, რომ იგი მხოლოდ მცხეთაში მოექცა ქრისტეს რჯულზე და აქვე მონათლა. ეს ფაქტი განმეორებულია უშუალოდ სასამართლოს ეპიზოდის შემდეგაც და ტექსტის ბოლოშიც საგანგებოდ არის აღნიშნული. ასე რომ, ევსტათის მონათვლის ადგილის შესახებ ცნობებში ტექსტში არავითარი წინააღმდეგობა არ შეინიშნება. თხზულების მიხედვით ევსტათი მონათლა მცხეთაში. აზრი კი ტექსტში ამის საწინააღმდეგო ინფორმაციის არსებობის თაობაზე, მცდარია, ცნობის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. ამდენად იგი თხზულების პროტოგრაფის სპარსელი ავტორის მიერ დაწერის, შემდგომში კი ქმნილების ქართული ეკლესიის ინტერესთა შესაბამისად გადაკეთების შესახებ თვალსაზრისის შემუშავებისათვის მაპროვოცირებელი ფაქტორის როლს ვერ შეასრულებს.

ასევე გაუგებრობის შედეგია აზრი იმის შესახებ, რომ სტეფანესთან დაკავშირებული ეპიზოდები ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის შემცველია. მართლია, თავად სტეფანე აღიარებს, რომ იცვალა მამული რჯული, მერე კი სასამართლოზე მოწმეები მის შთამომავლობით ქრისტიანობას ადასტურებენ, მაგრამ ეს ფაქტი არ განიმარტება, როგორც ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობა. როგორც ჩანს თხზულებიდან, სპარსელთა რისხვის საფუძველს წარმოადგენს ახალქრისტიანობა. შთამომავლობით ქრისტიანობა სასჯელს არ ექვემდებარება. სტეფანეს საშუალებით ავტორი ხატავს ფონს ევსტათისათვის. ევსტათის გადაწყვეტილება ურყევია ბოლომდე, იგი "კეთილმდგომარეა", ანუ "მტკიცედ მდგომი", "მედგარი". სტეფანე კი სიკვდილის შიშით ჩვენებას ცვლის და ამით აღწევს სასჯელს თავს. თხზულების იდეა იოლად ამოსაცნობია. მაგრამ რატომღაც საქმე გვაქვს მკვლევართა მხრიდან წარსული ეპოქების კულტურულ ტექსტთა განმარტებისას მეტად უცნაურ დამოკიდებულებასთან. იმის მაგიერ, რომ ფაქტები ურთიერთთან დააკავშირონ და ქმნილების დედაარსი ასე ამოიცნონ, ტექსტს მექანიკურად ანაწევრებენ და ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთს უპირისპირებენ.

ახლა განვიხილოთ ა.ჰარნაკისა და ი.ჯავახიშვილის მიერ "მარტვილობის" ავტორის სპარსელობის საფუძვლად

მოხმობილი სხვა არგუმენტებიც ჩვენი ანალიზის საგანი კვლავ ევსტათის აპოლოგეტური სიტყვაა. წარმოთქმული მის მიერ მარზპანის სასამართლოზე. ამ სიტყვაში წმინდანი განაქიქებს ცეცხლთაყვანისმცემლობას, ამტკიცებს ქრისტიანული მორალის უპირატესობას და ამასთან, როგორც ითქვა, წარმოგვიდგენს ბიბლიური ისტორიის მოკლე თხრობას, რომელიც მისივე განმარტებით, მოუსმენია ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას სამოელ არქიდიაკონისაგან.

საუბარი სამოელს დაუწყია შემდეგი შესავლით "გულს-მოდგინედ ისმინე, ძმაო! წინაჲთ სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ თუთ იცი, ხოლო ღმრთისა სჯული იგი სპარსთაჲ და არა სცნდა. და მერმე ჰურიანი გამოარჩინა ღმერთმან და სათნო-იყვნა და მისცა მათ რჩული და მცნებაჲ დამარხვად მაშინღა ქრისტიანენი სათნო-იყვნა ღმერთმან უფროჲს ჰურიათასა".

"სპარსთა რჩული" სხვაგანაც იხსენიება განსახილველ ძეგლში. იგი ევსტათის თანამედროვეთა რწმენის დასახასიათებლად არის გამოყენებული და აშკარად ნიშნავს მაზდეანობას. სწორედ ამ ფაქტს მიაქციეს ყურადღება ა.ჰარნაკმა და ი.ჯავახიშვილმა და კულტუროლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვით, კაცობრიობის თავდაპირველ რელიგიად ზოროასტრიზმი ცხადდება, მიიჩნიეს უჩვეულოდ, იმდენად სპეციფიკურად, რომ დიდწილად მასზე დაყრდნობით გაკეთებულ იქნა ზემოთ აღნიშნული დასკვნა ავტორის არაქართველობის შესახებ. ამავე რიგის ფაქტად თვლიდნენ მკვლევრები აბრაამის სამშობლოდ სპარსეთის დასახვას. მოგვაქვს შესაბამისი ციტატაც "კაცი იყო ერთი უბიწოჲ და ღმრთის მოყუარე სოფლისა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა და სახელი ერქუა მას აბრაჰამ და ეჩუენა მას ღმერთი ჩუენებასა ღამისათა და ჰრქუა აბრაჰამს: გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა. ხოლო აბრაჰამს ჰრწმენა სიტყუაჲ იგი ღმრთისა და თქუა აბრაჰამ: იყავნ უფალო, ჩემ ზედა სიტყუაჲ ეგე შენი! და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ქალდეველთაჲსა".

სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა კ.კეკელიძეს. მისი აზრით, საქმე გვაქვს არა ავტორის ინდივიდუალურ თვალსაზრისთან, არამედ ქრისტიანულ ტრადიციასთან. "სპარსთა რჩულის" პრიმატობის შესახებ აზრი, კერძოდ, არის

უძველესი აპოკრიფების გამოხატული, რომ "გმირი ნებროთი, რომელიც გაცილებით ადრე ცხოვრობდა აბრაამამდე, უნიტან გრძნეულისაგან სწავლობს სპარსთა გრძნებასა და მოგვობას, მათ ვარსკვლავთმრიცხველობას, სიბილწესა და ხლაპრობას ... ერთ-ერთი ასეთი აპოკრიფი, რომელსაც ეწოდება "დაბადებისათვის ცისა და ადამისათვის" ან ქართულად "ნებროთის წიგნი", ჩვენ ძველ ლიტერატურაშიც შემონახულია; ამით უხვად სარგებლობდნენ ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქრონოგრაფები. ასევე უნდა ითქვას აბრაამის სამშობლოს, ქალდეასა და ბაბილონის შესახებ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ბიბლიურ ტრადიციასთან: ბიბლიაში ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ორივენი ხშირად გაიგივებულნი არიან სპარსეთთან".

ს.ყუბანეიშვილის აზრით, სპარსთა რჯულად, სპარსთა სოფლად ზოგადად ის ქვეყნებია ნაგულისხმევი, სადაც არაქრისტიანულ-არაებრაული რელიგიები სუფევდა.

ამგვარად, დასახელებული პრობლემისადმი არსებითად სამგვარი მიდგომა გამოვლინდა: ფრაზებში "სპარსთა რჯული", "სპარსთა სოფელი" სპარსი კონკრეტული ეთნოსის აღმნიშვნელი სიტყვაა. ევსტათის მიერ წარმოდგენილი კულტუროლოგიური მოდელი სპეციფიკურია, ამიტომ იგი ავტორს ახასიათებს (1); სპარსი კონკრეტული სიტყვაა, მაგრამ წარმოდგენილი მოდელის წყარო ქრისტიანული ტრადიციაა (2); "სპარსი" ნახმარია ზოგადი მნიშვნელობით, წარმოდგენილი მოდელი უწყვეტლობს არაფერს შეიცავს (3). ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ თვალსაზრისთა შემოწმებას. მაგრამ ვიდრე კვლევას დავიწყებდეთ, გვსურს დავაზუსტოთ: აღნიშნული მოდელი ახასიათებს თხზულების ავტორის მსოფლხედვას. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ, როგორც ითქვა, შესაბამისი მონათხრობი ძეგლში მოგვეწოდება სამოელისმიერად ამ უკანასკნელს კი, როგორც სპარსეთის ეკლესიის წარმომადგენელს, შესაძლოა, ერთი შეხედვით, ჰაგიოგრაფისაგან განსხვავებული ისტორიის სპარსოცენტრისტული კონცეფციაც მიეწეროს. მაგრამ ეს გამორიცხულია. საქმე ისაა, რომ acta martyrum ტიპის ძეგლებში ("ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" კი ასეთია) აპოლოგეტურ ნაწილს აქვს განსაკუთრებული იდეოლოგიური დატვირთვა, ამიტომაც აქ პოზიტიურად ყოველთვის მხოლოდ ავტორისეული პოზიცია ფიქსირდება.

ეთნონიმ “სპარსს” თვალი გავადევნოთ ქართული ჰაგიოგრაფიის სხვა ძეგლებში. ჩვენამდე მოღწეულთა შორის უძველეს ორიგინალურ ქმნილებაში “ნინოს ცხოვრებაში” ეს ეთნონიმი იხსენიება ერთ შემთხვევაში, კერძოდ, სახარების ცნობილი ეპიზოდის – ახალშობილი იესოს თაყვანისცემის გადმოცემისას. მოგვითხრობს ნინოს ერთ-ერთი მოწაფე სიდონია: “და ამისა ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა ... ოდეს-იგი მეფობდა ჰეროდი, და მოგუესმა აქა, ვითარმედ <u>სპარსთა</u> იერუსალემი დაიპყრესო ... ვითარმედ ათორმეტნი მეფენი მოვიდესო დაპყრობად ქუეყანისა ჩუენისა ... ხოლო შემდგომად მცირედ-რე მოიწია სხუაჲ ლაღადისი ნუგეშინის-ცემისაჲ იერუსალემით ყოველსა ქუეყანასა, ვითარმედ <u>სპარსნი</u> იგი არა დაპყრობად ქუეყანისა მოვიდეს, არამედ აბჯრისა და საჭურველისა წილ და საგზლისა აქუნდა ოქროჲ ყუთელი ... ამისა შემდგომად გარდაჴდეს წელნი ოც და ათნი, მოწერა ანა მღდელმან იერუსალემით მამის მამასა ჩემისა ოზიასსა, ვითარმედ იგივე ყრმაჲ რომლისა სპარსთა მეფენი მოსრულ იყვნეს ძღუნითა, იგი ყრმაჲ გან-სამე-ზრდილ არს, საზომსა ჰასაკისა მოწევნულ არს”.

შდრ. სახარება: “ხოლო იესუ ქრისტეს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავლეთით მოვიდეს”.

როგორც ვხედავთ, “მოგვს” ენაცვლება “სპარსი”. ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში “მოგვი” ყველგან განმარტებულია, როგორც ბუნების საიდუმლოთა დაუფლებული მეცნიერი. სახარების აღნიშნულ ეპიზოდში მოგვები (მათ რაოდენობას, სხვათა შორის, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ) წმინდანთა რანგშიც იყვნენ ეკლესიის მიერ აყვანილნი, მაგრამ ამასთან, იმის გამო, რომ საზოგადოდ არაქრისტიანული სიბრძნის მფლობელობას ნიშნავდა, “მოგვობა” ქრისტიანული თვალთახედვით იძენს უარყოფით კონოტაციასაც. აქსიოლოგიური მიდგომის შედეგი უნდა იყოს, მაგალითად, თუნდ ის, რომ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლექსიკონში “მოგვის მსგავსი” და “ზაკული” სინონიმებია.

საინტერესოა, რომ მოგვები მოდიან აღმოსავლეთიდან. ბიბლიაში სხვა შემთხვევაში ნახსენები მოგვებიც აღმოსავლეთს უკავშირდებიან წარმომავლობით (ცნობილია, მაგალითად, ეგვიპტელი მოგვები). ამრიგად “მოგვობა” ნიშნავს არაქრისტიანულ (წინარექრისტიანულ) სიბრძნეს, რომელიც

ძველი აღმოსავლეთის კულტურულ წრეს უკავშირდება. სახარების მითითებული ეპიზოდიც 'მოგვის" ამ გაგებით უნდა იქნას წაკითხული ...

ყველაფერი, რაც ითქვა 'მოგვის" შესახებ, ცხადია, ეხება 'სპარსსაც". ამგვარად, 'ნინოს ცხოვრების" მითითებულ ადგილას ეთნონიმი 'სპარსი" აშკარად ამჟღავნებს მისწრაფებას გადაიქცეს კულტუროლოგიურ ტერმინად "არაქრისტიანულის", "წინარექრისტიანულის" მნიშვნელობით

აღნიშნულ შეხედულებას უფრო გვიმტკიცებს 'წმ. ნინოს ცხოვრების" სხვა ადგილი, სადაც 'სპარსი" ნიშნავს "წარმართს", "კერპთაყვანისმცემელს".

სიტყვა შეეხება ეკლესიის მშენებლობის ეპიზოდს. ერთ-ერთი სვეტის აღმართვა მშენებლებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს. ამის გამო ღამით ნინო თავის მოწაფეებთან ერთად დარჩა სალოცავად ამ ღამეს ქართლში წარმართობის დამხობის სასწაულებრივი სურათი გადაიშლება ნინოს ერთ-ერთი მოწაფის, ზემოთ უკვე ნახსენები, სიდონიას თვალწინ, დიდდება არაგვი და მტკვარი, წაილეკება არმაზისა და ზადენის მთები, მთელი ქალაქი. ძველის ნგრევისა და ახალი ჟამის დადგომის აი, ამ ფანტასტიკურ სიზმარნარევ კადრში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სპარსთა ლაშქრის გამოჩენა: "და ვიდრე არღა ეყივნა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი ქალაქისანი და აღივსო ქალაქი <u>სპარსთა ლაშქრითა</u> და მეყსეულად შეიქმნა ზარის აღსაჴდელი ზრინვანი და ყივილი და კლვაჲ ერისაჲ ... ისმა ჴმაჲ და ძლიერად მირეან მეფე შეიპყრესო და გარე-მოიხილა მჴნედ მოღვაწემან მან და თქუა: კუალად ყვესა? ვიცი, რამეთუ დიდად შჭირს. მადლობდა ღმერთსა, რამეთუ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა ცხორებისაჲ და ამის ადგილის დიდებისაჲ ... და მოუქცა (წმ. ნინო – მ.ჩ.) ერსა მას მოშავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: 'სადა არიან <u>მეფენი სპარსთანი</u> ხუარა და ხუარან ხუარა, საბასტანით გუშინ წარმოხუედით? მალე მოხუედით დიდად სამე არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხარით და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე, მახვლი დაეცით ქართა და ნიავთ. წარვედით ბნელთა ჩრდილოჲსათა, მთათა მათ კედარისათა. აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ევლტოდით" და განძრა მარჯუენე თჳსი და დაწერა ჴელითა სახჱ ჯუარისაჲ და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლჱ ერისაჲ და იქმნა დაყუდებაჲ დიდ".

როგორც ვხედავთ ქართული წარმართობის მარცხი ამ ეპიზოდში სპარსთა ლაშქრის მარცხადაა სიმბოლურად წარმოდგენილი. აქ კარგად ჩანს, რომ სიტყვა "სპარსს" გარკვეულ შემთხვევაში შეუძლია სრულიად დაჰკარგოს ეთნონიმის კონკრეტულობა და იქცეს არაქრისტიანული სარწმუნოების გამომხატველ ზოგად ტერმინად ...

"სპარსის" ზოგადი მნიშვნელობა კარგად ჩანს შედარებით გვიანი ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც როგორც მიუთითებს ვ.გაბაშვილი, "იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში", "გიორგი ათონელის ცხოვრებაში" "სპარსეთი" სამაჰმადიანოს მნიშვნელობით გამოიყენება. ეს ასევეა XI-XIIსს ბერძნულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში. აღნიშნულ ფაქტს დასახელებული მკვლევარი შემდეგ ახსნას აძლევს: "მუსლიმანთა წარმოდგენაში ისლამური ცივილიზაცია სპარსული ფორმით არის გამოხატული. ასეთ ვითარებაში მიენიჭა "სპარსელს" და "სპარსულს" ზოგადი მნიშვნელობა".

ეს შეხედულება ზემოთ ზემოთ მოყვანილი მასალების ფონზე დაზუსტებას მოითხოვს. "სპარსობა" ქრისტიანული გაგებით ნიშნავს არაქრისტიანობას. არაქრისტიანობა კი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება დაკონკრეტდეს, როგორც ძველაღმოსავლური რელიგიური სისტემა, ქართული ან ელინური წარმართობა, მუსლიმანობა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ევსტათის აპოლოგეტურ სიტყვაში წარმოდგენილ კულტუროლოგიურ კონცეფციას. ახლა აქ უჩვეულო არაფერია. სამუელ არქიდიაკონს ევსტათისათვის უთქვამს, რომ კაცობრიობის თავდაპირველი რელიგია იყო წარმართობა, შემდეგ ეტაპად ის თვლის იუდაიზმს, ჩანს, როგორც მონოთეისტურ რელიგიას, ხოლო შემდგომად კი ქრისტიანობას. სპეციალისტებმა დიდი ხანია შენიშნეს, რომ "მარტვილობის" აპოლოგეტური ნაწილი ფილოსოფიური თუ ეთიკური მსჯელობისას ეყრდნობა ბერძენი ფილოსოფოსის მარკიანე არისტიდეს (IIს) შრომას. ბუნებრივია, რელიგიის ისტორიის სამ ეტაპად წარმოსახული კონცეფციის წარმომავლობაც ამავე შრომიდან ვივარაუდოთ როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა. არისტიდე თანამიმდევრულად იხილავს ქალდეურ, ეგვიპტურ, ელინურ, იუდაურ და ქრისტიანულ რელიგიებს. პირველი სამი შეიძლება გაერთიანებულ იქნას საზოგადო ტერმინით "სპარსთა რჯული" ანუ წარმართობა. ბოლო ორი ეტაპი კი ზუსტად ემთხვევა.

ახლა "სპარსთა სოფლის" შესახებ. "კაცი ერთი იყო უბიწო და ღმერთის მოყუარე სოფლსა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა" - მსგავსი ფრაზები თხზულებაში გვხდება არაერთხელ: "მე სოფლისა სპარსეთისაჲ ვიყავ, ხევისა არშაკეთისაჲ ქალაქისა განძაკისა ვიყავ", განმარტავს ევსტათი ციხისთავს. იგივეს იმეორებს იგი მარზპანთან დაკითხვაზეც "მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისაჲ, ხევისა არშაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისა". როგორც ვხედავთ "ქვეყანა" და "სოფელი" ურთიერთს ენაცვლებიან, ნუთუ ისინი სინონიმებია? ეს სიტყვები მართლაც იდენტურ შინაარსს ატარებენ, თუმც აქვთ მკვეთრად განმასხვავებელი ნიუანსიც, რის შესახებაც აღნიშნავს ნ.ბერძნიშვილი: ""სოფელი" იგივე "ქვეყანაა", ოღონდ პირველი საბრძანებლის, სასუფევლის მნიშვნელობით, მეორე მიწა-წყლის, პირველში უფლების მომენტია ასახული, მეორეში ამ უფლების ობიექტი".

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ: ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ლაპარაკია არა კონკრეტულად სპარსეთზე, არამედ სპარსთა სამფლობელოზე, საბრძანისზე, იმპერიაზე. ნათქვამის გათვალისწინებით ციტირებული ფრაზა უნდა გააზრებულ იქნას შემდეგნაირად: სპარსთა საუფლოში შემავალ ბაბილონეთის ქალაქში იყო აბრაამი.

აბრაამი რომ ქალდეველთა (ბაბილონელთა) ქალაქ ურში დაიბადა, ეს ცნობილია ბიბლიით. ამრიგად, "მარტვილობის" ინფორმაცია ამ ნაწილში ბიბლიურ ტრადიციასთან სრულ შესაბამისობაშია და არაფერს უჩვეულოს არ წარმოადგენს. ავტორი ბიბლიურ ტრადიციას გადმოსცემს მისი თანამედროვე ისტორიული რეალიების გათვალისწინებით და მისი სპარსოფილური განწყობილება აქ არაფერ შუაშია, რადგან ასე მოიქცეოდა ყოველი ჰაგიოგრაფი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად"[77] ◄

ამ ვრცელი მსჯელობის ჩემი ზემოხსენებული მონოგრაფიიდან ციტირების მიზანი, როგორც ვთქვი, ისაა, რომ მკითხველი დარწმუნდეს: ევსტათის სპარსეთში მოღვაწის შესახებ აზრის დასამტკიცებლად წინამორბედ მკვლევართა მიერ მოშველიებული არცერთი ვითომც არგუმენტი მე არ დამიტოვებია საგანგებო კრიტიკის გარეშე. ასეთ ვითარებაში,

---

77 მ. ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*. გვ. 15-21.

მ.სანაძე შესაძლებლად თვლის საქმე ამოწურულად ჩათვალოს უბრალო განაცხადით იმის თაობაზე, რომ ევსტათის სპარსეთიდან ქართლში ქრისტიანად მოსვლა "ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია აღნიშნულია".

## 23

უცნაურია ჩემი ხსენებული მონოგრაფიისადმი სხვა კოლეგის, კერძოდ, თინათინ ჩიჩუას დამოკიდებულებაც. მისი გამოკვლევისათვის ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალში ამ წიგნსაც ვპოულობთ[78], ოღონდ ნაშრომში მის დამოწმებას ვერსად ვხედავთ. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ის უნდა იყოს, რომ ავტორის მოსაზრებებს ჩემი მტკიცებები ხშირად ხელს უშლის და ისიც თავს არიდებს მათ წარმოჩენას მკითხველისათვის.

შევეცდები დავასაბუთო, რომ ჩემი ეს განაცხადი არაა ლიტონი ბრალდება მკვლევრის მისამართით. თავიდანვე მინდა განვმარტო, რომ (ისევე როგორც მ.სანაძის შემთხვევაში) თ.ჩიჩუას ნაშრომსაც ვიხილავ არა მთლიანად, არამედ ვეხები მხოლოდ რამდენიმე საკითხს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულად ჩემს გამოკვლევაში აღძრულ პრობლემატიკას.

წყაროთმცოდნეობით ძიებებს ავტორი ერთგვარი მობოდიშებით იწყებს: მიუთითებს, რომ იგი, მართალია, არა ამ დარგის, არამედ არქიტექტორის ისტორიის სპეციალისტია, მაგრამ ნახა რა კურიოზამდე მისული თვალსაზრისები, იძულებული შეიქნა თავად მოეკიდა ხელი წყაროების ანალიზისათვის:

> "საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ გაგაცნოთ ჩემი, არქიტექტურის ისტორიის სპეციალისტის მოსაზრება ძველი, ქართული ქრონიკების შესახებ. ვფიქრობ მას გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია. მისი გამოქვეყნება გადავწყვიტე იმიტომ, რომ ჩვენი თანამედროვე მკვლევარების, მწერლების, ხელოვნებათმცოდნეების ნაშრომებში ხშირად კურიოზამდე მისულ გაუგებარ დასკვნებს შევხვდებით "ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ავტორის, სუმბატ

---

78 თ.ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.263

დავითის-ძის ქრონიკიდან ამოღებული ზოგიერთი ცნობის შეუმოწმებელი გამოყენების გამო"[79]

ჩემთვის სავსებით გასაგებია, რომ მკვლევარს გაუჩნდა უკმარობის გრძნობა წყაროთა არაერთი ინტერპრეტაციის გაცნობის შედეგად ჩემი ემოციაც ხშირად იგივე იყო მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იგი "კურიოზებამდე მისული დასკვნების" სანაცვლოდ არცთუ იშვიათად თავადაც "კურიოზებამდე მისულ დასკვნებს" გვთავაზობს.

ერთ-ერთი იმ წყაროთა შორის, რომლის ინტერპრეტაციას ცდილობს თ. ჩიჩუა, არის "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა". მის შეხედულებებთან შეუთავსებელია ტრადიციული თვალსაზრისი ქართლში VIს პირველ ნახევარში მეფობის გაუქმების შესახებ. ამიტომ მას, ცხადია, შეეძლო უბრალოდ დაემოწმებინა ჩემი ნაშრომი, რომელიც ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ძეგლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას VIს I ნახევარში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების გაუქმების დასამტკიცებლად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი უფრო გვიანი ეპოქის რეალობის აღმწერია და გვიანაც არის შექმნილი. მაგრამ თ. ჩიჩუა ამჯობინებს ამის გარეშე გაიდეს ფონს. იგი იღებს "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" დაწერის ტრადიციულ დათარიღებას, ხოლო იმისათვის, რომ თავისი თვალსაზრისი ამ დროს ქართლში ადგილობრივი უზენაესი ხელისუფლების არსებობის შესახებ "გადაარჩინოს", თვლის, რომ ეს ძეგლი სულაც არაა უმეფობის ეპოქის ამსახველი, რომ ამ დროს იყო ერისმთავარი, ოღონდ იმიტომ არ ჩანს არსად, რომ იგი ქართლში არ იმყოფებოდა. იგი მიუთითებს:

> "ასეთმა ვითარებამ განაპირობა თვითონ მოგვეძიებნა მასალები არა მარტო ამ მეფეების შესახებ, აგრეთვე გვენახა ის წყაროები, რომლის მიხედვით იქნა ქართლში უმეფობა მიჩნეული. ერთ-ერთი მთავარი წყარო არის უცნობი ავტორის მიერ VI საუკუნეში დაწერილი "ევსტათი მცხეთელის წამება". მის მიხედვით იქნა ქართლში 40-იან წლების შემდეგ კვლავ უმეფობა

---

[79] თ. ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 87.

დადასტურებული. ჩვენ თავს უფლებას მივცემთ ეჭვი შევიტანოთ ამ მოსაზრების სისწორეში.'[80]

წყაროს ამგვარი ინტერპრეტაცია, როგორც მ.სანაძის თვალსაზრისის კრიტიკისას უკვე ვაჩვენე, მცდარია. "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" აღწერილია ქართლის პოლიტიკური განვითარების ისტორიაში სპეციფიკური პერიოდი: დრო, როცა არც მეფის, არც ერისმთავრის ხელისუფლება არაა ქართლში.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ არ თვლის საჭიროდ თ.ჩიჩუა დაიმოწმოს ჩემი წიგნი, როცა, უეჭველია, რომ მას იცნობს. ეს აშკარაა როგორც ითქვა, თუნდაც მისი ნაშრომისათვის დართული ლიტერატურის სიიდან.

ხდება ხოლმე, რომ მკვლევარს გამორჩება წინამორბედის ნაშრომი და მის მიერ ადრე გამოთქმული თვალსაზრისის იგნორირების მიზეზი ესაა. აღნიშნული გარემოება კიდევ გასაგებია, და, ასე განსაჯეთ, უფრო საპატიებელიცაა ("არცოდნა არცოდვაა"), თუ მხედველობაში მივიღებთ სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრების სიდუხჭირეს დღევანდელ საქართველოში, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს აკადემიური სიახლეების სწრაფ ცირკულირებას. ამიტომაა, რომ ამგვარი უნებლიე ლაფსუსისაგან დაზღვეული არავინ შეიძლება იყოს. მაგრამ, როცა მკვლევარმა იცის, რომ არსებობს სხვა თვალსაზრისი და მას მაინც დუმილით უვლის გვერდს, ეს მართლაც საგანგაშოა.

საქმე, როგორც ირკვევა, შემდეგია: მართალია, კონკრეტულად "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობასთან" დაკავშირებით გამოთქმული ჩემი დასკვნა კი არის ხელშემწყობი თ.ჩიჩუასათვის, მაგრამ ჩემს ზემოხსენებულ წიგნში წარმოდგენილი სხვა დასკვნები მას აშკარად პრობლემას უქმნის, უფრო ზუსტად, საერთოდ გამორიცხავს თ.ჩიჩუას თვალსაზრისის მიღების შესაძლებლობას; ამიტომაც, ჩანს, მკვლევარი ამჯობინებს ამგვარი შედეგების მქონე გამოკვლევისათვის საერთოდ გვერდის ავლას.

მე უკვე წარმოვადგინე ნაწილობრივ და ქვემოთ კიდევ მოვიყვან იმ მსჯელობას, რომელიც შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით იყო მოცემული ჩემს წიგნში, მაგრამ მანამდე

---

[80] თ.ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 137.

მსურს მკითხველს გავაცნო თუ რას ამტკიცებს თ. ჩიჩუა, რომ მან თვალნათლივ დაინახოს, რატომ არ აძლევს ხელს მკვლევარს პოლემიკა აწარმოოს ჩემთან ანდა, თუნდაც თანხმობის შემთხვევაში, დაიმოწმოს ჩემი ნაშრომი.

მთავარი თ. ჩიჩუას მტკიცებებში ისაა, რომ გამოკვეთოს გურამ კურაპალატის უპირატესი წვლილი ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში. ეს მისთვის ყველაზე არსებითია, ვფიქრობ, იმიტომ, რომ პ. მურადიანისნაირ მეცნიერებს, რომლებიც ა. ბოგვერაძის სიტყვები რომ გავიმეორო, ამტკიცებდნენ, რომ "სომხური ტაძრები ქართულ ტაძრებზე უძველესია", სრულიად გამოაცალოს საფუძველი:

"ასეთი დათარიღება ტენდენციური და ჩვენთვის, რასაკვირველია, მიუღებელია. ტენდენციურობა იმაში ჩანს, რომ ამ მეცნიერებმა თუ ჩვენ ქრონიკებში ამოკითხეს VII საუკუნის 20-იან წლებში წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის მშენებლობის ფაქტი, მაშინ რატომ არ ამოკითხეს იქვე ახლოს დაწერილი, მეორე ცნობა იმის შესახებ, რომ ჯვრის ტაძრის მშენებლობა გურამ კურაპალატს VI საუკუნეში დაუწყია. მათ ამოკრიფეს ის, რაც მათ აწყობდათ მშენებლობის დასაწყისის დადგენისათვის მიბაძს აკად. გიორგი ჩუბინაშვილს, რომელმაც გურამ კურაპალატი არ ჩათვალა წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის მშენებლად მშენებლობის დამთავრების შესახებ ცნობები კი ამოიღეს ქართული ქრონიკებიდან. წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის ქტიტორად გურამ კურაპალატის არჩათვლა და მისი მხოლოდ მცირე ტაძრის მშენებლად მიჩნევა, ჩვენი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ ტაძრის კედელზე მის გამოსახულებას არ ვხედებით ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები გურამ კურაპალატის გამოსახულების არარსებობის გამო. უფრო დაზუსტებით გვესაუბრა გამოსახული ქტიტორების ვინაობის შესახებ ორი მიზეზის გამო ჯერ ერთი, სინამდვილე ტაძრის მშენებლობის შესახებ განსხვავებულია აქამდე მიღებულისაგან. მეორე და მთავარი მაინც ისაა, რომ "ქართლის ცხოვრების" ცნობების საფუძველზე წარმოდგენილი წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის მშენებლობის ისტორია, არა მარტო

გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას მის შესახებ, არამედ ის მის ღირსებებს ახალ ელფერს შესძენს.’[81]

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში გუარამ კურაპალატის ღვაწლის საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ლიტერატურის გაცნობისას მკვლევარს უთუოდ გაუჩნდებოდა კრიტიკული დამოკიდებულება. როგორც ნაშრომიდან მოყვანილი ციტატითაც კარგად ჩანს, სპეციალისტთა ერთი ნაწილი უგულვებელყოფდა რა წყაროთა პირდაპირ ცნობას (იმის შესახებ, რომ გუარამის ზეობაში ჩაეყარა საფუძველი ტაძარს), გუარამ ერისმთავრის სახელთან აკავშირებდა არა მთავარი ტაძრის, არამედ იქვე არსებული მცირე ნაგებობის მშენებლობას. ეს იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროთა ჩვენებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი (სამწუხაროდ, სულაც არა ერთადერთი) შემთხვევა. სწორედ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ნაკლის, და არა წყაროთა ხარვეზის, მიზეზით მთლიანად იყო დაცილებული მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობა გუარამის სახელს და ჩემთვის, ვიმეორებ, გასაგებია მკვლევრის სურვილი აღმოფხვრას ეს გაუგებრობა.

მაგრამ ცუდია, როცა იგი თავადაც იგნორირებს წყაროებს. მაგალითად, გუარამის ზეობას VI საუკუნეში მიიჩნევს სრულიად უეჭველ ფაქტად მაშინ, როცა ამ შემთხვევაში ყველაზე სანდო წყაროს – “მოქცევაჲ ქართლისაჲს” მიხედვით, გუარამის ერისმთავრობა მოდის VIIს ათიანი წლების მიწურულსა და 20-იანი წლების დასაწყისზე. როგორც ვხედავთ, ჩიჩუამაც, სამწუხაროდ, “ამოკრიფა ის, რაც აწუხებდა”. ამასთან მკვლევარი მეორე უკიდურესობაში ვარდება, და გუარამს ტაძრის მშენებლობაში განსაკუთრებულ როლს მიაწერს. გუარამის განდიდებას კი იგი ცდილობს ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში მომდევნო ერისმთავარ სტეფანოზ I დამსახურების დაკნინების ხარჯზე. აი, აქ ჩნდება განსაკუთრებული სიმკვეთრით, რომ ჩემი გამოკვლევა, რომელშიც სტეფანოზ I პიროვნებას ცალკე თავი ეძღვნება და რომელშიც სტეფანოზის პოლიტიკური პორტრეტი

[81] თ. ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 86-87.

დიამეტრალურად განსხვავებულია იმისაგან, რასაც ხატავს თ. ჩიჩუა, ხელის უშლის მკვლევარს.

თ. ჩიჩუა იზიარებს "ქართლის ცხოვრების" ცნობას სტეფანოზ I "ურწმუნოების" შესახებ, ამიტომ შეუძლებლად თვლის, რომ მას რაიმე წვლილი მიუძღვოდეს ამ ტაძრის მშენებლობაში. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენე, ჯუანშერის ამ ცნობას ეწინააღმდეგება ეპიგრაფიკული წყაროების მონაცემები, კერძოდ, მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადის უკვე ნახსენები სამნაწილიანი რელიეფური კომპოზიცია და მისთვის თანდართული წარწერები. კომპოზიციის ცენტრში სტეფანოზია გამოსახული და სრულიად აშკარაა, რომ იგი შემთხვევით პიროვნება არ შეიძლება იყოს. ამ ადგილას მისი გამოსახვა მეტყველებს სტეფანოზის განსაკუთრებულ ღვაწლზე ტაძრის მშენებლობაში. ასევეა მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში. იგი ჯვარის მეოხებას შესთხოვს და ურწმუნო სულაც არა ჩანს.

როგორ უვლის გვერდს ამ წინააღმდეგობას თ. ჩიჩუა? ძალზე მარტივად იგი ამბობს, რომ აღმოსავლეთ ფასადის რელიეფური კომპოზიციის ცენტრში გამოსახული სტეფანოზი არის სტეფანოზ II და არა სტეფანოზ I. უარყოფს რა სუმბატ დავითის ძის პირდაპირ ჩვენებას, თ. ჩიჩუასათვის ამოსავალი ხდება ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობა, რომლის მიხედვითაც ადარნერსე და სტეფანოზ I სხვადასხვა ფეოდალური სახლების წარმომადგენლებია:

> "როგორც უკვე აღვნიშნეთ ქართული ქრონიკების მონაცემების მიხედვით წარმოდგენილი სტეფანოზ I-ისა და ადარნასეს ცხოვრება გამორიცხავს შესაძლებლობას რომელიმე მათგანს მეორე თავის გვერდით გამოესახა; ამიტომ სწორი იქნება თუ აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ კომპოზიციაში გამოსახულ სტეფანოსს მივიჩნევთ სტეფანოზ II-დ"[82]

თუმცაღა, როგორც მკვლევრის შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, ერთ სურათზე დაპირისპირებული ფეოდალური სახლის წარმომადგენლების გამოსახვა მას სინამდვილეში

82 თ. ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი.* გვ. 84.

სულაც არ მიაჩნია შეუძლებლად კერძოდ, ასეთია მისი პოზიცია, როდესაც საქმე შეეხება სტეფანოზ I ძმას დემეტრეს:

> "თუ ადარნასე და სტეფანოზ II, მამა-შვილი ერთი ოჯახის წარმომადგენლებია, მათ გვერდით დემეტრეს, დაპირისპირებული ოჯახის წარმომადგენლის გამოსახვას მხოლოდ ერთი ახსნა გააჩნია – მისი დიდი დამსახურება ტაძრის მშენებლობაში. ქართულ წყაროებში არსებული მონაცემების გაანალიზებამ და დემეტრეს მშენებლობის ხელმძღვანელად წარმოჩინებამ, მისი, როგორც არქიტექტორის წარმოდგენის შესაძლებლობა განაპირობა.'[83]

ამ უკანასკნელის გამოსახულების არსებობას კომპოზიციაში, როგორც ვხედავთ, თირწა ხსნის დემეტრეს განსაკუთრებული დამსახურებით ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში. დემეტრეს შესახებ ამგვარი მსჯელობით მკვლევარი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში ვარდება: თუ დემეტრეს (მისი აზრით სხვა სახლის წარმომადგენლის) სტეფანოზ II და ადარნერსესთან ერთად კომპოზიციაში გამოსახვას ეკლესიის მშენებლობაში დემეტრეს დამსახურებათა მიზეზით შესაძლებლად მიიჩნევს, გაუგებარი ხდება იგივე საქმეში დამსახურება სტეფანოზს I რატომ არ "შველის" თირწას თვალში. 'მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, ხომ მშენებლობის უმეტესი ნაწილი სწორედ სტეფანოზ I ზეობაზე მოდის! რატომ უნდა გამორიცხულიყო მისი გამოსახვის შესაძლებლობა რელიეფურ კომპოზიციაში იმ შემთხვევაშიც კი, აზრი სტეფანოზის I და ადარნერსეს სახლების დაპირისპირებულობის შესახებ მართალიც რომ იყოს?! თირწას კონცეფციისათვის ლოგიკური იყო, რომ არც დემეტრეს გამოსახვა მიეჩნია შესაძლებლად. მკვლევარი ვერ ამჩნევს, რომ დემეტრეს შესახებ მისი შეხედულება მთლიანად უკარგავს აზრს მის მსჯელობას სტეფანოზ I დაკავშირებით.

თირწა არ სვამს კითხვას, ხომ არ შეიძლება რომ სუმბატ დავითის ძე იყოს მართალი, რადგან თუ ამ ისტორიკოსის მიერ მოწვდილი ინფორმაცია სწორია, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება. აღნიშნულ პირთა შორის

---

[83] თირწა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.249.

ნათესაური კავშირის არარსებობის და მცხეთის ჯვრის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე სტეფანოზ I მოუხსენებლობის მტკიცებით კი თინიჩუა აბსურდულ ვითარებას იღებს: ერთ კომპოზიციაში ორჯერ სხვადასხვა ასაკში და სტატუსში გამოსახული გამოდის სტეფანოზ II – ერთხელ ცენტრში, როცა ის ზრდასრული პიროვნებაა, საფიქრებელია, ერისმთავარია და მეორეჯერ მარცხნივ, მამის წინ მდგომი ყმაწვილის სახით, როცა ერისმთავარი ჯერ კიდევ მამამისია. ვითარება, რომელიც იხატება, თინიჩუას მიხედვით, არ აკმაყოფილებს არც მეცნიერულ, არც საღი აზრის ლოგიკას: რატომღაც მამა (ადარნერსე) ყმაწვილ სტეფანოზ II ავედრებს თავად სტეფანოზ II, ოღონდ უკვე ზრდასრულს:

> 'მთავარ სტეფანოზ II-ის პიროვნებასთან დაკავშირებით ტაძარზე ასახულმა რელიეფებმა ერთი საინტერესო ფაქტის წინაშე დაგვაყენა. საქმე შემდეგშია: აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ რელიეფებში სტეფანოზ II ორჯერ არის გამოსახული: ერთხელ – მაცხოვრის წინაშე მუხლმოდრეკილი (ცენტრში) და მეორეჯერ – მამის, ადარნასეს წინ. მისი ძის სახით (მარჯვნივ). სამხრეთის ფასადზე ისევ მისი გამოსახულებაა, მისი მფარველი წმინდანის, სტეფანეს წინ მუხლმოდრეკილი. ტაძრის კედლებზე გამოხატული სახელდებული ქტიტორების სულ ოთხი კომპოზიციაა, სადაც სტეფანოზ II სამჯერ არის გამოსახული.'[84]

ის რომ მკვლევარს სათანადოდ გააზრებული არა აქვს თავისი პოზიცია სტეფანოზ II დაკავშირებით, ამას მის მიერ დაშვებული სხვა უზუსტობაც მოწმობს: უკანასკნელად მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ, თინიჩუას აზრით, ეკლესიის სამხრეთ ფასადზეც სტეფანოზ II არის გამოსახული თავისი მფარველი წმინდანის წინაშე მუხლმოყრილი. მაგრამ სხვა ადგილას ეს აზრი მკვლევარს ავიწყდება, კერძოდ, აღარ ახსენდება, რომ ქობული და სტეფანოზ II გააიგივა და მიუთითებს, რომ დაუდგენელია, თუ ვინ არის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე გამოსახული ქობული:

---

84 თინიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.99.

"ყველა ზემოთქმული ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსახსენებელი ფილების ჩასმა დამთავრებულ ნაგებობაში არც თუ უცხო მოვლენა იყო და ადარნასესა და სტეფანოზის მსგავსად მათ შემდეგ აკეთებს ამას სხვა, ჯერჯერობით <u>დაუდგენელი პიროვნება</u> (ხაზი ჩემია – მ.ჩ), ქობული."[85]

კვლავ თ ჩიჩუას მოვუსმინოთ

"როდესაც დაგვჭირდა წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის დათარიღებასთან დაკავშირებით, თანადროული ეპოქის შესწავლა, პირველ რიგში, ჩვენთვის სანდო ვახუშტი ბატონიშვილის შრომას მივმართეთ შემდეგ კი ჯუანშერის ქრონიკაში ანალოგიური პერიოდის შესწავლამ და ვახუშტის ისტორიასთან შედარებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომელიც წარმოდგენილ ნაშრომშია მოცემული. თუ ჩვენი დასკვნები მომავალში გამართლდა და მიღებულ იქნა, ეს ამ შრომების გარკვეული ღირსებების დადასტურება იქნება, რასაც ვერ ვიტყვით "ქართლის ცხოვრების" მეორე ავტორის – სუმბატ დავითის ძის მიერ ამავე პერიოდის აღწერის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ თითქოს უცბათ წამოსროლილ ფრაზებს გაწვდის. მისი ნათქვამი, რომ ადარნასე სტეფანოზის შვილია, ზოგიერთი ჩვენი თანამედროვის მიერ სიმართლედ მიღებული უხერხული გაუგებრობის მიზეზი გახდა. მაგალითად, ერთ ავტორს ასეთი სურათი აქვს დახატული: ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, ცენტრში, ქრისტეს წინაშე ხელაპყრობილი გამოსახულია სტეფანოზი I; მის აქეთ და იქით ძმა და შვილი, დემეტრე და ადარნასეა. იგივე ავტორი ცოტა ზევით, ჯვრის კომპლექსის დამწყებად (მცირე ტაძრის მშენებლად) გუარამ კურაპალატს ასახელებს, ოღონდ ის ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ რელიეფზე ადარნასეს წინ პატარა ფიგურის სახით მისი შვილია გამოსახული. ახლა შეარიგეთ ყველაფერი ერთად და წარმოიდგინეთ გასაოცარი შედეგი: დიდი ტაძრის მთავარ ფასადზე წარმოდგენილია გუარამ კურაპალატის

[85] . თ.ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 97.

ოჯახი, მთელი სისრულით – შვილები (სტეფანოზ I და დემეტრე), შვილიშვილი ადარნასე და შვილთაშვილიც კი, თვითონ კომპლექსის დამწყები მთავარი, გუარამ კურაპალატი არსად არა ჩანს. რამდენად რეალურია ასეთი ფაქტის არსებობა, ვფიქრობ მკითხველი თვითონ დაასკვნის. სუმბატ დავითის-ძის ქრონიკიდან ამოღებული სხვა ცნობის მიხედვით მეორე გაუგებრობაც გვხდება სხვა ავტორის ნაშრომში ... ამ მიზეზების გამო ჩვენ უარი ვთქვით ამ მემატიანეს მიერ მოწოდებულ ცნობებზე და ჩვენი დასკვნების ძირითად წყაროდ ჯუანშერისა და ვახუშტ ბატონიშვილის შრომები მივიჩნიეთ ... გუარამ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც VI საუკუნის მიწურულს უნდა მომხდარიყო, ქართლის მთავრად მისი ძე სტეფანოზი ხდება. მის შესახებ მემატიანეს უწერია: “ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა მსახურა ღმერთსა, არცა მატა სჯულსა და ეკლესიათა”. ეს ის ცნობილი სტეფანოზ I-ა, რომელიც წმ. ნინოს ჯვრის ტაძრის ფასადზე წარმოდგენილ ქტიტორთა კომპოზიციის ცენტრში ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილ სტეფანოზად არის ჩათვლილი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა მიღებული.'[86]

როგორც ვნახეთ, ჩემს წიგნში ვაჩვენებდი, რომ ჯუანშერი ტენდენციურია სტეფანოზ I შეფასებისას და იმასაც ვაჩვენებდი თუ რატომ არის იგი ტენდენციური. თიჩრუას მართებდა ჩემი არგუმენტაცია განეხილა და მერე ემსჯელა დამაჯერებელია თუ არა აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილი რელიეფური კომპოზიციის შესაბამისი ინტერპრეტაცია. ისე კი მართლა გასაოცარია, რა არის აქ გაუგებარი, თუნდაც საღი აზრის დონეზე რომ განვიხილოთ საქმე: ოჯახური პორტრეტია, მერე რა რომ ქვაში, ამით არსი არ იცვლება. ცენტრში ოჯახის გარდაცვლილი უფროსია. მარჯვნივ მისი ძმა, რომელიც აშკარად არაა დინასტიის გამგრძელებელი, მარცხნივ კი, ოჯახის უფროსის შვილი შვილიურთ შვილი, რომ თავის მხრივ შვილთან ერთადაა წარმოდგენილი, ძალიან

[86] თიჩრუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კომპოზიციური ანალიზი*, გვ. 87-89,95

მნიშვნელოვანი დეტალია: მას, ვისაც მემკვიდრისათვის მეოხების ისტორიის საჭიროება აქვს, ცხადია, ის იმყოფება სურათის გაკეთების დროისათვის ტახტზე. ჩანს, შვილმა მამის სურათი ცენტრში მოათავსებინა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ წლოვანებით მასზე უფროს და უახლოეს ოჯახის წევრს ეხებოდა საქმე, მეორე, იმიტომ რომ ეს ასაკით უფროსი, უახლოესი ნათესავი გარდაცვლილი იყო, მესამე, იმიტომ რომ ეს გარდაცვლილი ასაკით უფროსი, უახლოესი ნათესავი დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო და მეოთხე, იმიტომ რომ ჯვრის ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ ბ.ბ.ს დროს ჩაეყარა საფუძველი და თავად შვილის დროს დასრულდა (გარკვეული სამუშაოები შვილიშვილის დროსაც კი გრძელდებოდა), არსებითად მამის მოღვაწეობის პერიოდში იქნა აშენებული. ე.ი. ის, ვინც უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში ჯვარს აშენებდა, მის დასრულებას ვერ მოესწრო. და შვილმა, სწორედ ის გამოსახა ცენტრში და არა თავის თავი. რა არის აქ არაბუნებრივი ან გაუგებარი?! ბ.ბ კი იმიტომ არ გამოსახა ამ შვილმა, რომ რეალურად ბ.ბ.ს ეკლესიის მშენებლობაში იმდენი დამსახურება არ მიუძღოდა, რაც მამას, და უფროს-უმცროსობის გათვალისწინებით (ეს მომენტი ოჯახის წევრებს შორის ყოველთვის მხედველობაში მიიღებოდა: დემეტრე ადარნერსეზე წინ იხსენიება ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში, ჯვრის ეკლესიის ფასადის წარწერაშიც) სწორედ ის მოხვდებოდა ცენტრში. შვილს კი უნდოდა მამის დამსახურება წარმოეჩინა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ მას მიუძღოდა გადამწყვეტი როლი ამ მშენებლობაში. არაა გამორიცხული ისიც, რომ მამის დამსახურების ხაზგასმას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებდა მის წინააღმდეგ ცენტრიდანული ოპოზიციის შემოტევა, რომლის ბრალდებების გამოხატული უნდა იყოს სწორედ ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ შექმნილი სტეფანოზ I უარყოფითი პორტრეტი.

მკითხველს ეხსომება, რომ ა.ბოგვერაძეს ზედმეტად მიაჩნდა ჩემი ძიებანი სტეფანოზ I და ადარნერსეს მამა-შვილობის დასამტკიცებლად ჩემი წვლილი ამ სფეროში რომ არ დაეფასებინა, მიუთითებდა, რომ, ეს ფაქტი ისედაც არ იყო საეჭვო როგორც ვხედავთ, არათუ ჩემი წიგნის გამოქვეყნების დროისათვის. ე.ი. ათი წლის წინ, ზოგიერთისათვის ეს საკითხი დღესაც პრობლემად არის ქცეული ქართველოლოგიაში.

და კიდევ თჩიჩუას მსჯელობა, რომელიც აჩვენებს მის უპირობულოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას სუმბატ დავითის ძის ნაშრომის, როგორც საისტორიო წყაროსადმი:

> "აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც გარკვეულ გაუგებრობას ქმნის. "ქართლის ცხოვრების" სხვა ნაწილში, რომელიც სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის სახითაა ცნობილი, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის აღწერისას ასეთი ცნობა არის დაცული: "და ვიდრე მოსვლამდე მისსა ტფილისის ეკლესია სიონი განესრულა, ხოლო ჯუარისა ეკლესიას აკლდა". ეს ფრაზა ერთი შეხედვით მართლაც გააოცებს ადამიანს; მეორე ქართველი ისტორიკოსის – ჯუანშერის ცნობასთან შედარებით ის საპირისპირო ხასიათისაა. ერთის აზრით, ჰერაკლე კეისრის სპარსეთიდან ქართლში უკან დაბრუნების დროს ჯვრის ტაძარი დასრულებული იყო მეორის ცნობით კი ჯვრის ეკლესიას დამთავრება აკლდა. ტენდენციურად განწყობილი მეცნიერი, როგორც ეს ზემოხსენებული სომეხი ავტორების წიგნიდან მოტანილ ციტატაში ვნახეთ, ყოველგვარი ზედმეტი ძიების გარეშე ლებულობს ამ ცნობას. ობიექტური მკვლევარი კი ცდილობს გაიგოს, რამ გამოიწვია ეს განსხვავება და განაგრძობს ძიებას. ცოტა მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ იმავე "ქართლის ცხოვრებაში" ჯუანშერთან წაიკითხო სხვა ცნობა, რომელიც ჰერაკლე კეისრის ქართლში დაბრუნების შემდგომ, ახლო პერიოდს ეხება და სადაც აღწერილია ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზ II-ს მიერ ჩატარებული სამუშაოები: ტაძრის გალავნით შემოზღუდვა და იქ დარბაზის აშენება. ცოტა დაფიქრებაა საჭირო, რომ მიხვდე, რატომ გაჩნდა სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში სიტყვა "აკლდა". მემატიანემ იმ დროს იქ მშენებლობა <u>ნახა</u> (ხაზი ჩემია – მ.ჩ). ტაძარი კი იყო დამთავრებული, როგორც ამას აღნიშნავს ჯუანშერი, მაგრამ სატაძრო კომპლექსი: დარბაზი და გალავანი შენდებოდა და ეს ყველაფერი მან ერთი მოკლე სიტყვით – "აკლდათ" აღნიშნა."[87]

---

[87] თჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კომპოზიციური ანალიზი*, გვ. 101-102.

ეს წყაროთმცოდნეობითი ძიებანი განსაკუთრებით თვალშისაცემი არაპროფესიონალიზმითაა აღბეჭდილი. თ. ჩიჩუას მიხედვით, სუმბატ დავითის ძეს შეეძლო ყოფილიყო სტეფანოზ II მიერ წარმოებული მშენებლობების უშუალო მოწმე. მკვლევარს მხედველობიდან რჩება, რომ სუმბატ დავითის ძე XI საუკუნის ისტორიკოსია, ხოლო სტეფანოზ II მოღვაწეობს VIIს შუა ხანებში! როგორ შეეძლო ამ ისტორიკოსს სტეფანოზ II დროს მიმდინარე მშენებლობის ნახვა?!

მკვლევარს, როგორც ვხედავთ, სურს დაგვარწმუნოს, რომ არ უნდა ვენდოთ სუმბატ დავითის ძეს. იგი ამ წყაროს კრიტიკისათვის იმოწმებს „მოქცევაჲ ქართლისაჲსაც", ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამ უკანასკნელში პირდაპირი ცნობა სტეფანოზ I და ადარნერსეს მამა-შვილობის შესახებ არ არის:

“დღეს მიღებული ვერსიით მამა არის სტეფანოზ I და ის არის გამოსახული რელიეფზე, გვერდით კი მისი შვილი ადარნასეა. ამის არასაიმედო საფუძველი კი სუმბატ დავით-ძის ქრონიკაში ნათქვამი რამდენიმე სიტყვაა: „შემდგომად მისსა მთავრობდა ადარნასე, ძე მის სტეფანოზისი". აქაც სიმ. ყაუხჩიშვილი ამ ქრონიკის კომენტარებში ხშირად წყაროდ მიანიშნებს „მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკას. ეს ადგილიც გადმოღებულია აღნიშნული ქრონიკიდან, ოღონდ “ძე სტეფანოზისი” თვითონ სუმბატის დამატებულია და დამატებულია მიზანდასახულად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას, ბაგრატონთა სახლის ცხოვრების აღმწერს, აქ თხრობა უნდა შეეწყვიტა, რადგან ადარნასე ამ სახლის წარმომადგენელი არაა. ბაგრატიონები რამდენიმე მეფის შემდეგ ადიან ისევ ქართლის ტახტზე. საფიქრებელია, მათ ზეობის ასეთი გაწყვეტილი წარმოდგენა მას არ აწყობდა.’[88]

მე უკვე აღვნიშნე, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია გავიმეორო: მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" არ შეიცავს პირდაპირ ცნობას იმის თაობაზე, რომ სტეფანოზ I და ადარნერსე მამა-შვილია, მაგრამ არც გამორიცხავს, პირიქით,

---

88 თ. ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 188-189.

გულისხმობს: რადგან წესით მამიდან შვილზე გადადიოდა ტახტი, როცა აღნიშვნა არ არის, საფიქრებელია, დუმილი იგივე წესის განმეორებას ნიშნავდეს. ამავე დროს ორობი ინფორმაციით მიგვენიშნება, რომ ეს ასეა: ადარნერსეს ძე რომ არის სტეფანოზ II, ამაზე არავინ დავობს. ხოლო ის ფაქტი კი, რომ მისი სახელი ემთხვევა მამამისის წინამორბედის სახელს, იმის მიმანიშნებელია, რომ ეს მამის წინამორბედი ანუ სტეფანოზ I, მისი პაპა. ტრადიციულად შვილიშვილი იღებს პაპის სახელს. ეს ასეა ქართულ სინამდვილეში დღემდე, ასე იყო ძველ საქართველოშიც გავიხსენოთ პაპა ბაგრატ ქართველთა მეფე და მისი შვილიშვილი გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III და ამ უკანასკნელის შვილიშვილი ბაგრატ IV; პაპა გიორგი I და მისი შვილიშვილი გიორგი II და ა.შ.

თუმც მთავარი მონაცემი სუმბატ დავითის ძის ინფორმაციის შესამოწმებლად მაინც არის მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში სტეფანოზისა და ადარნერსეს ერთად მოხსენიების ფაქტი.

მაგრამ ვიდრე სტეფანოზისა და ადარნერსეს მამა-შვილობის შესახებ მტკიცებულებებზე საუბარს გავაგრძელებდე, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ამ წარწერის ჟანრობრივ კვალიფიკაციაზე. მას რატომღაც ეკლესიას აკუთვნებენ და ქტიტორულ წარწერად განიხილავენ. კვარცხლბეკზე არსებული სომხურ წარწერასთან დაკავშირებული აჟიოტაჟიც სწორედ იმის მიზეზით იყო ატეხილი, რომ, ზოგი მკვლევრის აზრით, კვარცხლბეკი არის ის ადგილი, სადაც ეკლესიის ქტიტორული წარწერები შეიძლება განთავსდეს. მე მგონი ზედმეტია განმარტება, თუ რას ეწოდება ქტიტორული წარწერა, მაგრამ, მაინც დავაზუსტებ, რომ ქტიტორული არის წარწერა, რომელიც ნაგებობის მშენებლობაში პიროვნების წვლილს მიუთითებს. აშკარაა, რომ ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკის წარწერა, რომელიც ამ ჯვრის შემკობას მიუთითებს, არ შეიძლება ეკლესიის ქტიტორულ წარწერად დავსახოთ.

მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, როგორც ითქვა, ესაა წარწერა, რომელიც აფიქსირებს აღნიშნულ პირთა წვლილს ჯვარპატიოსნის და არა ეკლესიის შემკობაში. ესაა მემორიალური წარწერა, ამიტომ ნათესავების გარდა გამორიცხულია ვინმე იყოს იქ მოხსენიებული. სწორედ ეს ორობი ინფორმაცია არის აქ გადამწყვეტი. ჩალექსიძმ,

რომელიც იზიარებს სტეფანოზის და ადარნერსეს სხვადასხვა სახლისადმი კუთვნილების შესახებ აზრს (უფრო სწორედ იზიარებდა: როგორც ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მისი გამოკვლევა აჩვენებს, ზალექსიძემ თვალსაზრისი სტეფანოზ I და ადარნერსეს, როგორც დაპირისპირებული ფეოდალური სახლების წარმომადგენლების, შესახებ უარყო. მაგრამ ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით), არსებითად სწორედ "ქართლის ცხოვრების" მონაცემების გათვალისწინებით ჩათვალა შესაძლებლად "ყოვლისა სახლისა" მაგიერ ამოეკითხა "ყოვლისა ქართლისა". ე.ი. ეს წაკითხვა ემყარება "ქართლის ცხოვრების" არასწორ ინფორმაციას. მაგრამ თინიკოს სურს, პირიქით, ამ ამოკითხვით დაადასტუროს "ქართლის ცხოვრების" ცნობა:

> "კვარცხლბეკის ქართულენოვანი წარწერის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელმაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ყველა მკვლევარი შემორჩენილ თერთმეტსტრიქონიანსა და ასოებდაზიანებულ ტექსტს ერთნაირად კითხულობს, გარდა აკად. ზალექსიძისა. მას აქვს განსხვავებული მოსაზრება მხოლოდ ერთი სიტყვის წაკითხვის შესახებ. ნაცვლად "ყოვლისა სახლისა მცველად", ის კითხულობს "ყოვლისა ქართლისა მცველად" და ამ შეცვლის საფუძვლად სამართლიანად აღებულია ის მოსაზრება, რომ ადარნასე და სტეფანოზ I სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები არიან და ამიტომ ტექსტში არ იქნებოდა ვედრება მათი გაერთიანებული სახლის დასაცავად. აკად. გ.ჩუბინაშვილის მიერ ჯვრის ტაძრის დათარიღების შემდეგ დამკვიდრდა აზრი სტეფანოზ I და ადარნასეს მამა-შვილად ცნობის შესახებ. პირველად აკად. ზალექსიძის ნაშრომში, "ეპისტოლეთა წიგნის" კომენტარებში შევხვდით მიღებულისაგან განსხვავებულ აზრს. ის წერს: "მოქცევაი"-ს ავტორს სტეფანოზსა და ადარნერსეს შორის მემკვიდრეობის ხაზი გაწყვეტილი აქვს, თორემ სხვაგან იგი ყველგან ხაზს უსვამს ნათესაურ დამოკიდებულებას. ჩანს, სუმბატ დავითის ძე არ არის მართალი, როცა ადარნასეს სტეფანოზის ძედ აცხადებს ... ჯვრის პოსტამენტის წარწერაში "ყოვლისა სახლის" ამოკითხვამ დაარწმუნა გ.ჩუბინაშვილი, რომ სტეფანოზი, დემეტრე და ადარნასე ძმები არიან ...

ვ.ჯობაძის შეხედულებითაც ამ წარწერის მთავარი ღირსება ის არის, რომ სტეფანოზს, დემეტრესა და ადარნასეს ერთი გვარის წარმომადგენლად აცხადებს". ზალექსიძის მიერ წარმოდგენილ კვლევას ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას მივაქცევთ იმიტომ, რომ სიტყვა "სახლის" ამოკითხვის უარყოფამ, სტეფანოზ პირველისა და ადარნასეს, როგორც ერთი სახლის წარმომადგენლებად მიჩნევა გააბათილა. "ქართლის ცხოვრებიდან" მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სტეფანოზ I და ადარნასე არა თუ მამა-შვილი, არამედ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი პიროვნებები ყოფილან, გახდა ის საფუძველი, რომელზედაც ავაგეთ ჩვენი ადრე გამოქვეყნებული კვლევით წარმოდგენილი ტაძრის ახალი დათარიღება.'[89]

აქ თ. ჩიჩუას მხედველობიდან რჩება, რომ ლოგიკური წრის შემცველი მტკიცება გამოუდის: ნარატიული წყაროს ცნობის შემოწმებას ცდილობს ეპიგრაფიკული წყაროს საფუძველზე. ამ უკანასკნელის ამოკითხვა კი სწორედ ამავე ნარატიული წყაროს ზუსტად იგივე ცნობას ემყარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თ. ჩიჩუა იმოწმებს სინას მთის ხელნაწერს, სადაც პირდაპირ არის გამოთქმული ის აზრი, რომელსაც მე ვამტკიცებდი. თავისთავად ეს მტკიცება კი იმისათვის დამჭირდა, რომ სხვა წყაროში არსებულ პირდაპირ ინფორმაციას, კერძოდ, სუმბატ დავითის ძის თხზულებაში დაცულ ცნობას, არ ეკიდებოდნენ ნდობით ახლა მეორე წყაროთიც პირდაპირ დადასტურდა იგივე ფაქტი, რომელზედაც, როგორც ითქვა, ირიბად მიუთითებენ ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკის წარწერა და "მოქცევაჲ ქართლისაჲც". სწორედ სინას მთის ხელნაწერი მიაჩნდა, როგორც ენახეთ, ა.ბოგვერაძეს იმის ურყევ საფუძვლად, რომ სტეფანოზ I და ადარნერსე მამა-შვილია და, ვგონებ, ესაა ერთადერთი სწორი აზრი, რომელიც კი გამოთქმულია მთელს მის რეცენზიაში. მაგრამ საოცარი ისაა, რომ სწორედ ამ წყაროს, რომელიც იმდენად თვალსაჩინოა, რომ ა.ბოგვერაძესაც კი არ დაუტოვა მცდარი ინტერპრეტაციის საშუალება. რომელმაც ზალექსიძეს უბიძგა უარი ეთქვა სტეფანოზისა და ადარნერსეს მამა-

---

89 თ. ჩიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.218-219.

შვილობის ცნობის უარყოფაზე. თ. ჩიჩუა კვლავაც იშველიებს სტეფანოზისა და ადარნერსეს შორის ნათესაური კავშირის არაარსებობის აზრის დასასაბუთებლად იგი, მართალია, არ გვიმხელს (თუმცა, შესაძლოა არც იცის), რომ აღნიშნული ხელნაწერის შესახებ მისთვის ინფორმაციის მიმწოდებელმა – ზ.ალექსიძემ თავად შეიცვალა თვალსაზრისი სწორედ ამ ახლად გამოვლენილი წყაროს ჩვენების მიზეზით, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც დამატებითი ღონისძიება საკუთარი თვალსაზრისის "გადასარჩენად" ესაჭიროება. ამ მიზნით თ. ჩიჩუა მართლაც გასაოცარ გზას ირჩევს: მიუთითებს, რომ სინას მთის ხელნაწერში დადასტურებული ადარნერსე და მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთის ფასადის ადარნერსე ერთი და იგივე პირი არ არის, მცხეთის ჯვრის რელიეფის მარცხენა ნაწილში გამოსახულია კახეთის ერისთავი – ბაკურ მეფის შთამომავალი, ხოლო ეს, ე.ი. სინას მთის ხელნაწერში დადასტურებული ანუ აშკარად გუარამ კურაპალატის შვილიშვილი და სტეფანოზის I ძე, ადარნერსე სხვაა:

> "რაც შეეხება სინის ხელნაწერში მოხსენიებულ მამფალ ადრნერსეს და ტაძრის ფასადზე გამოსახულ ვიპატოს ადრნერსეს იგივეობის საკითხს, აქ ჩვენ დიდი ეჭვი გაგვიჩნდა; უფრო სწორედ, ამ იგივეობის საწინააღმდეგო არგუმენტები უფრო მართებულად მიგვაჩნია. ამ მოსაზრების საფუძველი შემდეგია: ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანს, რომლის სამარხის ქვაზე დიდი სიამაყით სახელოვანი პაპის, დიდი გუარამის სახელია ამოკვეთილი, თავის სიცოცხლეში ტაძრის ფასადზე მამისა და ბიძის გამოსახულებებიანი ფილების გვერდით გაეკეთებინა თავისი გამოსახულება, თანაც ფერხთით ბიჭის სახით გამოკვეთილ თავის შვილთან ერთად და არავითარი სახით არ წარმოედგინა ეს სახელოვანი პაპა; მით უმეტეს თუ ამ ტაძრის მშენებლობა ამ პაპის დაწყებული იყო ამიტომ, ტაძრის წარწერაში მოხსენიებული ადრნერსე, რომელიც თავის შვილთან ერთადაა გამოსახული, არ მიგვაჩნია გუარამის შვილიშვილად და სტეფანოზ I-ის შვილად დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში. კერძოდ, VII საუკუნის პირველ მეოთხედში ორი ადარნასე არსებობდა: ერთი გუარამ კურაპალატის შვილიშვილი და მეორე კი ქართულ

ქრონიკებში აღწერილი ბაკურ მეფის შვილი, ადარნასე. ამ უკანასკნელს სავსებით გასაგები მიზეზი ჰქონდა გურამის პრეტენზიის უგულებელყოფისთვის, რადგან, ვახტანგ გორგასლის ანდერძით მის კუთვნილ ქართლის ტახტზე დასვა სწორედ ბიზანტიის იმპერატორმა გურამ კურაპალატი.’[90]

აი, ამგვარ თვალსაზრისებს ვხვდებით თიჩუას წიგნში. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ მან ჩემი გამოკვლევა არც მაშინ დაიმოწმა, როცა ის მის თვალსაზრისს შეიძლება დახმარებოდა, და, მით უმეტეს, არც მაშინ, როცა, პირიქით, ხელს უშლიდა. მაგრამ მკვლევარი არც მაშინ მიმოწმებს, როცა ჩემს თვალსაზრისს იმეორებს. ასე მაგალითად, ერთგან იგი მიუთითებს ნუმიზმატიკური მასალების ჯვრის ტაძრის ქტიტორების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით გამოყენების არამართებულობაზე:

“გარდა ამისა, მართალია, ნუმიზმატიკურ კვლევას ზუსტ საყრდენად წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენი აზრით, ძალიან ბევრი პირობითობაა, რომელსაც საქმე ეხება მიბაძვით მოჭრილ მონეტებს. ალბათ ზუსტი კვლევა არის იქ, რომელსაც ადგენენ რომელი მონეტის მიბაძვითაა შესრულებული, ორიგინალური მონეტების ემისიისათვის საჭირო წლებიც შეიძლება მიიღო მეტნაკლებად მაგრამ იმის დადგენა, როდის იქნა მიბაძვით შესრულებული მონეტა მოჭრილი, მაინცდამაინც სამი, ხუთი თუ ათი წლის შემდეგ, ეს ნამდვილად სავარაუდო სფეროა და არა ზუსტი საყრდენი ... ამ მონეტების მოხსენიება ჯვრის ტაძრის ქტიტორებთან დაკავშირებით ჯერჯერობით გაუმართლებელია.’[91]

როგორც მკითხველმა უკვე იცის, მცხეთის ჯვრის ქტიტორების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით აღნიშნული არგუმენტით (ის, რომ ისინი მინაბაძებია) ნუმიზმატიკური მასალის არარელევანტურობის შესახებ თვალსაზრისი მე

[90] თიჩუა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ.223-224 (ხაზი ავტორისაა – მ.ჩ.).
[91] იქვე, გვ. 180-181.

თინიჩაზე ადრე მაქვს გამოთქმული. სამეცნიერო ეთიკიდან გამომდინარე მკვლევარს ამის აღნიშვნა მოეთხოვებოდა.

მეორე ამგვარი შემთხვევა უკავშირდება დასკვნას "ეპისტოლეთა წიგნში" მოხსენიებულ ატრნერსე მთავრის ერისმთავარ ადარნერსესთან იდენტიფიკაციის არამართებულობის შესახებ. ზემოთ უკვე ვაჩვენე, რომ ჩემს ხსენებულ წიგნში ეს საკითხი სპეციალური განხილვის საგნად იყო ქცეული. თინიჩაც მსჯელობს აღნიშნული წყაროს ინტერპრეტაციაზე და მიდის იმავე დასკვნამდე, რომ ატრნერსე მთავარი არ შეიძლება იყოს ერისმთავარი. მოვიყვან შესაბამის ციტატს:

> "ამ წერილებისთვის დამახასიათებელია: დასაწყისში იმ პიროვნებების ჩამოთვლა, ვისაც უგზავნიან ეპისტოლეს და შემდეგ ისევ ჩამოთვლა, ვისგანაც უგზავნიან მოკითხვას. ადარნასე (ატრნერსე) მთავრების ჩამონათვალშია პირველ ადგილზე და არა საერთო ჩამონათვალში, სადაც ის კათალიკოსისა და ეპისკოპოსების შემდეგაა მოხსენიებული, მხოლოდ მთავრის სახელით ასეა 76 გვერდიდან, ზემოთ მოყვანილ ციტატებშიც, რომელიც სხვათა შორის, თვითონ ქართველების მიწერილ ეპისტოლედანაა. ჩვენი აზრით, ქვეყნის მმართველი ერისმთავრის (რომელიც მეფის რანგს უტოლდება) ასეთი ფორმით წარმოდგენა სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან სასულიერო თუ საერო იერარქიაში გარკვეული ადგილის (მარზპანი, ადგილის მცველი) მქონე პიროვნებების ეს მხარე ეპისტოლეებში ყველგან აღნიშნულია. მთელ ეპისტოლეთა კრებულში არსად არავითარი მინიშნება არ არის, რომ ადარნერსე ქვეყნის მმართველი ერისმთავარია.'[92]

ჩემი წიგნის შესაბამისი ადგილი:

► ""ეპისტოლეთა წიგნი", როგორც ცნობილია, VIIს გამართულ ქართველ და სომეხ იერარქთა საეკლესიო პოლემიკური მიმოწერის შემცველ მასალათა კრებულია,

---

92 თინიჩა. *მცხეთის ჯვარი. არქიტექტურის კონცეპტუალური ანალიზი*, გვ. 185

რომელიც დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ სომხურ ენაზე. ამ წყაროს მონაცემები განსახილველი პრობლემის არგუმენტთა სისტემაში შემოიტანა ი.ჯავახიშვილმა. მას შემდეგ მრავალჯერ განმეორებული ამ არგუმენტის ლოგიკა შემდეგია: აღნიშნულ კრებულში დაცულ რამდენიმე წერილში, რომლებიც 604-606 წლებით თარიღდება, მოხსენებულია მთავარი ატრნერსე. სწორედ მას ვარაუდად აიგივებენ სტეფანოზის მომდევნო ერისმთავარ ადარნერსესთან და ამის საფუძველზე ასკვნიან, რომ სტეფანოზის ზეობა შეწყდა მითითებულ წლებამდე. მაგრამ ატრნერსე მთავარი "ეპისტოლეთა წიგნში" ყოველთვის იხსენიება ქართლის კათალიკოსის შემდეგ. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ქართლის უზენაესი ხელისუფალი, ე.ი. ქართლის ერისმთავარი. ატრნერსეს ვინაობის გარკვევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართლის კათალიკოსის ერთი წერილი, კერძოდ კი, ამ წერილში წარმოდგენილი ადრესანტთა სია: "დიდებულ უფალს სმბატ გურკანის მარზპანს და უფალთა მხედარს გიგ დაშკარანს, სომეხთა მოძღვარს შარსალარს და მაგ სომეხთა ქვეყნის სხვა აზნაურებს წმინდა ჯვრისაგან ლოცვა და კირონ ქართლის კათალიკოსის, ყველა თანამოსაყდრე ეპისკოპოსის და მთავრების – ატრნერსეს, აშუშანისა და ქართველთა ყველა წარჩინებულისაგან მდაბალი თაყვანისცემითა და სიყვარულით მოკითხვა"."[93] ◄

იმ შემთხვევაშიც კი ჩემგან განსხვავებული გზით რომ მიდიოდეს აღნიშნულ დასკვნამდე, მკვლევარს მოუთხოვებოდა მიეთითებინა, რომ ამ წყაროს ამგვარი ინტერპრეტაციის პრეცენდენტი უკვე არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში (ჩემზე უწინ, თუმც პოლიტიკური სიტუაციის სრულიად განსხვავებული გააზრებით, ეს აზრი გამოთქმული ჰქონდა ვ.გოილაძეს). მაგრამ, როცა ამ დასკვნამდე მკვლევარი არსებითად იგივე ლოგიკით არის მისული, როგორც მე, მეტიც, როცა "ეპისტოლეთა წიგნის" ზუსტად იგივე გვერდიც აქვს დამოწმებული, რომელიც მითითებულია ჩემს წიგნში, და ჩემს ნაშრომს მაინც არ იხსენიებს, მიჭირდება ამ ვითარებას შესაფერისი სახელი დავარქვა.

თუმცაღა, აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იმის შესახებ თუ ვინ არის "ეპისტოლეთა წიგნში" დადასტურებული

---

93 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი*, გვ.39-40; შდრ., აგრეთვე, შენ.80.

ატრიბუციაზე. თ. ჩიჩუას ჩემგან სრულიად განსხვავებული, ჩემი აზრით მცდარი შეხედულება აქვს: წყაროში დაფიქსირების დროისათვის იგი კახეთის მთავარი ჰგონია. ამ დაუსაბუთებელ მოსაზრებას მე, რა თქმა უნდა, ვემიჯნები.

საინტერესოა, რომ თ. ჩიჩუას ჩემი მონოგრაფიის ბიბლიოგრაფიული აღწერაც არასრულად და შეცდომით აქვს მოყვანილი: სათაურს აკლია სიტყვები "წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა", რის შედეგად ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, რომ ჩემი წიგნი არა სპეციალურ გამოკვლევას, არამედ ჰაგიოგრაფიული ძეგლების პუბლიკაციას წარმოადგენს. ამასთან, წიგნის გამოცემის თარიღად 1994 ნაცვლად 1944 წელია მითითებული. ასე რომ, მკითხველმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ესაა წყაროს მოძველებული გამოცემა. ამგვარი მონაცემებით ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ, თ. ჩიჩუას წიგნის მკითხველთაგან, ჩემი გამოკვლევისადმი რაიმე ინტერესი იგრძნოს და მისი საშუალებით თ. ჩიჩუას თვალსაზრისების ვერიფიცირება მოახდინოს.

სხვათა შორის, ჩემი წიგნის ამგვარ არაკორექტულ დამოწმებაში თ. ჩიჩუა გამონაკლისი სულაც არ არის. ასევე იქცევიან, სამწუხაროდ, სხვა ზემოდასახელებული კოლეგებიც ა. ბოგვერაძე და დ. მუსხელიშვილი წარმოადგენენ წიგნის არასრულ დასათაურებას. ასევე იქცევა მ. სანაძეც, რომელიც ოღონდაც, ამის დამატებით, თ. ჩიჩუას მსგავსად, შეცდომით აფიქსირებს წიგნის გამოცემის თარიღსაც

## 2.4

როგორც ვნახეთ, თ. ჩიჩუამ მრავალჯერ დაიმოწმა ზაზა ალექსიძე. თავად მეც მივუთითებდი აღნიშნულ ავტორზე ა. ბოგვერაძის რეცენზიაზე პასუხის დროს. იმასაც აღვნიშნავდი, რომ ზ. ალექსიძემ, მის მიერვე აღმოჩენილი ახალი მასალების საფუძველზე, უარყო თავისი ადრინდელი თვალსაზრისი. აუცილებლად მიმაჩნია განვიხილო ზ. ალექსიძის დამოკიდებულებაც ჩემს მონოგრაფიაში გამოთქმული დასკვნების მიმართ. ამ მიზნით მომყავს შესაბამისი ამონარიდები მკვლევრის მიერ ჯერ ჩემს მონოგრაფიაზე უწინარეს, მერე კი მის შემდგომად გამოქვეყნებული ნაშრომებიდან:

“ყველაზე მნიშვნელოვანია წარწერის ბოლო სტრიქონის წაკითხვა. კერძოდ, რამდენად სწორად არის აღდგენილი გამოთქმა “ყოვლისა სახლისა მცველად”. როდესაც ამ წარწერის წამკითხველები ქვაზე დარჩენილ მარცვალს “-ლისა”-ს “სახ”-ს უმატებდნენ, ცხადია, მათ მხედველობაში ჰქონდათ “სახლი” “გვარის” მნიშვნელობით და წარწერა ასე ესმოდათ: “შეწევნითა ღმრთისაჲთა აღემართა ჯუარი ესე სალოცველად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე უპატოსისა, ადრნერსე უპატოსისა, სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა გვარისა მცველად”. ჯუანშერის მიხედვით სტეფანოზი და დემეტრე ძმები არიან, ხოლო ადრნასე სრულიადაც არ არის მათი გვარის წარმომადგენელი, ე.ი. ერთი მხრივ სტეფანოზი და დემეტრე, მეორე მხრივ ადრნასე სხვადასხვა სახლის წარმომადგენლები არიან. მხოლოდ სუმბატ დავითის ძეს მიაჩნია სამივე ეს ერისმთავარი ერთმანეთის მამა-შვილად, მაგრამ იგი ტენდენციურია, ყველა ერისმთავარი ბაგრატიონთა შთამომავლად უნდა გამოაცხადოს და ნდობა ძნელია. “მოქცევაჲ ქართლისაჲს” მიხედვით გუარამ კურაპალატის მომდევნო ერისთავია მისი ძე სტეფანოზ I, რომელიც ჯვარს აშენებს. რა ნათესაურ დამოკიდებულებაშია სტეფანოზთან მისი მომდევნო ერისთავი ადრნასე, არ ჩანს, ხოლო სტეფანოზ II უკვე ადრნასეს ძეა. უეჭველია, “მოქცევაჲ”-ს ავტორს სტეფანოზსა და ადრნასეს შორის მემკვიდრეობის ხაზი გაწყვეტილი აქვს, თორემ სხვაგან იგი ყველგან ხაზს უსვამს ნათესაურ დამოკიდებულებას. ჩანს სუმბატ დავითის ძე არ არის მართალი, როცა ადრნასეს სტეფანოზის ძედ აცხადებს. ამრიგად გამოთქმა “ყოვლისა სახლისა” არ შეიძლება გულისხმობდეს მთლიანად ერთ საგვარეულოს და რეალური ვითარება რომ შევინარჩუნოთ, მასში ორი სახლი მაინც უნდა გავარჩიოთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გამართული ტექსტის მისაღებად ნაცვალსახელი “მათისა” აუცილებლად დაგვჭირდებოდა, ისევე, როგორც ზემო სტრიქონში გვაქვს: “სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად”. ამრიგად, თუ “-ლისა” მარცვლის წინ “სახ”-ს აღვადგენდით, უპრიანი იქნებოდა მთელი ტექსტი ასე

გაგვემარია: “შეწევნითა ღმრთისაჲთა აღხემართა ჯუარი ესე სალოცველად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა, სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სახლისა მათისა მცველად”.’[94]

და კიდევ:

“თუნდაც რომ “სახლში” გვარი ვიგულისხმოთ, მცხეთის ჯვრის ტაძარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლი იყო და ისეთ ადგილას იდგა, რომ ვეჭვობთ, მხოლოდ ერთი, ან თუნდაც ორი, რომელიმე გვარის ‘მცველი” ყოფილიყო. ესეც არ იყოს, ჯვრის ტაძარი “ყოველი სახლის მცველად” რომ იყოს აღმართული, მაშინ სამივე ბარელიეფზე ვედრება ჯვრის მიმართ იქნებოდა. ამ დროს ჯვარს ავედრებენ მხოლოდ ქართლის პატრიკიოზს, ხოლო დემეტრესა და ადარნასეს მეოხად მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები არიან მოხმობილნი. სულ სხვა პოლიტიკურ შინაარსს შეიძენს მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, თუ “ყოვლისა [სახ]ლისას” მაგიერ “ყოვლისა [ქართ]ლისას” ამოვიკითხავთ. მაშინ წარწერა ასეთ სახეს მიიღებს: “[შე]წევნითა ღმრთისაჲთა აღხემართა ჯუარი ესე სალოცველ]ად სტეფა[ნო]ს პატრიკი[ოსი]სა, დემეტრ[ე ჳპატოსი]სა, სოულ[თა] და ჴორცთ[ა მ]ათთა მეო[ხად] და ყოვლისა [ქართ]ლისა მცვ[ე]ლა]დ”. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული წაკითხვა მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერისა ლოგიკურია. მას არც სტრიქონებში დატოვებულ ასოთა რაოდენობა უშლის ხელს, მაგრამ მაინც მივაქცევთ ყურადღებას, რომ აღსადგენი სიტყვის თავზე გაირჩევა ქარაგმის ნიშნის ნაშთი. “სახ”- მარცვლის დაქარაგმება აქ არ არის მოსალოდნელი, სამაგიეროდ “ქ~რთლისა” სავსებით ბუნებრივად გამოიყურება და დადასტურებას პოულობს სხვა ქართულ ძეგლებში. მაგრამ იყო კი რეალური ნიადაგი VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ფართო მნიშვნელობით “ყოველი ქართლის” აღსადგენად? ჩვენ ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ქართული

[94] *ეპისტოლეთა წიგნი*, გვ. 176-178

> წყაროების მონაცემები სავსებით შესაძლებელს ხდის ამ ხანაში ასეთი შემკრებლობით ტერმინის არსებობას (აღარ ველაპარაკობთ იმაზე, რომ ორდინალური შინაარსით გამოთქმა "ყოველი ქართლი" ყველა ეპოქისათვის ბუნებრივი უნდა ყოფილიყო)."[95]

ეს თვალსაზრისი, უფრო ზუსტად, დასკვნა იმ ნაწილში, სადაც საქმე "ქართლისას" ამოკითხვას ეხებოდა "სახლისას" მაგიერ მკვლევარმა იგივე დატოვა, მაგრამ ახლად აღმოჩენილი მასალების გათვალისწინებით არგუმენტაცია შეცვალა. აი, მისი ბოლოდროინდელი მსჯელობა აღნიშნულთან დაკავშირებით

> "ჩემი არგუმენტები თავის დროზე ასეთი იყო 1 სტეფანოზი, დემეტრე და ადარნასე "ქართლის ცხოვრების" მიხედვით სხვადასხვა "სახლის" წარმომადგენლები არიან. ამიტომ წარწერა მათ ერთი "სახლის" წევრებად ვერ გამოაცხადებდა. 2. წარწერის ტექსტი სინტაქსურად გაუმართავი გამოდგება, თუ მასში აღვადგენთ ფრაზას "ყოვლისა სახლისა მცველად", ვინაიდან მეცამეტე სტრიქონში აუცილებლად დაგვჭირდება კუთვნილებითი ნაცვალსახელი 'მათისა", რომელიც მასში არ არის. 3 აღსადგენი სიტყვის თავზე გაირჩევა ქარაგმის ნიშნის ნაშთი. "სახ"- მარცვლის დაქარაგმება არ არის მოსალოდნელი და რომ დაქარაგმდეს, იგი ველარ შეავსებს ტექსტისათვის დარჩენილ ადგილს. 4. მცხეთის ჯვარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლია, რომ მისი ფუნქცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ერთი საგვარეულოს (თუნდაც ქართლის მმართველთა) დაცვა. ამისათვის საკმარისი იქნებოდა ქტიტორთა "სულისა და ხორცის მეოხებაც", რაც გვაქვს კიდეც ტექსტში. ცხადია, ასეთ მნიშვნელობას მცხეთის ჯვარს ანიჭებდა ის ჯვარი, რომელიც იქ წმ. ნინომ აღმართა. ამიტომ ვწერდი სწორედ შემდეგ სიტყვებს: 'მცხეთის ჯვრის ტაძარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლი იყო და <u>ისეთ ადგილზე იდგა</u>...""[96]

---

[95] *ეპისტოლეთა წიგნი*, გვ. 178-179.

[96] ზ. ალექსიძე. "*მოქცევაჲ ქართლისაჲ*" და *მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა*. ზურაბ ჭუმბურიძის (დაბადების 70

ამის შემდეგ კი მკვლევარი აღნიშნავს:

> "ამ ორი წლის წინ ხელნაწერთა ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში ზემოთ მოტანილი ოთხი არგუმენტიდან მე უარი ვთქვი პირველზე, ვინაიდან სინას მთაზე აღმოჩენილი ერთი ხელნაწერის (N/Sin-50) ცნობა სრულიად უტყუარად მხარს უჭერს სუმბატ დავითის ძის გენეალოგიას, რომლის მიხედვითაც ადარნასე ერისმთავარი არის შვილი სტეფანოზ ერისმთავრისა. ეს ცნობა მომდინარეობს აშკარად ადარნასეს ეპიტაფიიდან და სხვა ყველა ინტერპრეტაცია სტეფანოზისა და ადარნასეს ურთიერთმიმართების შესახებ დღეიდან მკვლევართა ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს."[97]

ცხადია, ახლად აღმოჩენილი მასალის საფუძველზე თვალსაზრისის შეცვლაში საჩოთირო და დასაძრახი არაფერია. ამგვარი ფაქტები მრავლადაა მეცნიერების ისტორიაში. აქ უხერხულობის შემქმნელი სხვა გარემოებაა: ადარნერსე რომ სტეფანოზის შვილი იყო და რომ სუმბატ დავითის ძის ინფორმაცია სწორი იყო და რომ სხვა თვალსაზრისი "მკვლევართა ფანტაზიის ნაყოფს" წარმოადგენდა (თუმცა ეს გამოთქმა თავად ბატონ ზაზა ალექსიძის რიდით მე მაშინ არ გამოვიყენებია), ჩემს მონოგრაფიაში იყო ნაჩვენები, რომელშიც, ამის დამატებით, ისიც იყო ახსნილი, თუ როგორ უნდა გაჩენილიყო "ქართლის ცხოვრებაში" თავად საფუძველი თანამედროვე მკვლევართა ამ ფანტაზიისათვის – ჯუანშერ ჯუანშერიანის ტენდენციური ინფორმაცია სტეფანოზზე. ნაწილი ამ მსჯელობებისა ზემოთ უკვე წარმოვადგინე. ახლა მხოლოდ დავუმატებ: ამ ერისმთავრისადმი სპეციალურად მიძღვნილ თავში მსჯელობას მე ვიწყებდი "მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და "ქართლის ცხოვრების" ცნობების შედარებით. ამაზე უწინარესად კი მივუთითებდი:

► "სტეფანოზის შემდგომ ისტორიული ქრონიკა ასახელებს ადარნერსე ერისმთავარს. სუმბატ დავითის ძის

---

წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბილისი: თსუ, 1997, გვ.7-8 (ხაზი ავტორისაა – მ.ჩ.).

[97] იქვე, გვ.8

ცნობით, ეს ადარნერსე სტეფანოზის ძეა. მართალია, ქრონიკა ამის თაობაზე პირდაპირ არას ამბობს, მაგრამ ის გარემოება, რომ ადარნერსეს ძეც სტეფანოზია, ირიბად აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს: შვილიშვილს პაპის სახელი ჰქვია.'[98] ◄

წყაროთა შედარებით ანალიზის შემაჯამებლად კი ვწერდი:

► "ამრიგად, არ დასტურდება "ქართლის ცხოვრების" ცნობა იმის თაობაზე, რომ ადარნერსე ტახტის გამო სტეფანოზთან მოქიშპე პიროვნებაა. ირიბად დასტურდება "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა მათ მამა-შვილობის შესახებ.'[99] ◄

ასე რომ, ჩემდა გასაკვირად და სამწუხაროდ, ზალექსიძის მიერაც ჩემი დასკვნის იგნორირებას აქვს ადგილი. მართალია, ჩემამდეც მეცნიერთა ნაწილი სტეფანოზ I და ადარნერსეს შორის სისხლისმიერ კავშირს არ უარყოფდა, მაგრამ მე სტეფანოზისა და ადარნერსეს მამა-შვილობის მტკიცებამ საგანგებოდ მომიწია სწორედ იმის გამო, რომ ხსენებული მონოგრაფიის გამოქვეყნების დროისათვის ზალექსიძეს (და სხვებსაც) საწინააღმდეგო თვალსაზრისი ჰქონდათ გამოთქმული. ახლად აღმოჩენილი სინას მთის ხელნაწერის მეშვეობით კი ჩემ მიერ სპეკულატიური მსჯელობით მიღებული შედეგის შემოწმება მოხერხდა და იგი დადასტურდა.

თუმც ამ ნაშრომში ზ.ალექსიძეს ჩემი მონოგრაფია მაინც აქვს მოხსენიებული, მაგრამ ჩემი აზრი მასთან არაზუსტადაა გადმოცემული, ისეთნაირად, რომ მთლიანად სცილდება ჩემს მტკიცებას მცხეთის ჯვრის ანუ ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკის წარწერაში ერთი სახლის წარმომადგენლების მოხსენიების შესახებ. ეს ხდება მკვლევრის ნაშრომის დასაწყისშივე, როცა ავტორი განიხილავს მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერის შესწავლის ისტორიას. აქ მეც ვარ დასახელებული, თუმც, როგორც ვთქვი, ისეთი შეხედულება მომეწერება, რომელსაც არ ვიზიარებ:

---

98 მ.ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*, გვ.86.
99 იქვე, გვ.90.

"ერთი შეხედვით თითქოს სადავო არაფერი უნდა ყოფილიყო ბოლოსწინა მეთორმეტე სტრიქონის გაშიფვრაშიც, რომელიც ასევე არსებითად გადარჩენილი ჩანდა და სპეციალისტები მასაც ტრაფარეტის მიხედვით აღადგენდნენ. მაგრამ ამ სტრიქონმა მაინც გამოიწვია დავა, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა სამი სხვადასხვა წაკითხვა. 1 ტრადიციული წაკითხვა, რომელიც შემუშავდა ძეგლის აღმოჩენისთანავე ალ.კალანდაძის, გ.ჩუბინაშვილისა და ა.შანიძის პუბლიკაციებით: "...სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სახლისა მცველად" ... 2. ჩემი წაკითხვა: "...სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა ქართლისა მცველად" ... 3 ნ.შოშიაშვილის წაკითხვა: "...სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა მოძავლისა მცველად" ... მომდევნო თაობის ისტორიკოსები ან მეორე წაკითხვას ("ყოვლისა ქართლისა") უჭერენ მხარს, ან მესამეს ("ყოვლისა მოძავლისა") (მ.ჩხარტიშვილი, 1994, გვ.89-96). პირველი წაკითხვა უკვე პრაქტიკულად აღარ გვხვდება ლიტერატურაში."[100]

საქმე ისაა, რომ მე მხარს ვუჭერდი (და ვუჭერ) არა მესამე, ე.ი. ნ.შოშიაშვილისეულ წაკითხვას, არამედ პირველს ანუ ტრადიციულ წაკითხვას, რომლის მიხედვით ჯვარპატიოსნის ქვის კვარცხლბეკის წარწერაში უნდა ამოკითხულ იქნეს "სახლისა" და ეს კარგად ჩანს ჩემს ხსენებულ მონოგრაფიაში. ასეთი წაკითხვა ლოგიკურ კავშირშია მტკიცებასთან იმის შესახებ, რომ სტეფანოზი და ადარნერსე მამა-შვილია. შესაბამისი ციტატები ჩემი წიგნიდან მე უკვე მოყვანილი მაქვს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ზოგ მათგანი აქაც გავიმეორო. კვარცხლბეკის წარწერას მე ვეხები "მოქცევაჲ ქართლისაჲს" და "ქართლის ცხოვრების" შედარებით ანალიზისას და შევნიშნავ:

100 სალექსიკ. *"მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა*, გვ.7.

► "ქვემოთ მოგვყავს წარწერა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია ერთ-ერთ უკანასკნელ პუბლიკაციაში: "ესე ჯუარი ქრისტესი აღემართა სალოცველად სტეფანოზ პატრიკიოსისა, დემეტრე ჰიპატოსისა, ადარნერსე ჰიპატოსისა. სულთა და ჴორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა მომავლისა მცველად". ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვიდან შემორჩენილია მხოლოდ ასოთა კომპლექსი – "ლისა". ამის გამო მას სხვადასხვაგვარად აღადგენენ მკვლევარნი. მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, მკითხველთა ყურადღება გვსურს შევაჩეროთ წარწერის ძირითად ნაწილზე." ◄

ე.ი. აქ მე არ ვამბობ, რომ ამ წაკითხვას ვიზიარებ. რომელიღაც წაკითხვა ხომ უნდა მომეყვანა წარწერაზე საუბრის დაწყებამდე, რომ მკითხველს გაეგო რაშია საქმე. ბუნებრივია, მე ის მოვიყვანე ბოლო გამოცემიდან, წყაროების სპეციალური პუბლიკაციიდან და არა რომელიმე კონკრეტული გამოკვლევიდან. ეს იყო და ეს ჩემი არჩევანის მიზეზი წარწერის ციტირების შემთხვევაში, და არა ის, რომ მე ვიზიარებ დაზიანებული ადგილის ნ. შოშიაშვილისეულ აღდგენას, როგორც "მომავლისა". ამის შემდეგ, როგორც ზემოთ ნახა მკითხველმა, მე ვმსჯელობ იმაზე, რომ ამ ტიპის ძეგლებზე, ე.ი. ჯვრის კვარცხლბეკებზე, როგორც წესი, სწორედ უახლოესი ნათესავები არიან წარმოდგენილნი. ამ მსჯელობით აღნიშნულ პირთა ერთი სახლისადმი (გვარისადმი) კუთვნილებას ვასაბუთებ, ხოლო მერე კი აღვნიშნავ, რომ ჩემთვის გასაგებია იმ მკვლევართა პოზიცია, რომლებიც წარწერაში ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვის ("მომავლისა") ადგილას აღადგენენ სიტყვას "სახლისა":

► "ჩანს ამით ხელმძღვანელობდნენ ის მკვლევრები, რომლებიც ზემოთ ხაზგასმული სიტყვის ადგილას აღადგენდნენ "სახლისას"-ს. წარხოცილ გრაფემათა სავარაუდო რაოდენობა შესაძლებელს ხდის ასეთ აღდგენას. ამასთან ამას გულისხმობს, ვიმეორებთ, თავად მემორიალური წარწერების სტერეოტიპი: უახლოესი ნათესავები, ოჯახის წევრები – ცოლი, შვილი, ძმა, მშობლები. აი, ის ვიწრო წრე პირთა, რომელთა სახელები, ჩვეულებრივ, გვხვდება ამგვარ ძეგლებზე."[101] ◄

---

[101] მ. ჩხარტიშვილი. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ*. გვ.Ⴇ.

ამიტომ გაუგებარია, ამგვარი მსჯელობის შემდეგ როგორ დარჩა ზალექსიძეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ მე ნ.შოშიაშვილისეულ წაკითხვას ვიზიარებ. მთელი ჩემი მტკიცებების დედაზრი ხომ ისაა, რომ ეს პირნი სახლიკაცებია.

შემდეგ მკვლევარი მიუთითებს, რომ პირველი არგუმენტი, რომელიც მან უარყო, არც თავიდან მიაჩნდა საკმარისად და მას არც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა:

> “მკაცრად თუ ვიმსჯელებთ იგი მაშინაც არ იყო საკმარისი არგუმენტი (და არც ჩამითვლია ასეთად), ვინაიდან ქტიტორთა ერთი ან ორი სახლისადმი მიკუთვნება თავისთავად ვერც დაამტკიცებს და ვერც უარყოფს ტექსტში “ყოვლისა სახლისას” არსებობას, იმდენად ამორფულია ეს გამოთქმა წევრებით ან კუთვნილებით ნაცვალსახელის გარეშე.”[102]

მე კი ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ავტორი სწორედ ჟუანშერის ცნობას ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, როცა მიუთითებდა, რომ წარწერის ტექსტში შეუძლებელია “სახლისას” ამოკითხვა. ამიტომაც იდგა ეს არგუმენტი მის მტკიცებულებებში პირველ ადგილას. როცა ზალექსიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პირველი არგუმენტი მას ისედაც არ მიაჩნდა არგუმენტად, ამით, ვფიქრობ, მკვლევარს სურს მკითხველის თვალში შეამციროს თავისი კონცეფციისათვის ამ არგუმენტის დაკარგვით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი. ზალექსიძის თვალსაზრისისათვის მისი გამოკლება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი დანაკარგია. როგორც ითქვა, სიტყვით მკვლევარი უარყოფს მის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, მაგრამ რეალურად, მსჯელობებში ამ არგუმენტისათვის მიკუთვნებული ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასე არ გამოდის: სწორედ ჟუანშერ ჟუანშერიანის ცნობა იმის თაობაზე, რომ სტეფანოზი და ადარნერსე სხვადასხვა სახლის წარმომადგენლებია, გამოიყურება მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორად ზალექსიძისეული წაკითხვისათვის. მაგრამ

---

[102] ზალექსიძე. *“მოქცევაჲ ქართლისაჲ” და მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა*, გვ.8

დანაკარგის სიდიდე მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ აღნიშნული არგუმენტი ზალექსიძის წაკითხვას ვეღარ ეხმარება. იგი ერთ კონცეფციას კი მოაკლდა, მაგრამ არ გამქრალა: მიემატა მეორე კონცეფციას ანუ გააძლიერა იმათ პოზიცია, ვინც დაზიანებულ ადგილას კითხულობს სიტყვა „სახლისას".

ახლა ერთ-ერთი იმ არგუმენტთაგანი განვიხილოთ, რომელსაც მკვლევარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მაშინ და, როგორც ირკვევა, ახლაც ანიჭებს:

> „თავის დროზე მე გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი დანარჩენ ორ არგუმენტს და დღესაც კვლავ მათ ვიმეორებ: „ყოვლისა სახლისა მცველად" გამორიცხულია, თუ მასში არ აღვადგინეთ „მათისა". სულ ერთი სტრიქონით ზევით ხომ სავსებით მართებულად და აშკარად წერია, რომ ჯვარი აღემართა სტეფანოზის, დემეტრეს და ადარნერსეს „სულთა და ჴორცთა <u>მათთა</u> მეოხად"."[103]

ნათქვამთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ: ამ შემთხვევაში „მათისა" კუთვნილებითი ნაცვალსახელი არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამიტომაც მისი არარსებობა არ შეიძლება დაბრკოლებად განიხილებოდეს წარწერის დაზიანებულ ადგილას სიტყვა „სახლისას" ამოკითხვისათვის. წარწერის შემდგენლებმა ხომ უეჭველია იცოდნენ, რომ სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე ერთი სახლის წევრებია, და ეს ფაქტი ცნობილი იყო მათი თანამედროვეებისათვის ანუ წარწერის მკითხველებისათვის. ასეთ ინფორმირებულობის ვითარებაში „მათისა" კუთვნილებითი ნაცვალსახელი „სახლისა" სიტყვის ატრიბუტად სრულიად ზედმეტია. ამიტომ, ვფიქრობ, მკვლევრის კონცეფციაში არ მუშაობს არა მარტო პირველი, არამედ ეს არგუმენტიც ანუ „სახლისა" სიტყვის აღდგენა ტექსტში სულაც არ მოითხოვს დამატებით სიტყვას.

ახლა რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომელიც ჯვრის ტაძრის მნიშვნელოვნებაზე ამახვილებს ყურადღებას: იგი ზალექსიძის ადრეულ ნაშრომშიც გვხვდება და

---

103 ზალექსიძე. *„მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა*, გვ.8 (ხაზი ავტორისაა – მჩ).

შემდეგდროინდელშიც თუმცადა აზრის გამოთქმისას მკვლევარს აქცენტები გადასმული აქვს, რაც მაფიქრებინებს, რომ ამ არგუმენტმა მის თვალში დაკარგა ეფექტურობა და გამეორებისას საჭიროდ მიიჩნევს მის არსობრივ განახლებას. რომ გასაგები იყოს, თუ რაზეა საუბარი, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ უკვე ციტირებულ ტექსტს:

> “თუნდაც რომ “სახლში” გვარი ვიგულისხმოთ, მცხეთის ჯვრის ტაძრი ისეთი მნიშვნელობის ძეგლი იყო და ისეთ ადგილას იდგა რომ ვეჭვობთ, მხოლოდ ერთი, ან თუნდაც ორი, რომელიმე გვარის ‘მცველი” ყოფილიყო ესეც არ იყოს, ჯვრის ტაძრი “ყოველი სახლის მცველად” რომ იყოს აღმართული, მაშინ სამივე ბარელიეფზე ვედრება ჯვრის მიმართ იქნებოდა. ამ დროს ჯვარს ავედრებენ მხოლოდ ქართლის პატრიკიოზს, ხოლო დემეტრესა და ადარნასეს მეოხად მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები არიან მოხმობილნი.”

ე.ი. მკვლევარი საუბრობდა ტაძრზე, მიუთითებდა, რომ ასეთი (ალბათ მისი განსაკუთრებული დიდებულება იგულისხმება) ტაძრი არ შეიძლება ერთი, თუნდაც ორი გვარის ‘მცველი” ყოფილიყო მაგრამ ამჯერად ხომ არა ჯვრის ეკლესიის ფასადის წარწერას შეეხება სიტყვა, არამედ მცხეთის ჯვრის (ჯვარპატიოსნის, წმ. ნინოს დროს აღმართულის) ქვის კვარცხლბეკისას. განსხვავებით ტაძრის მშენებლობისაგან, რომელიც, მართლაც, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობების უნდა ყოფილიყო, კვარცხლბეკი და ჯვრის ქვის რელიკვარიუმი სულითა და ხორცითა მეოხად სათანადო სოციალური სტატუსის კერძო პირსაც შეეძლო დაეკვეთა.

მოგვიანო ხანის გამოკვლევაში ზალექსიძე, ვფიქრობ, უკვე ითვალისწინებს საკუთარი მსჯელობის ამ ხარვეზს, კერძოდ იმას, რომ არგუმენტად იყენებდა მცხეთის ჯვრის ტაძრის მნიშვნელოვნებას, მაშინ როცა საქმე კვარცხლბეკის წარწერას ეხებოდა. მაგრამ ამ არგუმენტზე იგი უარს არ ამბობს: ისეთნაირად მსჯელობს, რომ თითქოს თავიდანვე ჯვრის კვარცხლბეკი ჰქონდა მხედველობაში, და თითქოს პოსტამენტის მშენებლობაც შეიძლება იქნეს მოყვანილი ამ შემთხვევაში არგუმენტად.

"მცხეთის ჯვარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლია, რომ მისი ფუნქცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ერთი საგვარეულოს (თუნდაც ქართლის მმართველთა) დაცვა. ამისათვის საკმარისი იქნებოდა ქტიტორთა 'სულისა და ხორცის შეოხებაც", რაც გვაქვს კიდეც ტექსტში. ცხადია, ასეთ მნიშვნელობას მცხეთის ჯვარს ანიჭებდა ის ჯვარი, რომელიც იქ წმიდა ნინომ აღმართა. ამიტომ ვწერდი სწორედ შემდეგ სიტყვებს: 'მცხეთის ჯვრის ტაძარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლი იყო და ისეთ ადგილზე იდგა...".

და კიდევ:

"აი, რატომ ვარ დარწმუნებული, რომ მცხეთის ჯვრის პოსტამენტზე, პოსტამენტზე, რომელიც უეჭველად აშენებულ იქნა "ყოველი ქართლის" მიერ აღმართული ხის ჯვრისათვის, ეწერებოდა: "შეწევნითა ღმრთისაჲთა აღემართა ჯუარი ესე მოსაჴსენებლად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჳპატოსისა, ადრნერსე ჳპატოსისა, სულთა და ჴორცთა მათთა შეოხად და ყოვლისა ქართლისა მცველად"."[104]

ამჯერად, როგორც ვხედავთ, აქცენტირებულია თავად ხის ჯვრის და არა ქვის პოსტამენტის მშენებლობის მნიშვნელოვნება, რადგან თუ ტაძრის მშენებლობაში, გამომდინარე მისი მასშტაბებიდან, მთელი მოსახლეობის აქტივობა ბუნებრივი ჩანს (და ასეთი პრეცენდენტი თბილისის სიონის მშენებლობასთან დაკავშირებით გვაქვს კიდეც სტეფანოზის მამის გუარამის ზეობის დროს), არაბუნებრივი და გაუგებარია იგივე ერთი პოსტამენტის შემთხვევაში. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ესაა "ყოველი ქართლის" მიერ აღმართული ხის ჯვრის პოსტამენტი. მაგრამ ეს ხის ჯვარი აღმართეს IV საუკუნეში. სტეფანოზის დროს საქმე ჯვრის აღმართვას კი არ ეხებოდა, არამედ მის შემკობას, მისთვის რელიკვარიუმის შექმნას.

---

104 ზ. ალექსიძე. *"მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა*, გვ. 13

იმისათვის, რომ აჩვენოს ჯვარპატიოსნის აღმართვაში მოსახლეობის ფართო მასების ანუ "ყოველი ქართლის" მონაწილეობა, ზალექსიძე აანალიზებს ინფორმაციას, რომელიც შემოგვინახა "მოქცევაჲ ქართლისაჲ". ის დამაჯერებლად წარმოაჩენს, თუ როგორი საყოველთაო ხასიათი მიიღო ქრისტიანიზაციის პროცესმა ქართლში, როგორ მონაწილეობდნენ რიტუალებში, კერძოდ, ჯვრის აღმართვაში ქვეყნის მოსახლეობის ფართო მასები, ახალმოქცეულთა როგორი სასოება იყო ჯვარპატიოსნისადმი. თავისთავად ეს ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი მასალაა, მაგრამ, ვერ გამოდგება არგუმენტად ამ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ჯვარპატიოსნის არა აღმართვას, არამედ მისი რელიკვარიუმის შემკობას. ზალექსიძე სვამს ასეთ კითხვას:

> "მაგრამ იქნებ ზედმეტს ვახვევთ თავს ჩვენს ქართულ წყაროებსა და ქართულ ტრადიციას და იგი არ უნდა ითვალისწინებდეს ჯვრების აღმართვისას და ეკლესიათა აგებისას ეროვნულ მომენტს. იქნებ "საცოდ ყოველთა ქრისტიანეთა" მისაღები ფორმულაა, მაგრამ მცველად "ყოვლისა ქართლისა" ზედმეტი ფუნქციაა ახლად გაქრისტიანებულ საქართველოში აგებული ტაძრისა თუ ჯვრისათვის?"[105]

ასეთი გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერება მართლაც არსებობდა უკვე ქართლის ქრისტიანიზაციის ხანაში. ამაში, ზალექსიძის მიერ მოყვანილი მასალის გარდა, აღნიშნული წყაროს ჩემ მიერ ჩატარებული ანალიზიც მარწმუნებს[106]. ასე რომ, ამ ფაქტს ნამდვილად არ გვახვევს მკვლევარი თავს. იგი თავს გვახვევს სხვა რამეს, კერძოდ იმას, რომ წარწერის დაზიანებულ ადგილას სიტყვა "ქართლისა" უნდა ამოვიკითხოთ ისე კი, ჩემს მონოგრაფიაში წარმოდგენილი

---

105 ზალექსიძე. *"მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მცხეთის ჯვრის პისტამენტის წარწერა*, გვ. 16.

106 იხ. მ. ჩხარტიშვილი. *ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალსაზრისით* ეთნიკურობა და ნაციონალიზმი I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისი სემინარის მასალები (რედ. დ. მუსხელიშვილი, მ. ჩხარტიშვილი). თბილისი: ინტელექტი, 2002, გვ. 32-47.

დასკვნისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი იქნება ამ ადგილის წაკითხვა. აქ დასახელებულ პირთა სახლიკაცობას, როგორც უკვე ვაჩვენე, მე ვამტკიცებდი არა წარწერის საფუძველზე, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ ნათესავთა, ოჯახის წევრთა წარმოდგენა მემორიალური ძეგლების თვისთავადი თვისებაა. წყაროს ირიბ ჩვენებაზე დაფუძნებული ჩემი ეს მოსაზრება მაშინვე განვამტკიცე „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ირიბი და სუმბატ დავითის ძის პირდაპირი ჩვენებების მეშვეობით ახლა კი ამას სინას მთის ხელნაწერის პირდაპირი ჩვენებაც დაემატა.

როგორც უკვე მივუთითებდი, წარწერის არასწორმა ჟანრობრივმა კვალიფიკაციამ, კერძოდ, მისმა მიჩნევამ ქტიტორულ წარწერად და მისთვის ერთგვარი პრადული ჟღერადობის მინიჭებამ მის სწორ ინტერპრეტაციას ხელი შეუშალა და თავად ეკლესიის ისტორიის შესწავლაშიც დამაბრკოლებელ გარემოებად მოგვევლინა. ამ კვარცხლბეკზე არ შეიძლება იყოს ქტიტორული წარწერა არც ქართული, არც სომხური. ჯვარპატიოსნის კვარცხლბეკი არ არის ადგილი, რომელზედაც შეიძლება განთავსდეს ინფორმაცია ტაძრის მშენებლობის შესახებ. ამ კვარცხლბეკზე შეიძლება იყოს (და არის კიდეც) მორწმუნეთა წარწერები, რომელთაც რაღაც შეჰმატეს ჯვრის რელიკვარიუმს. როგორც ვიცით, მცხეთის ჯვარპატიოსნის მსასოებელთა შორის ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებამდე (და ალბათ განხეთქილების შემდეგაც) ბევრნი იყვნენ სომხები და სწორედ ამგვარი ვითარების გამომხატველი ჩანს უცნობი კერძო პირის (პირთა?) სომხური მემორიალური წარწერა კვარცხლბეკის მეორე მხარეს, რომელიც აშკარად ბევრად უფრო გვიანდელი ეპოქისაა, ვიდრე ერისმთავართა სახლის მემორიალური წარწერა.

# ბოლოთქმა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა არაერთი პრობლემა, რომლებიც თავს იყრის რამდენიმე თემის გარშემო. ესენია: ქართლში მეფობის გაუქმების და ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლების ერისმთავრობის ფორმით აღდგენის ქრონოლოგია; ამ ორ ფაქტს შორის არსებულ პერიოდში ქართლის პოლიტიკური განვითარების სპეციფიკა; ქართლის ერისმთავრების გუარამის და სტეფანოზ I ზეობის ქრონოლოგია; ძველქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციაში სტეფანოზ I შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის არსებობა; ქართველთა 523 და 571 წლების ანტირანულ აჯანყებათა მეთაური *გურგენების* იდენტიფიკაცია ქართულ ნარატიულ წყაროებში დაცულ ქართველ მეფეთა სიების შესაბამის წარმომადგენლებთან; "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" აღწერილი ეპოქის ქრონოლოგია და თავად თხზულების დათარიღება. ეს პრობლემები გადაწყვეტილი მქონდა უკვე ათი წლის წინ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. მაგრამ რამდენადაც ჩემი დასკვნები სათანადოდ არ იყო აღქმული (ან საერთოდაც იგნორირებულ იქნა), გადავწყვიტე გამემეორებინა, ოღონდ ამჯერად პოლემიკური ფორმით

დასასრულ მე მინდა წარმოვადგინო VI-VII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური განვითარების ის სურათი, რომელიც აღდგება მოძიებული ფაქტების ერთიანობაში გააზრების შედეგად

როცა აღნიშნული ეპოქის ქართლს მივაპყრობთ მზერას, უპირველეს ყოვლისა ინტერესს აღძრავს 523 წლის ანტირანული აჯანყება გურგენ მეფის წინამძღოლობით. ფართოდ გავრცელებული შეხედულებით *გურგენი* საკუთარ სახელად მიიჩნეოდა. მაგრამ ირკვევა, რომ *გურგენი* ამ შემთხვევაში საზოგადო სახელია და არაქართულ სამყაროში ქართველი მეფის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენს. ქრონოლოგიური მონაცემის გათვალისწინებით 523 წლის აჯანყებულ ქართველთა ხელმძღვანელი მეფის გაიგივება უნდა მოხდეს ან "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მეფეთა სიის ბაკურ დაჩის ძესთან ან მისი მომდევნო მეფე ფარსმანთან.

523 წლის აჯანყება მარცხით დამთავრდა. მის მეთაურ ქართველ მეფეს მოუწია ქვეყანა დაეტოვებინა და თავის ამალასთან ერთად ბიზანტიისათვის შეეფარებინა თავი.

მიუხედავად ამისა, ამ დროს ქართლში მეფის ხელისუფლება არ შეწყვეტილა. შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია და რიგი უცხოური წყაროებისა VI საუკუნის პირველ ნახევარში და შუა ხანებშიც ქართლში მეფობის არსებობას ადასტურებენ. მართალია, ამ აჯანყებას ირანსა და ქართლს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვა გამოუწვევია, მაგრამ ამის შედეგი მეფობის გაუქმება არ ყოფილა. დაძაბულობას სწორედ ქართლში მეფობის არსებობის ფაქტი იწვევდა: ირანელები ამ ინსტიტუტის გაუქმებას ცდილობდნენ, ქართველები კი მათ არ ემორჩილებოდნენ.

მეფობის შეწყვეტა უკავშირდება 571 წელს ამიერკავკასიის ხალხების ანტიირანულ აჯანყებაში ქართველთა მონაწილეობას, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა (ისევე როგორც 523 წლის გამოსვლა). ირანი წლების განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბიზანტიას მისთვის დასასჯელად გადაეცა აჯანყების მეთაურები. ქართველთა წინამძღოლი ამ აჯანყებაში იყო *გურგენი* (ე.ი. ქართლის მეფე). აღნიშნული ტერმინი ამ შემთხვევაში იმ ბაკურს მიემართება, რომელზეც ქართული წყაროების მიხედვით ქართლში მეფობა შეწყდა.

ამ მოვლენას დაახლოებით VI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ ქართლში ირანის უშუალო გამგებლობა დამყარდა. უზენაესი საერო ხელისუფალი შაჰის დიდმოხელე მარზპანი გახდა. ქვეყნის მართვაში გარკვეულად ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი წარჩინებულებიც, რომელთა წარმომადგენელი მარზპანის წინაშე იყო იერარქთა სამეული ქართლის უზენაესი სასულიერო ხელისუფლის – კათალიკოსის, ქართლის მამასახლისის (ჩანს ეს იყო სამეფო გვარის წარმომადგენელი, შესაძლოა, მისი უხუცესი წევრი) და ქართლის პიტიახშის (რეგიონის მმართველის) შემადგენლობით VI საუკუნის 90-იანი წლებიდან VII საუკუნის დასაწყის წლებამდე სამეულის პირადი შემადგენლობა ასეთი იყო კათალიკოსი კირიონი, მამასახლისი ატრნერსე, პიტიახში არშუშა. ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დოგმატურ საკითხებზე პოლემიკას, რომელიც განხეთქილებით დასრულდა. აღნიშნული პირები ქართული იდენტობის განვითარებისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის აქტიური მონაწილენი ჩანან. VII საუკუნის საწყისი წლებიდან, ვიდრე ამავე საუკუნის ათიანი წლებამდე პერიოდში კი სამეულს წარმოადგენენ კათალიკოსი სამოელი, მამასახლისი

გრიგოლი და კვლავ პიტიახში არშუშა. ესენი იყვნენ წმ. ევსტათი მცხეთელის თანამედროვენი.

VII საუკუნის ათიანი წლების მიწურულს ქართლში ნაციონალური უზენაესი საერო ხელისუფლება აღდგა, ოღონდ მნიშვნელოვნად შესუსტებული ფორმით თვითმპყრობელი მეფის ადგილი დაიკავა არჩეულმა ("განჩენილმა") ხელისუფალმა – ერისმთავარმა. ქართლის პირველი ერისმთავარი იყო გუარამ კურაპალატი. მისი ზეობა ჩანს VII საუკუნის 10-იანი წლების მიწურულიდან 20-იანი წლების დასაწყისამდე. ამ დროს დაიწყო ორი უმნიშვნელოვანესი ეკლესიის მშენებლობა: თბილისის სიონისა და მცხეთის ჯვარის.

ქართლის მეორე ერისმთავარი გუარამის ძე სტეფანოზ I ზეობდა VII საუკუნის 20-30-იან წლებში. მის დროს დასრულდა თბილისის სიონი და არსებითად აშენდა ჯვრის ეკლესია, თუმც გარკვეული სამუშაოები ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გაგრძელდა სტეფანოზის გარდაცვალების შემდგომაც, მაშინ როცა ქართლს უკვე მისი ძე ადარნერსე ერისმთავარი განაგებდა (VII საუკუნის 30-იანი წლებიდან). სტეფანოზ I დროსაა შექმნილი ძველი ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ქმნილება "წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაც".

ასე რომ, სტეფანოზ I ეპოქა სრულიად გამორჩეული ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი ძეგლი – "მოქცევაჲ ქართლისაჲ" მას "დიდის" ეპითეტით ამკობს, რითაც ამ ერისმთავარს ვახტანგ გორგასლის რანგის მოღვაწედ გვისახავს. ამ შემთხვევაში გაოცებას ის იწვევს, რომ სტეფანოზის პორტრეტი, წარმოდგენილი ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მეორე უმთავრესი ძეგლის – "ქართლის ცხოვრების" მიერ, ცალსახად უარყოფითია: მას მიემართება ეპითეტი "ურწმუნო", უარყოფილია ეკლესიათა მშენებლობაში მისი რაიმე მონაწილეობა, იგი ხელმოცარულ პოლიტიკოსადაც არის წარმოჩენილი.

ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციის ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობრიობის მიზეზი ისაა, რომ "ქართლის ცხოვრების" შესაბამისი მონაკვეთის აღმწერი VIII საუკუნის ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანი სტეფანოზს უდგება პარტიული პოზიციით. სტეფანოზი ეწრაფოდა ერისმთავრის

ხელისუფლების თვითმპყრობელი მეფის ხელისუფლებასთან გათანაბრებას. ეს ხდებოდა უმეფობის პერიოდში ძალმოცემული, გამთავრების გზაზე შემდგარი რეგიონალური მოხელეების – ერისთავების – შევიწროების ხარჯზე. ამის გამო სიცოცხლეშივე სტეფანოზს ჰყავდა მძლავრი ფეოდალური ოპოზიცია. ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი, როგორც ერისთავი, ამ ოპოზიციის მემკვიდრე და, შესაბამისად სტეფანოზის იდეური მოწინააღმდეგე იყო. განიხილავდა რა წარსულს თავისი სოციალური ფენის თვალსაწიერიდან, ჯუანშერი სტეფანოზის მოღვაწეობას აფასებდა ტენდენციურად. სწორედ ამით იხსნება მის მიერ ქართლის ამ ერისმთავრის დამსახურების მაუწყებელი თვალსაჩინო ფაქტების უგულვებელყოფა.

ისტორიული რეალობასთან შედარებით აქ წარმოდგენილი სურათი, ცხადია, სქემატურია. მაგრამ, როგორც ითქვა, იგი მხოლოდ იმ ფაქტებითაა შედგენილი, რომლებიც ჩემს ადრინდელ მონოგრაფიასა და წინამდებარე პოლემიკურ ნარკვევში იქნა დადგენილი.

Mary Chkhartishvili

# *Martyrdom of St Eustathius of Mtskheta* and Problems of Political History of Georgia in 6th-7th Centuries

## Polemic Review

The *Martyrdom of St Eustathius of Mtskheta* is devoted to the deed of Persian Gvirobandac who lived in Georgia.

It is a brief hagiographical production with composition much similar to ancient Roman *Acta*. Stereotypes reveal also in the details. At the same time *Martyrdom* is full of very important evidences and provides valuable historical information. For this reason the monument was largely used in historical researches.

General outline of the content of the writing is following.

Gvirobandac belonged to the family of Mazda cult servants. However he did not like the ancestral faith and made enquires for other religions. In result of searching in this direction he obtained solid information concerning the Christianity. He left his native city of Ganzac in Persia, arrived in Georgia and took residence in religious center of the country Mtskheta.

By those times Kartli (thus was designated Georgian state before 11thc) was under the Persian domination. Authority of Georgian Kings was abolished and Persian high official *Marzphan* exercised a supreme secular power here. He resided in the capital city of Tbilisi. Georgian nobility collaborated with Persians. Three dignitaries, namely, *Catholicos* (who possessed supreme ecclesiastical power), *Mamasakhlisi* (apparently the leader of Georgian royal family: literal meaning of this Georgian composite is a *father of the house*), *Pitiakhsh* (in certain centuries by this word was designated relatively autonomous regional governor of the Georgian state) represented them to *Marzphan*.

The ruler of Mtskheta – *Tsikhistavi* (literal meaning of this Georgian word is a *head of fortress*) was Persian too. Mtskheta was full of Persian civilians (craftsmen, Mazda cult servants) as well as militants. Despite this, the population was not persecuted for Christian faith. Local Christians freely held service. Acquaintance with their life drove Gvirobandac to the final decision of changing faith: he baptized and received name of Eustathius. His Godfather was ecclesiastical leader of

Georgians – Catholicos Samuel himself. This very fact attests the importance that was given to the fact of Persian newcomer's conversion by Georgian society. Undoubtedly this was resonating event for Georgians. However as a bad example it might be resonating also for Persians. So once (apparently in order to provoke) the fellow countrymen asked Eustathius to take part in their religious holiday. Eustathius mocked at them and refuse the invitation. Offended by such answer they denounced to Tsikhistavi. However as the accusation was too hard, Tsikhistavi sent Eustathius to Marzphan. In that time Eustathius was saved in result of intercession of local nobility: Catholicos Samuel, Mamasakhlisi Gregory and Pitiakhsh Arshusha applied for him the Marzphan Arvand Gushnasp in moment of his departure Kartli. He granted Eustathius freedom. However after new Marzphan's appointment the informers activated again. Eustathius was incarcerated and presented to the Marzphan for court examination. At the court Eustathius spoke out not for his own justification, but in defense of Christian faith in general. At last the denouncers achieved their goal: the death sentence was passed upon Eustathius. He was beheaded. The Saint's remains being stolen by Christians were buried (according to his own will) in Mtskheta.

The hagiographer associates this story with the times of a Persian Shah: Gvirobandac arrived in Mtskheta in tenth year of "King Chosroes's" reign. Thus, "King Chosroes" serves as chronological indicator and in case of its identification it would be possible to determine the epoch described in the monument and consequently to date the writing: the point is that the certain evidences available in the text allow a researcher to estimate the approximate chronological distance between the facts of Eustathius' arrival and the hagiographical monument's creation.

However there was no agreement among the scholars concerning the issue which Persian Shah is hidden behind "King Chosroes". Part of them thought that "King Chosroes" should be identified with Chosroes I, who occupied the throne from 530s, meanwhile according to others it is implied Persian Shah Chosroes II, whose reign commenced in the second half of the 6$^{th}$ century. The first point of view was accepted and shared by the most of Georgian specialists in field until recently. The picture was imagined as follows. As the specific political situation presented in the writing – the absence of national secular supreme authority in Kartli – took place in 1$^{st}$ half of the 6$^{th}$c the "King Chosroes" mentioned in the *Martyrdom* should be identified with Chosroes I.

But in case of this last conclusion's acceptance there will be arose the contradiction between the *Martyrdom* on one hand and two main monuments of medieval Georgian historiography on another. According to

*Moktsevay Kartlisay* (*Conversion of Kartli*) and *Kartlis Tskhovreba* (*Life of Kartli*) the authority of Georgian Kings had been interrupted on King Bakur in the 2nd half of the 6th c.

I had considered opposition between the sources as a stumbling block. Just it had driven me to the conclusion that generally accepted view concerning the chronological indicator's meaning could not be valid and because of this it is necessary to reexamine all arguments advanced in defense of this widespread opinion. In 1990s to the solution of the problem I devoted several scientific presentations and articles. The results of these researches were summarized in the monograph *Martyrdom of Saint Eustathius of Mtskheta. The Life of St Seraphion of Zarzma. Source-Study Investigation* (1994, Tbilisi: Metsniereba) and the Doctoral Dissertation defended in 1997.

First of all I found out that arguments for the identification of "King Chosroes" with the Shah Chosroes I actually do not exist; meanwhile some details of St Eustathius biography associate the hagiographical story with the epoch of the Shah Chosroes II: Eustathius was sentenced to death on a ground of a law operated exclusively in times of Shah Chosroes II. (1) According to this law the fact of being Christian was not punishable itself. What was not allowed is the conversing to Christianity because the changing of a faith was considered as a crime. (2) The sources (the writing of Procopius of Caesarea, *Book of Epistles*, and so-called Georgian-Persian drachms) to which the proponents of a traditional dating of Georgian Kings' authority interruption (1st half of 6th c) refer, in this particular case are unrepresentative.

On a ground of these facts I concluded that the epoch described in the monument should be linked with times of Chosroes II, namely these are beginning years of 7th c. What concerns the period of the monument's emergence, I determined it as 20-30s years of the same century.

This new chronology entailing essential revisions of many generally accepted views and assertions caused the criticism of certain scholars, meanwhile another part of researchers, simply ignored principal results presented in my book and dissertation. In both cases one encounters the deliberate or unintentional falsifications of my opinions and voluntary interpretations of historical sources.

The present book provides comments on such (from my point of view incompatible with academic research) facts. The most of the problem concerned here (in particular, the chronology of abolishment a national supreme secular authority – Kingship in Kartli and its restoration in form of *Erismtavari* (*Erismtavari* is a Georgian composite constructed from the words *Eri* – community, in modern use – nation, and *Mtavari* – leader of a

community); the specificity of political development of Kartli in period of interregnum; the chronology of first Erismtavars (Guaram and his son and successor Stephen I) being in power; the comparative analysis of different (essentially exclusive) evidences on Stephen I available in *Moktsevay Kartlisay* and *Kartlis Tskhovreba*; the uprisings of Georgians against Persia in 523 and 571 and identification of their leaders with the concrete persons of Georgian royal lists; the dating of the *Martyrdom of Saint Eustathius of Mtskheta* etc) were arisen and solved already in above-mentioned monograph and doctoral dissertation of mine. Now having put these assertions and conclusions in a frame of Polemic Review I intend to direct to them attention of scholars once more.

In final I will display events of the historical epoch under the consideration as I see them after clarifying principal problems in field. I suppose that this plain description will help reader to grasp essence of the conception offered by me.

In 523 took place uprising against Persia. Georgians' leader in this revolt was King Gurgen. At first glance *Gurgen* seems to be a proper name. However appeared it is a common noun, special term used by non-Georgian authors to designate a Georgian King. As it turned out in this particular case *Gurgen* (i.e. Georgian King) should be identified with King Bakur (son of King Dachi, $1^{st}$ half of $6^{th}$c) or his successor King Parsman. Both are mentioned in royal lists provided by Georgian medieval historiography.

The uprising of 523 was unsuccessful. Its leader was forced to flee away from the country and ask political accommodation in Byzantium. Despite the worsening of interrelations between Persia and Georgia in result of this rebellion, the Kingship was not abolished in Kartli. The tension existed between two sides was caused just in result of Kingship maintenance: *Since the nobility of these barbarians with the King Gurgen conceived dropping out from Persians as I have reported previously, from those times nor Persians allowed Georgians to have own Kings, neither Georgians obeyed them voluntary* – notes Byzantine author Procopius of Caesarea.

The interruption of Kingship in Kartli was linked with the rebellion of Caucasian peoples in 571 against Persia in which Georgians participated as well. In Byzantine sources Georgians' leader is designated again as *Gurgen*, i.e. Georgian King. Behind this term in this case apparently was hidden King on which according to Georgian sources Kingship was interrupted in Kartli. This was King Bakur occupying the throne in $2^{nd}$ half of $6^{th}$c.

At the beginning of 580s (after the Kingship ceasing) in Kartli was established direct rule of Persia. Local nobility was also involved in ruling

of the country. There were three representatives of Georgian hierarchs, namely Catholicos, Mamasakhlisi and Pitiakhsh. From 590s to the beginning years of 7$^{th}$c the personnel of this group was as follows: Catholicos Kirion, Mamasakhlisi Atmerse and Pitiakhsh Arshusha. In this very epoch took place dogmatic polemics between Georgian and Armenian Churches which concluded with schism. The above listed persons were initiators and active participators of this significant event for Georgian (and also for Armenian) identity development. From the beginning years of 7$^{th}$c the personnel of this three of hierarchs was following: Catholicos Samuel, Mamasakhlisi Gregory and again Pitiakhsh Arshusha. They were contemporaries and supporters of St Eustathius.

At the end of 610s the national supreme secular authority in Kartli was restored, however the place of autocrat Kings occupied elected (appointed) sovereign Erismtavari.

First Erismtavari of Kartli Guaram was in power from the last years of 610s until beginning years of 620s. At those times were founded two the most important Georgian churches: Temple of Sion in Tbilisi and Temple of St Cross in Mtskheta.

Second Erismtavari Stephen I occupied the throne in 620-30s. In this period was fulfilled Temple of Sion and Temple of Cross was driven to the point. Remarkable monument of medieval Georgian literature *Martyrdom of St Eustathius of Mtskheta* was created also in Stephen I's times.

Erismtavari Stephen I longing for transforming Erismtavars' power into autocrat Kings' authority. He tried to achieve this goal by mean of suppression of regional governors who in period of interregnum had become powerful and disloyal toward the sovereign and tended to establish their rights as land owners. Already in his lifetime Stephen I had forceful feudal opposition. Historian Juansher Juansheriani (8$^{th}$c) – author of the relevant part of *Kartlis Tskhovreba* – was one of the regional governors and consequently represented Stephen I's opponent in concept. He viewed past from point of his own social stratum's interests and because of this evaluated Stephen I tendentiously.

The real picture of the period under the consideration of course was much richer with details than one exhibited by me now. However I was grounded (I find it necessary to underline this again) exclusively on those facts which were considered and clarified in my books: either in the monograph *Martyrdom of Saint Eustathius of Mtskheta. The Life of St Seraphion of Zarzma. Source-Study Investigation* and present Polemic Review.